## გუშინ

# ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა



25 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საქართველო-რუსეთის სტამბოლის ერთობლივი განცხადების ვალდებულებათა შესრულებისა და ევროპაში ადაპტირებული ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების რატიფიკაციასთან მიმართებაში საქართველოს პოზიციის შესახებ.

მოისმინეს ინფორმაციები კოდორის ხეობაში, ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზის მშენებლობის და „წითელი ხიდის" მიმდებარე ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე.

გაიმართა მსჯელობა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს და მისი აპარატის რეფორმის შესახებ.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქინფორმი.

## პრეზიდენტი

# ქართველ მეცნიერებს თანადგომასა და თანამშრომლობას ჰპირდებიან

ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი მაღალ შეფასებას აძლევს მისი ეგიდით საქართველოში განხორციელებული პროექტების შედეგებს და მზად არის კვლავაც აქტიურად ითანამშრომლოს ქართველ მეცნიერებთან. საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან 24 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე ფონდის პრეზიდენტმა გერსონ შერმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ფონდი არასოდეს შეწყვეტს თანამშრომლობას თავის უშუალო პარტნიორთან – საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდთან და ყოველთვის ამოუდგება მხარში ქართულ მეცნიერებას.

„ჩვენ ჯერჯერობით არ ვართ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ყველაზე დიდ შედეგს მეცნიერებაში განხორციელებული ინვესტიციები მოგვიტანს. თუკი ქვეყანა მომავალზე ფიქრობს, მეცნიერება მუდამ მისი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოქცეული", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და ხაზგასმით აღნიშნა ის უმნიშვნელოვანესი წვლილი, რომელიც ფონდმა შეიტანა ქართული მეცნიერების განვითარებაში.



ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, 5-6 წლის წინათ ქვეყანაში უმწვავესად იდგა მეცნიერების გადარჩენის საკითხი. ფონდის დახმარებით კი იგი არათუ გადარჩა, არამედ იმის შესაძლებლობაც მიეცა, რომ ახალი სიტყვა ეთქვა მსოფლიო მეცნიერებაში.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლიერებით აღნიშნა, რომ ფონდის საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეაჩერა მეცნიერთა მიგრაციის პროცესი და ძალზე ბევრ მათგანს აქვე, საქართველოში, შეუქმნა მუშაობის პირობები. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ფონდის პროექტების ფარგლებში შეძენილია მილიარდ 200 ათასამდე დოლარის ღირებულების უახლესი ტექნოლოგიები და აპარატურა. ამჟამადაც დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ შერჩეულია 24 ახალი პროექტი, რომელთაგან თითოეული გრანტის სახით 35 ათასი დოლარით დაფინანსდება. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დახმარების პროგრამა, რომელსაც ამერიკის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი ახორციელებს, ამ სფეროში ყველაზე მასშტაბურია, და მადლობა გადაუხადა ფონდის პრეზიდენტს ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და თანამშრომლობისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

## დღეს და ხვალ თბილისობაა




ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.


„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №261 (4320) შაბათი, 26 ოქტომბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.


## ღლავები დიდ კორუფციაში

# აჰა, ლიცენზია!

ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა წერილი „მუქთად იძენდნენ და ფულს მაინც არ იხდიდნენ". მასში მოთხრობილი იყო იმ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შესახებ, რომელმაც გაყალბებული დოკუმენტებით თურქეთში გაიტანა 6.748 კუბური მეტრი ხე-ტყე, ამასთან, სახელმწიფოს დაუმალა დიდძალი გადასახადი.

შსს საგამოძიებო დეპარტამენტის საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ანა ქორიძემ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა თენგიზ ფანცულაიამ ამ დანაშაულებრივი ჯგუფის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ფრიად მნიშვნელოვანი სამხილები და მტკიცებულებები მოიპოვეს. ლაპარაკია სახელმწიფო უწყების თანამდებობის პირთა კორუფციულ ქმედებაზე.

ამ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის თავკაცები ბექან გაბელია და რობინზონ კირჩხელი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ხე-ტყის დასაკანონებლად იყენებდნენ მათ „ფრთებქვეშ არსებული შპს „ევროპა პლუსის", ინდმეწარმეების „ვლადიმერ პრიხოდკოს", „ვარადებულ ცომაიას" და სხვათა ანგარიშ-ფაქტურებს, შეჰქონდათ მათში გამოგონილი ციფრები. მაგალითად, 2055 კუბური მეტრი სამასალე მორი „მათ შეიძინეს" თიანეთისა და თბილისის სატყეო მეურნეობაში, დაამზადეს საქართველოს სატყეო დეპარტამენტში არარეგისტრირებული ყალბი, ხე-ტყის მოპოვების დამადასტურებელი საბუთები, რომლებიც დაამშვენეს გაყალბებული ხელმოწერებითა და ყალბი ბეჭდებით.

იხ. მე-3 გვ.

## უახლესი ისტორია



# ეს იყო უაღრესად შემოქმედებითი და აქტიური დიპლომატიის პერიოდი

### ედუარდ შევარდნაძე. მინისტრი, რომელიც პრეზიდენტი გახდა

ნაწყვეტები ლეონიდ მლეჩინის წიგნიდან „საგარეო საქმეთა მინისტრები – რომანტიკოსები და ცინიკოსები"

ედუარდ შევარდნაძე, ისევე, როგორც მოლოტოვი, ორგზის იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. თავდაპირველად, 1985 წლის ივლისიდან 1990 წლის დეკემბრამდე, ხუთ წელიწად-ნახევარს – სანამ გადადგებოდა. ეს იყო ტროცკის შემდეგ პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც პოსტი საკუთარი ნებით დატოვა.

მეორედ შევარდნაძე მინისტრად დადგა 1991 წლის ნოემბერში. ამჯერად საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დარჩა სამ კვირაზე ნაკლებ ხანს – საბჭოთა კავშირის გაქრობამდე.

ყველაფერი კი საქართველოდან იწყებოდა.

### მარტოდმარტო – აბობოქრებული ხალხის წინაშე

1978 წლის გაზაფხულზე საქართველოში კინაღამ გამეორდა 1956 წლის მარტის სისხლისღვრა. იმ წელს ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ებრძანა, მიეღოთ ახალი კონსტიტუციები, იმიტომ, რომ მომზადებული იყო ახალი სსრკ ძირითადი კანონი. რეალურ ცხოვრებაში ეს არაფერს არ ცვლიდა, და ყველა რესპუბლიკისათვის წმიდა წყლის ფორმალური საქმე იყო – ყველასთვის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა. მათ კონსტიტუციებში 1920-იანი წლებიდან დატოვებული იყო დებულება საკუთარი ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ.

იხ. მე-3 გვ.

## მილოცვა

# პროფესორ ნოდარ ვალიშვილის დაბადების 70 წლის იუბილეზე

ბატონო ნოდარ,

გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს შესანიშნავ მეცნიერსა და პედაგოგს, ღირსეულ საზოგადო მოღვაწესა და თვალსაჩინო პიროვნებას.

თქვენ პედაგოგთა შესანიშნავ კოლექტივთან ერთად წარმატებით ხელმძღვანელობდით ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს, იყავით მისი პირველი რექტორი და დიდი წვლილი შეიტანეთ უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარების საქმეში. თქვენი მოღვაწეობა მომავალი თაობისა და ქვეყნის სასიკეთოდ, დაუღალავი შრომა, პროფესიისადმი სიყვარული მისაბაძ მაგალითად არის ქცეული თქვენი მოსწავლეებისათვის. პირადად მე თქვენთან მაკავშირებს დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა, რასაც დიდად ვაფასებ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და კვლავაც წარმატებულ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

## გიხაროდენ!

# ჩემი მზია ნამდვილი მზეა

ძვირფასო რედაქცია, მინდა თქვენი მშვენიერი კუთხისათვის „გიხაროდენ!" ჩემი სიხარულიც გაგიზიაროთ. 15 ოქტომბერს მე და ჩემს მეუღლეს ნინო მანწკავას ნანატრი გოგონა შეგვეძინა. ჩვენი ბიჭი დათო უკვე 10 წლისაა, ძალიან გვინდოდა მეორე შვილი, ისიც გოგო. და აი, ჩვენი მზიაც დაიბადა, ისეთი ლამაზია, მზესავით ჩახჩახა. მალე დედა-შვილს შინ წავიყვან და ყველანი ერთად ვიქნებით.



დიდი მადლობა ჩვენი სახარულის გაზიარებისათვის.

გივი ბარათაშვილი, თბილისი.

ნინო და გივი, ნანატრ ქალიშვილს გილოცავთ. სიხარული ნუ მოგიშალოთ ღმერთმა.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ციტატა

# დალევინდებიან

„აგრესიის ნებისმიერ შემოტევას ერთი რამ აქვს საერთო – დარბევასა და მუშტი-კრივს ახალგაზრდები აწყობენ...

ახალგაზრდობაში ყველაფერი რიგზე არ არის. მას პრობლემები აქვს. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ახალგაზრდობა ბიოლოგიურად ვერ ეგუება უფროსებივით მშვიდად და დინჯად ყოფნას, არამედ ის, რომ მის, ჯერ კიდევ დაუღვინებელ სისხლში (უმრავლესობა აუცილებლად დალვინდება, უმცირესობა დამნაშავე გახდება) ბორგავს ნაკლებად შესწავლილი ნივთიერება, რომელიც ჭაბუკებსა და ქალიშვილებს უბიძგებს აგრესიის გამოვლენისკენ სხვადასხვა ფორმით. საააგრესიის გამოვლენისკენ... როგორც წესი, მისო საშუალებებს კი დრო კარნახობს. ახალგაზრდობა ირჩევს იმას, რისაც საზოგადოებრიობას ყველაზე მეტად ეშინია".

„ოგონიოკი" №42.

## მწარე სტრიქონები

# სამხრეებიანი „ბაბუების" სახლები, აგარაკები და...

### ასე ვერც ჯარი აშენდება და ვერც ქვეყანა

დღეს თბილისში ბინათმშენებლობის (და არა მარტო ბინათმშენებლობის) ნამდვილი ბუმია – კანონიერისა თუ უკანონოსი.

ერთი მხრივ, ამას რა სჯობს: იზრდება თბილისიც და, შესაბამისად, თბილისელთა ცხოვრების დონეც, მაგრამ, მეორე მხრივ...

თუმცა, ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდე, მცირე, მაგრამ მრავლისმეტყველი ამონარიდი მინდა გაეაცნო მკითხველს ერთი საინტერესო წიგნიდან:

„ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა იმოდენა იყო, ის ეყოფოდა ერთს კი არა, სამ კორპუსს. ყველანი საქმეს ეკიდებოდნენ მხურვალედ და ერთგულად. ფაქტობრივად ხელისუფლება არ არსებობდა. ოფიცერს საზოგადოდ არაფრისა და არვისი არ ეშინოდა.

იხ. მე-2 გვ.

## რწმუნებათა სიგელების გადაცემა

# რუდოლფ შუსტერი ედუარდ შევარდნაძის სლოვაკეთში ჩასვლას ელოდება

23-24 ოქტომბერს საქართველოს ელჩმა გიორგი არსენიშვილმა რწმუნებათა სიგელები გადასცა ბრატისლავაში. ეს ღონისძიება დაიწყო 23 ოქტომბერს სლოვაკეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან მიროსლავ მოიჟიტასთან შეხვედრით, რომელსაც გადაეცა რწმუნებათა სიგელის ასლი.

საუბრის დროს განიხილეს სლოვაკეთის რესპუბლიკასთან სახელშეკრულებო ბაზის გაფართოებისა და გაღრმავების საკითხი. აგრეთვე, საპატიო კონსულების ინსტიტუტის ფართო გამოყენების აუცილებლობა ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკეთილდღეოდ. ხაზი გაესვა საგარეო უწყებათა მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებას.

იხ. მე-2 გვ.

## განმარტება

# ვლადიმერ პუტინს მხედველობაში არ ჰქონია საქართველო

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ „რუსეთის პრეზიდენტს მხედველობაში არ ჰქონია საქართველო, როცა ლაპარაკობდა, რომ მძევალთა აყვანა მოსკოვში ტერორისტთა ჯგუფის მიერ მომზადებული იყო საზღვარგარეთ". ჟურნალისტებთან 25 ოქტომბერს გამართული საუბრის დროს თ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ „საქართველოს თემას შეეხნენ სატელეფონო საუბრის დროს ვლადიმერ პუტინი და ჯორჯ ბუში". როგორც თედო ჯაფარიძემ თქვა, „აშშ-ის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინს ჰკითხა, მხედველობაში ხომ არ ჰქონდა საქართველო, როცა შეეხო მესამე ქვეყანას, სადაც მოამზადეს ტერორისტები, რომლებმაც ხელთ იგდეს მძევლები მოსკოვში, მაგრამ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა პასუხის დროს დააზუსტა, მე მხედველობაში სხვა ქვეყანა მქონდაო".

საქინფორმი.



## კალეიდოსკოპი

### ე.შ.-ს

ალმართია თუ თავქვეა,
გებრძვიან გამძვინვარებით,
კრიტიკა მოყვრის საქმეა, —
სისხლისღვრა — ნაძირალების.

### გარემოვაჭრეთა გამო

გესმით? გარევაჭრობაზე
კიტრს და მწვანილს ყიდიან!
საქართველოს რო ყიდიან,
ოხრახუშზე ჰკიდიათ.

### შიში

შენ ხომ არავინ გერჩისა,
ყველას შენ ერჩი, ტიალო,
რად გეშინია ჩეჩნისა,
ჩეჩენისთვრამეტიანო.

ჯ. ჩ.

## ინფორმაცია

### დამკვირვებელთა რაოდენობა შემცირდება

54-დან 42-მდე შემცირდება დროებით ეუთოს დამკვირვებელთა რაოდენობა საქართველო-რუსეთის საზღვარზე, სადაც ისინი ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მონაკვეთებზე მონიტორინგს ახორციელებენ. დამკვირვებელთა რაოდენობის შემცირება ჩვეულებრივი პრაქტიკაა ზამთრის პერიოდში. ახლო მომავალში შეიძლება გადაწყდეს ეუთოს დამკვირვებლების მიერ საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მონიტორინგის საკითხიც.

### მიტინგით აღინიშნა

ჩკალოვსკი-ბათუმის რეისის რუსული სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავის ИЛ-18-ის დაღუპვის მეორე წლისთავი ტრაგედიის ადგილზე – აჭარაში მტირალას მთაზე სამგლოვიარო მიტინგით აღინიშნა. აქ მივიდნენ ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების წარმომადგენლები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპული 83 ადამიანის ახლობლები და ნათესავები. ტრაგედიის ადგილას გახსნილია ობელისკი.

### ეროვნულ ბანკში შეიქმნება

თბილისში მუშაობა დაასრულა სემინარმა, რომელიც უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საკითხებს მიეძღვნა. სემინარში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით გაიმართა, მონაწილეობდნენ ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტისა და იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ეროვნული ბანკი, ბანკთა ასოციაცია, ფინანსთა, იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროები და ანტიკორუფციული საბჭო. განიხილეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ შემუშავებული კანონპროექტი. გადაწყდა, რომ ეროვნულ ბანკში შეიქმნება საეჭვო შემოსავლებისა და საბანკო ოპერაციების დამოუკიდებელ სტრუქტურა-მონაცემთა ბაზა.

### უმუშევრები საქმდებიან

მცირე მეწარმეთა 17 პროექტი დააფინანსა „საქართველოს ბანკმა" დასაქმების სახელმწიფო დეპარტამენტის უმუშევართა მუდმივი დასაქმების პროგრამის ფარგლებში. პროექტებზე გაცემული საკრედიტო რესურსის მოცულობამ მთლიანობაში 440 000 ლარი შეადგინა.

როგორც დასაქმების დეპარტამენტის თავმჯდომარემ რევაზ საყვარელიძემ პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უმუშევართა მუდმივი დასაქმების 2002 წლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს შეღავათიანი კრედიტების გაცემას რეგისტრირებული უმუშევრებისათვის და მცირე მეწარმეებისათვის, რომელთაც აქვთ წარმატებული მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.

### ავარია ბათუმი-ხულოს გზაზე

ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზის 63-ე კილომეტრზე ხევში გადაიჩეხა „პაზის" მარკის ავტობუსი, რომელიც ხულოს რაიონის ხიხაძირის თემის საკრებულოდან მოდიოდა. ავტობუსში მყოფი 25 მგზავრიდან ერთი – მიხეილ ხალვაში ადგილზე გარდაიცვალა. მძღოლმა ოთარ ქამადაძემ და მგზავრებმა სხეულის დაზიანება მიიღეს. დაშავებულები შუახევის, ქედისა და ბათუმის საავადმყოფოებში მოათავსეს. ადგენენ ავარიის მიზეზებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

## ყურადღება!

# არ დაგავიწყდეთ საათის ისრების გადაწევა!



შეგახსენებთ, რომ 2002 წლის 27 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უქმდება ზაფხულის დრო. ამასთან დაკავშირებით, 27 ოქტომბრის 03 საათზე ისრები ერთი საათით უკან უნდა გადაიწიოს!

## უკანასკნელ საათს



აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმისა და ევროკავშირის სამიტის მონაწილეებმა გუშინ მიიღეს სპეციალური დეკლარაციები, რომელშიც მკაცრად დაგმეს მოსკოვში მელნიკოვის ქუჩაზე, კულტურის სახლში მძევლების აყვანის ფაქტი.



მოსკოვში კულტურის სახლში მძევლად აყვანილთა შორის უკრაინის 30 მოქალაქეა. მათი გათავისუფლების შტაბს უშუალოდ პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ხელმძღვანელობს.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +12; | დღისით +19; |
| მთაში: | ღამით +8; | დღისით +15; |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +8; | დღისით +20; |
| მთაში: | ღამით +5; | დღისით +14; |

**თბილისში**

მოღრუბლულობა, დღისით მცირე წვიმა. ღამით +8; დღისით +20.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

26 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.364 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.165 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1163 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0683 ლარი |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ აფხაზეთის ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, პენსიას ვიღებ თვეში 45 ლარის ოდენობით.

გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა სოციალური დახმარება?

ოლეგ მამფორია.

– გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, ყოველთვიური სოციალური დახმარება თვეში 22 ლარის ოდენობით ენიშნებათ მარტოხელა პირველი ჯგუფის შრომის ინვალიდებს, რომელთაც კანონით ვალდებული მარჩენალი არ გააჩნიათ.

ომის ინვალიდები, რომლებიც პენსიას იღებენ თვეში 45 ლარის ოდენობით, სამწუხაროდ, ყოველთვიური დახმარების მიღების უფლებას ვერ იპოვებენ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

## ინტერპანორამა

ერაყის ხელისუფლება ქვეყნიდან აძევებს CNN-ის ჟურნალისტებს. უკვე ოთხშაბათს ტელეკომპანიის იმ თანამშრომლებმა, რომლებიც არ არიან ერაყის მოქალაქეები, უნდა დატოვონ ქვეყნის ტერიტორია. ამავდროულად ერაყი ამკაცრებს წესებს უცხოელი ჟურნალისტებისათვის.



დიდ ბრიტანეთში დააპატიმრეს უსამა ბენ ლადენის „ელჩი" ევროპაში. აბუ ქათადი „ალ-ყაიდას" აქტიური წევრი და ბენ ლადენის უახლოესი თანაშემწეა.



ტოკიოში თავს დაესხნენ იაპონიის პარლამენტის წევრს. მას სამზარეულოს დანით მიაყენეს სასიკვდილო ჭრილობა. პარლამენტარი გარდაიცვალა. თავდასხმის მოტივები და თავდამსხმელის ვინაობა უცნობია.



ისრაელის არმია ქალაქ ჯენინში შევიდა. ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის მიზანია პალესტინური ტერორისტული ქსელის ლიკვიდაცია ამ ქალაქში.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 261, შაბათი, 26 ოქტომბერი, 2002 წელი.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 23 ოქტომბერი ქ. თბილისი

### ზაურ შეროზიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში, ქალაქ მოსკოვში მრავალპროფილიანი სარემონტო-სამშენებლო საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებასა და რუსეთის ქართული მოსახლეობის მხარდაჭერაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ქართველ და რუს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებასა და ნაყოფიერი ჰუმანიტარული საქმიანობისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ქართველთა საზოგადოება რუსეთში“ ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მშენებელი ზაურ შეროზია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

მისალმება

## ვალერიან მელქაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით

ქალბატონებო და ბატონებო,

მოგესალმებით დიდი მეცნიერისა და პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის ვალერიან მელქაძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფორუმის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს.

ვალერიან მელქაძე ჭეშმარიტ მამულიშვილთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც თავისი მოღვაწეობით გამორჩეული კვალი დატოვეს.

ფასდაუდებელია ბატონი ვალერიანის ღვაწლი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ქართველ ეკონომისტთა აღზრდაში.

მრავალი თაობისათვის იგი იყო მაგალითი, არა მხოლოდ მეცნიერისა, რომელმაც ეკონომიკური კვლევის სრულიად განსხვავებული მიმართულება შექმნა, არამედ მაგალითი სიმართლისათვის მებრძოლი, სიახლის მაძიებელი, დიდბუნებოვანი პიროვნებისა.

კიდევ ერთხელ მივესალმები ამ საიუბილეო თავყრილობას და სიხარულს გამოვთქვამ, რომ ბატონი ვალერიანის ღვაწლი არ არის დავიწყებული, მის საქმეს ჰყავს შესანიშნავი გამგრძელებლები.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

რწმუნებათა სიგელების გადაცემა

## რუდოლფ შუსტერი ედუარდ შევარდნაძის სლოვაკეთში ჩასვლას ელოდება

(პირველი გვერდიდან)

ყველა შეხვედრაზე, გარდა პროტოკოლით გათვალისწინებული ფორმებისა, იგრძნობოდა დიდი დაინტერესება საქართველოთი, ჩვენი თანამშრომლობის განვითარების და მივიწყებული ტრადიციული ურთიერთობის აღდგენის სურვილი.

ასეთივე თბილი და გულითადი დამოკიდებულება იგრძნობოდა შეხვედრაზე სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან რუდოლფ შუსტერთან. რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიალის შემდეგ, პრეზიდენტმა ილაპარაკა მის ღრმა პატივისცემაზე საქართველოს პრეზიდენტისადმი და აღნიშნა, რომ შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე იალტაში მან გულითადად მიიწვია ბატონი ედუარდ შევარდნაძე სლოვაკეთში და იმედი აქვს, რომ ეს ვიზიტი განხორციელდება.

რუდოლფ შუსტერმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვა ელჩს მისიის შესრულების საქმეში.

ოთარ შენგელია,
ვენა.

შეხვედრები

## საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ დაიწყო თავისი რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომელიც ჩვენს ქვეყანას 24 ოქტომბერს ღამით ეწვია, მთელი კვირის განმავლობაში გამართავს შეხვედრებს ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებთან და განახორციელებს მონიტორინგს თუ როგორ ასრულებს საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, ასევე ქართველ ექსპერტებთან ერთად განიხილავს 2003 წლის ბიუჯეტის პროექტს.**

25 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწესთან თემურ ბასილიასთან გამართული შეხვედრის შემდეგ სავალუტო ფონდის მისიის ახალმა ხელმძღვანელმა პაოლო ნოიჰაუსმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ მიაღწია გარკვეულ წარმატებას ეკონომიკური განვითარების, ასევე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით. რაც შეეხება ყველაზე პრობლემატურ სფეროს, ფონდის მისიის ხელმძღვანელის თქმით, ენერგეტიკის სექტორი და იქ მიმდინარე მოვლენებია. კერძოდ, მოხმარებული ენერგიის საფასურის 70 პროცენტამდე გაზრდა, ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილური გრაფიკის შემუშავება, ენერგეტიკის სექტორში სტრუქტურული რეფორმების დაჩქარება.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო ვალის მომსახურების საკითხს და ამ პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილეობას, პაოლო ნოიჰაუსმა აღნიშნა, რომ დავალიანებიდან სრული გათავისუფლება არ მოხდება, ხოლო პარიზის კლუბის ფარგლებში გამართულ მოლაპარაკებაზე სავალუტო ფონდი მხარს დაუჭერს ჩვენს ქვეყანას ვალის რესტრუქტურიზაციის თვალსაზრისით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა ჯერჯერობით არ დააკონკრეტა, თუ რა სახის შენიშვნებს უნდა ელოდეს საქართველოს მთავრობა ფონდის პროგრამის მიმდინარეობის ფარგლებში. როგორც მან თქვა, ფონდი განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს ორკვირიანი მუშაობის შემდეგ წარმოადგენს.

იმავე დღეს გაიმართა პირისპირ შეხვედრები სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებთან.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის მიერ სავალუტო ფონდის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა სრულფასოვანი განხორციელება განაპირობებს იანვრისათვის 30 მილიონი დოლარის ოდენობის ტრანშის გამოყოფას.

საქინფორმი.

მოსკოვი: მოვლენათა კვალდაკვალ

# დაძაბულობა პიკს აღწევს

**რუსეთის კანონმდებელთა საბჭომ რუსეთის მოქალაქეებს, საზოგადოებრიობას, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებს, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს „დაბეჯითებით მოუწოდა შეინარჩუნონ გამძლეობა და სიმშვიდე, არ აჰყვნენ არავითარ პროვოკაციას“.**

კანონმდებელთა საბჭომ, რომელშიც შედიან რეგიონული პარლამენტების მეთაურები, ეს მიმართვა მიიღო პარასკევს მოსკოვში გამართულ სხდომაზე.

მთავარი ამოცანა, რომელიც საზოგადოების წინაშე დგას, არ დაუშვას ცხოვრების დესტაბილიზაცია ქვეყანასა და თითოეულ მის რეგიონში, ხაზგასმულია დოკუმენტში. „ეროვნებათაშორისო მშვიდობა და თანხმობა ჩვენი საერთო კუთვნილებაა და მას უნდა გავუფრთხილდეთ“, – აღნიშნავენ რუსი კანონმდებლები. მიმართვაში ნათქვამია, რომ ტერორისტული აქტი „შემთხვევით როდი მოეწყო სწორედ ახლა, როცა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში თანდათანობით ვარდებოდა მშვიდობიანი ცხოვრება“. ფედერალური ხელისუფლება და ჩეჩნეთის მმართველობის ორგანოები კოლოსალურ ძალისხმევას ახორციელებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების შედეგების დასაძლევად, აღნიშნულია დოკუმენტში. რუსეთის დედაქალაქში მძევლად აყვანა კანონმდებლებმა შეაფასეს როგორც „მსოფლიო მასშტაბის ტერორიზმის საზარელი აქტი“.

* * *

**საზღვარგარეთელმა დიპლომატებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ალექსანდრე ვერშბოუმ, რომლებიც პარასკევს იმყოფებოდნენ დუბროვკის თეატრალური ცენტრის მახლობლად უცხოელ მძევალთა განთავისუფლების მოლოდინში, ეს რაიონი დატოვეს.**

* * *

**„ნორდ-ოსტის“ მიუზიკლზე მოსულ მაყურებელთა მძევლად აყვანის ოპერაცია პირადად ასლან მასხადოვმა შეიმუშავა. ეს პარასკევს განაცხადა მძევალთა განთავისუფლების ოპერატიული შტაბის წარმომადგენელმა.**

როგორც მან თქვა, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რადგან „არსებობს მრავალი დამადასტურებელი საბუთი“. თავის ბოლო სატელევიზიო მიმართვაში მასხადოვმა, კერძოდ, განაცხადა, რომ „მალე უნდა მოხდეს მოვლენები, რომლებიც მთლიანად შეცვლიან ჩეჩნეთში სიტუაციას“. „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტისათვის 24 ოქტომბერს მიცემულ ინტერვიუში ტერორისტთა მეთაურმა მოვსარ ბარაევმა მთლიანად აღიარა, რომ აქვს კავშირი მასხადოვთან, განაცხადეს ოპერატიულ შტაბში. გარდა ამისა, თქვა თანამოსაუბრემ, „ტექნიკური საშუალებების დახმარებით დაფიქსირებულია ტერორისტთა მრავალი სატელეფონო კონტაქტი მათ თანამზრახველებთან ჩეჩნეთში, თურქეთსა და მთელ რიგ არაბულ ქვეყნებში“.

როგორც ოპერატიულ შტაბში თქვეს, მასხადოვს არაერთხელ განუცხადებია, რომ „ჩეჩენი მოჯაჰედები არ ეომებიან ქალებსა და ბავშვებს“. „დღეს მას აქვს ასპროცენტიანი შანსი ეს საქმით დაამტკიცოს“, – ხაზი გაუსვა თანამოსაუბრემ. შტაბში აგრეთვე აღნიშნეს, რომ ბოევიკები იყენებენ მათთვის ჩვეულ ტაქტიკას, რომ რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაპყრონ თავიანთ მოქმედებას დიდი საერთაშორისო ამბების, კერძოდ, მექსიკაში აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური სიერცის სამიტის მოვლენების წინ და, ეგრეთ წოდებული, დანიის მსოფლიო ჩეჩნური კონგრესის“ წინ.

* * *

**დუბროვკის თეატრალურ ცენტრში მძევალთა განთავისუფლების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად შექმნილ ოპერატიულ შტაბს ასლან მასხადოვთან კონტაქტის დასამყარებლად არავითარი ცდა არც ჰქონია და არც აპირებს ამას. ეს განაცხადა შტაბის საქმეში ჩახედულმა წყარომ, რომელმაც უარყო მასობრივი ინფორმაციის მთელი რიგი საშუალებების ინფორმაცია, თითქოს ყოფილიყო ცდები ამგვარი კონტაქტების შესახებ.**

„შტაბში გაიმართა თათბირი, რომელზეც გადაწყდა, რომ ცნობილმა და ავტორიტეტიანმა ჩეჩნებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობანი ჩეჩნეთში, რათა გადაწყდეს მძევლებთან დაკავშირებული საკითხი, – თქვა წყარომ. – ამასთან, ა. მასხადოვთან უშუალოდ დალაპარაკების გამო არავითარი საუბარი არა ყოფილა“. „თუ ვის დაუკავშირდებიან ეს ჩეჩნები – მასხადოვს ან რომელიმე სხვას, ეს ცნობილი არ არის“, – ხაზი გაუსვა წყარომ. ნებისმიერ შემთხვევაში, შენიშნა მან, საქმე მოლაპარაკებას როდი ეხება. „ამ ჩეჩნებმა, რომლებსაც კავშირი აქვთ რესპუბლიკასთან და, შესაძლოა, ჩეჩნეთის კრიმინალურ წრეებთანაც, შეუძლიათ გამონახონ შესაბამისი კონტაქტი, მათ შორის მასხადოვთანაც, რომელსაც შეუძლია გასცეს ბრძანება, რათა შეწყდეს ტერორისტული ოპერაცია მოსკოვში“.

* * *

**ჩეჩნეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა რუდნიკ დუდაევმა განაცხადა, რომ არ უნდა დაუშვან რუსეთის ქალაქებში მცხოვრებ ჩეჩენთა დაუსაბუთებელი დევნის ფაქტები მოსკოვში იმ ტერორისტთა ჯგუფის დაკავებასთან დაკავშირებით, რომლებმაც მძევლები აიყვანეს.**

რ. დუდაევმა პარასკევს ჟურნალისტებს უთხრა, რომ ეროვნული ნიშნით რუსეთის მოქალაქეთა დევნა ხელს ვერ შეუწყობს რუსი ხალხის შეკავშირებას, ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერებას. მან განაცხადა, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოსახლეობამ როგორც კი შეიტყო მოსკოვში მძევალთა აყვანის ამბავი, გულისწყრომით დაგმო ტერორისტები. ჩეჩნეთში გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები, ხოლო დიასპორის ათასობით წარმომადგენელმა ქვეყნის ბევრ რეგიონში განაცხადა, რომ მზად იყო მოსკოვის თეატრალურ ცენტრში აყვანილ მძევალთა სანაცვლოდ თვითონ გამხდარიყვნენ მძევლები, თქვა რ.დუდაევმა.

წინა დღით მოსკოვის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველომ უარყო მასობრივი ინფორმაციის მთელი რიგი საშუალებების ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს რუსეთის დედაქალაქში დაფიქსირებულიყოს თავდასხმები კავკასიელებზე.




* * *

**რუსი კანონმდებლები, რუსეთის ყველა რეგიონის საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები შეძრწუნებული არიან ქალაქ მოსკოვში მიმდინარე მოვლენების გამო. მძევლების აყვანა რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში – მრავალმილიონიან მეგაპოლისში არის მსოფლიო მასშტაბის ტერორიზმის საზარელი აქტი. ჩეჩენთა შეიარაღებული ფორმირებების მიერ განხორციელებული მორიგი ტერორისტული აქტი თვალნათლივ მოწმობს იმას, თუ სინამდვილეში ვინ არ არის დაინტერესებული ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარებითა და სისხლისღვრის შეწყვეტით.**

ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ ტერორისტული აქტი ორგანიზებულია სწორედ ახლა, როცა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში თანდათანობით დგება კალაპოტში მშვიდობიანი ცხოვრება. ფედერალური ხელისუფლება და ჩეჩნეთის მმართველობის ორგანოები ძალ-ღონეს არ იშურებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების შედეგების აღმოსაფხვრელად.

აშკარაა, რომ ტერორისტებმა მიზნად დაისახეს რუსეთის ფედერალური სახელმწიფოს ერთიანობისა და მთლიანობის, ჩვენი ხალხების მეგობრობისათვის ძირის გამოთხრა.

რუსეთის ფედერაციის კანონმდებელთა საბჭო მოუწოდებს ფედერალური ხელისუფლების ორგანოებს მიიღონ ყველა ზომა მძევალთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

რუსეთის ფედერაციის კანონმდებელთა საბჭო დაჟინებით მოუწოდებს რუსეთის მოქალაქეებს, ქვეყნის საზოგადოებრიობას, ძალოვან სტრუქტურათა თანამშრომლებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს შეინარჩუნონ თავშეკავება და სიმშვიდე, არ აჰყვნენ არანაირ პროვოკაციებს.

ჩვენი საერთო ამოცანაა არ დავუშვათ ცხოვრების დესტაბილიზაცია ქვეყანასა და მის თითოეულ რეგიონში. ეროვნებათშორისი მშვიდობა და თანხმობა ჩვენი საერთო მონაპოვარია, ჩვენ მას უნდა მოვუფრთხილდეთ. მიღებულია ერთხმად, 2002 წლის 25 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციის კანონმდებელთა საბჭოს სხდომაზე, ხაზგასმულია მიმართვაში.

* * *

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეაშფოთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ სულ უფრო იზრდება მუქარა ჩეჩნების მიმართ, განსაკუთრებით მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში.** ამასთან დაკავშირებით, 25 ოქტომბერს უშიშროების ფედერალური სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან ნიკოლოზ პატრუშევთან და ბორის გრიზლოვთან გამართულ თათბირზე პრეზიდენტმა მათ დაუსახა ამოცანა: „არ წამოვეგოთ პროვოკაციებს. როსკენაც ჩვენ გვიბიძგებენ, არ დავუშვათ არანაირი გამოუსწორებელი მოქმედება. ჩვენ არ გვაქვს უფლება დავუშვათ მოვლენათა ნეგატიური განვითარება, ჩავიდინოთ რაიმე უკანონობა“, – თქვა მან.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ტერორისტთა ერთ-ერთი მიზანია დათესონ ეროვნებათშორისი შუღლი. ჩეჩნები, ისევე როგორც სხვა ჩვენი თანამემამულეები, იცავენ რუსეთის ინტერესებს და თავიანთი რესპუბლიკის მომავალს, თქვა მან და დასძინა, რომ „მრავალი მათგანი ამას აკეთებს ჩეჩნეთში იარაღით ხელში, ხშირად კი საკუთარი სიცოცხლის ფასადაც“. პრეზიდენტს აუცილებლად მიაჩნია ამ თემის განხილვა და „ყველაფრის გაკეთება საიმისოდ, რომ ეს საკითხი ამოიწუროს“.

* * *

**ბოლო ხანს ვითარება თეატრალურ ცენტრში სერიოზულად გაუარესდა. იქ ბევრია ავადმყოფი. მძევალთა შორის არიან ბავშვები, მრავალი მათგანი გაიტანჯა ორი დღე-ღამის განმავლობაში ტყვეობაში ყოფნით. ეს რადიო „ეხო მოსკვის“ ტელეფონით აცნობა ერთ-ერთმა მძევალმა ანა ანდრიანოვამ.** მან თქვა, რომ „იგრძნობა რაღაც ცუდის მოახლოება“. „და ადამიანებიც თავს ძალზე ცუდად გრძნობენ. ჩვენს შორის არის ექიმი, რომელსაც მიაჩნია, რომ სტრესის ფონზე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანებს გაუმწვავდათ ქრონიკული დაავადებები: გულსისხლძარღვთა შეტევა, წნევის ცვალებადობა... ჰიპერტონიული კრიზი ჯერჯერობით არ არის, მაგრამ, საერთოდ, ყველაფერი ამას უახლოვდება. ადამიანებს აწუხებთ თავის ტკივილი, გულის რევა, თითქმის გულწასულები არიან.

მიუზიკლ „ნორდ-ოსტის“ ერთი-ერთი ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი გიორგი ვასილიევი, რომელიც მძევალთა შორის იმყოფებოდა, იტყობინებოდა, რომ მაყურებლის დარბაზი ძალზე ჩახუთულია და ადამიანებს არა აქვთ არა მარტო საჭმელი და წყალი, არამედ პირადი ჰიგიენის ელემენტარული საშუალებებიც კი. კერძოდ, ტუალეტის ნაცვლად ორკესტრის ორმოთი სარგებლობენ.

* * *

**ტერორისტები, რომლებმაც მძევლები აიყვანეს მოსკოვში, მიიჩნევენ, რომ წარმატებით შეასრულეს დავალება. ეს განაცხადა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ პირდაპირ ეთერში ინგლისის გაზეთ „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტმა მარკ ფრანკეტიმ. როგორც ფრანკეტიმ თქვა, ხუთშაბათს ღამით მან შეძლო დაკავშირებოდა ტერორისტთა ხელმძღვანელს.**

„გაზეტა. რუს“ მონაცემებით, ტერორისტებმა ჟურნალისტს აცნობეს, რომ „ასეთი დავალების შესრულება მათი ოცნება იყო, ისინი აქ ჩამოვიდნენ იმისთვის, რომ დაიხოცნენ“. ბარაევმა თქვა, რომ ეს არის მასხადოვისა და ბასაევის ერთობლივი აქცია და ისინი აქ მათი ბრძანებით იმყოფებიან. ფრანკეტის აგრეთვე შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „თვით ტერორისტები არაფერს არ წყვეტენ და ელოდებიან მითითებებს ჩეჩნეთიდან“.

როგორც ჟურნალისტმა თქვა, ტერორისტები აცხადებენ, რომ „არ აპირებენ არსად წასვლას არც მძევლებთან ერთად და არც მათ გარეშე, მანამ, სანამ რაიმე ცვლილებები არ მოხდება ჩეჩნეთში; მათ შეასრულეს თავიანთი ამოცანა – ჩამოვიდნენ მოსკოვში და აიყვანეს მძევლები, ამის შემდეგ კი პუტინმა იფიქროს“.

* * *

**თეატრალურ ცენტრში დატყვევებულმა მძევლებმა დაურეკეს თავიანთ ნათესავებს და აცნობეს, რომ ტერორისტებმა წამოაყენეს ულტიმატუმი.**

**ვადა იწურება 26 ოქტომბერს დილის 6 საათზე. ამის შემდეგ, ამტკიცებენ ტერორისტები, ისინი დაიწყებენ მძევალთა დახვრეტას.**

ასეთი ინფორმაცია გაავრცელა მიუზიკლ „ნორდ-ოსტის“ პრესსამსახურმა.

ინფორმაცია მომავალი დახვრეტის შესახებ დაუდასტურა ჟურნალისტებს ოპერატიული შტაბის სპეციალურმა წარმომადგენელმა სერგეი იგნატჩენკომაც.

* * *

**ვიცე-პრემიერმა ვალენტინა მატვიენკომ მოსკოვში ტერორისტების მიერ მძევლად აყვანილ პირთა ნათესავებს აღუთქვა, რომ მათი ახლობლების განთავისუფლებისათვის „კეთდება ყველაფერი შესაძლებელი და შეუძლებელიც კი“.**

**„მზად ვართ ნებისმიერი მოლაპარაკებისათვის, მაგრამ ტერორისტებს არ სურთ წარმართონ მოლაპარაკების პროცესი“, – შენიშნა მატვიენკომ.**

როგორც ვიცე-პრემიერმა თქვა, მძევლები ახლა მთლიანად უზრუნველყოფილი არიან სამედიცინო პრეპარატებითა და სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებებით.

ამავე დროს, ტერორისტები ჯერჯერობით უარს აცხადებენ მიიღონ კვების პროდუქტები მძევლებისათვის. ამჟამად მძევალთა შორის 30-ზე ნაკლები ბავშვია, თქვა მატვიენკომ. კატასტროფათა მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელის ლეონიდ როშალის მონაცემებით, მძევალთა ჯანმრთელობა ჯერჯერობით სერიოზულ შეშფოთებას არ იწვევს.



ვიცე-პრემიერმა განაცხადა, რომ ტერორისტები აიძულებენ მძევალთა ნათესავებს გამართონ მიტინგები, პლაკატებით გამოვიდნენ მოსკოვის ქუჩებში. როგორც მან თქვა, ეს მას განუცხადეს მძევლების ნათესავებთან დღეს გამართული შეხვედრის დროს.

ვიცე-პრემიერმა თქვა, რომ მიტინგი წითელ მოედანზე არ გაიმართება. „ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ იქ მორიგი პროვოკაცია არ მოხდება?“ – აღნიშნა მან. როგორც მატვიენკომ თქვა, მძევალთა ნათესავებს შეახვედრებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს, ისინი აგრეთვე შეძლებენ მიტინგის გამართვას იმ შენობიდან 500 მეტრის რადიუსით, რომელშიც დატყვევებული ჰყავთ მძევლები.

* * *

**რუსეთის სპეცსამსახურებმა მოიპოვეს ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერის ასლან მასხადოვის განცხადების ვიდეოჩანაწერი, რომელშიც იგი იმუქრება რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების განხორციელებით.**

პირველი არხის ახალი ამბების პროგრამაში პარასკევ საღამოს უჩვენეს ა.მასხადოვის ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტი, რომელშიც, კერძოდ, იგი აღნიშნავდა: „ჩვენ პრაქტიკულად პარტიზანული ომის მეთოდებიდან გადავედით საიერიშო ოპერაციების განხორციელების მეთოდზე. დარწმუნებული ვარ და ეჭვი არ მეპარება, რომ დასკვნით ეტაპზე ჩვენ უთუოდ განვახორციელებთ კიდევ უფრო უნიკალურ ოპერაციას, ჯიჰადის მსგავსს, და ამ ოპერაციის მეშვეობით გავათავისუფლებთ ჩვენს მიწა-წყალს რუსი აგრესორებისაგან“.

* * *

**საქართველოს მხარის მონაცემებით, ტერორისტების მიერ მოსკოვში დატყვევებულ მძევლებს შორის 4-5 საქართველოს მოქალაქეა. ეს განაცხადა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა. როგორც მან თქვა, ეს „ამ დროისათვის შემოწმებული მონაცემებია“. რჩეულიშვილმა აღნიშნა, რომ მძევალთა შორის იმყოფებიან 13 წლის გოგონა ქეთევან ჭიპაშვილი, ელენე ჯმუხაძე და ნაფეტვარიძეების ოჯახი, სავარაუდოდ, მამა, დედა და ბავშვი.**

სპიკერმა აღნიშნა, რომ „საქართველოს საელჩო აკეთებს ყველა შესაძლებელს მძევლად აყვანილი საქართველოს მოქალაქეების ვინაობის დასადგენად“. დუბროვკაზე თეატრალურ ცენტრთან მუდმივად იმყოფებიან საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლები. საქართველოს საელჩოში დასძინეს, რომ რჩეულიშვილის მიერ დასახელებულ პირთა გარდა, მძევალთა შორის, შესაძლოა, იმყოფებოდეს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე. „წინასწარი მონაცემებით, ეს ახალგაზრდა კაცია, ამჟამად ვცდილობთ მისი ვინაობის დადგენას“, – თქვა საელჩოს წარმომადგენელმა. მოსკოვში ტერორისტების მიერ მძევლად აყვანილ პირთა შორის იმყოფება საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის მეუღლის ახლო ნათესავი.

საქინფორმი.

*მომზადებულია რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების მასალებზე დაყრდნობით.*

## შეხვედრა საქართველოში ევროსაბჭოს დელეგაციის წარმომადგენელთან

25 ოქტომბერს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე შეხვდა საქართველოში ევროსაბჭოს დელეგაციის წარმომადგენელს პლამენ ნიკოლოვს. შეხვედრის დროს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ევროსაბჭოს დელეგაციის წარმომადგენელს გააცნო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება. საუბარი შეეხო კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხებს.

## მოგზაურობა იახტით – „აფხაზეთი“

27 ოქტომბერს თბილისის ჯიქიას ქუჩის № 9-დან, 12 საათზე გეზს აიღებს და ქალაქის ცენტრალური ქუჩების გაველით თბილისის ზღვის იახტ კლუბში „მივა“ ცნობილი მოგზაურის და მეზღვაურის ნუგზარ კიკნაძის მიერ საკუთარი ხელით აგებული იახტა. მცირე, აფრიანი მინი-კრეისერული იახტა თბილისის ზღვაზე გაივლის სანაოსნო გამოცდებს და მოემზადება მარტოდმარტო სამოგზაუროდ მარშრუტით: „მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციები: საქართველო ფოთი-საბერძნეთი-რომი-აცტეკები-ინკები-ინდოჩინეთი-არაბული სამყარო-ისრაელი-კვიპროსი-საქართველო“. ცნობილმა მოგზაურმა თავის პირმშოს „აფხაზეთი“ შეარქვა. მისი აზრით, ეს იქნება საქართველოსა და მისი ძირძველი კუთხის აფხაზეთის კულტურის უწყვეტი პროპაგანდა მოგზაურობის ორი წლის განმავლობაში.

## იწყება ფრენა ერევანსა და ბაქოში

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მომსახურებას ისახავს მიზნად ავიაკომპანია „კავკასიის ავიახაზები“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა. 28 ოქტომბერს შედგება პირველი ფრენა ერევანში, მომდევნო დღეს კი – ბაქოში. რეისები სომხეთში შესრულდება კვირაში ხუთჯერ, აზერბაიჯანში კი – ორჯერ. „კავკასიის ავიახაზების“ განკარგულებაშია ორი 30-ადგილიანი ბრაზილიური წარმოების თვითმფრინავი „ემბრაერ-120“, რომელთა სიჩქარე საათში 650 კილომეტრია.

## საიმედო და მობილური

სს „საქართველოს ბანკში“ გაიმართა მოწინავე ინტერნეტტექნოლოგიებზე შექმნილი პროდუქტის „ინტერნეტბანკის“ პრეზენტაცია. როგორც „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა განაცხადა, ბანკი საქართველოს საფინანსო ბაზარზე ლიდერის პოზიციის განმტკიცებას განაგრძობს, რასაც ახალი საბანკო პროდუქტის წარმოდგენაც ადასტურებს – „ინტერნეტბანკით“ მომსახურება უფრო საიმედოა და მობილური.

## უცხოელი ექსპერტები გვეხმარებიან

**საქართველოში** იმყოფებიან საერთაშორისო უშიშროების საკითხებში მრჩეველთა ჯგუფი და ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნების ექსპერტები, რომლებიც საქართველოს დაეხმარებიან ჩვენი ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოს დავალებით შექმნილი იმ პროგრამის საბოლოო შემუშავებაში, რომელშიც ჩამოყალიბებულია საქართველოს ნატოში გაწევრებისათვის საჭირო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, თავდაცვითი, უშიშროების, სამხედრო, სამართლებრივი ღონისძიებანი.

აღნიშნულ პროგრამას საქართველო 21-22 ნოემბერს პრაღაში დაგეგმილ ნატოს სამიტზე წარმოადგენს და კიდევ ერთხელ განაცხადებს ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრების სურვილს. სწორედ ამ სამიტზე საქართველო შეიტანს ნატოში გაწევრებისათვის ოფიციალურ განაცხადს.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

მწარე სტრიქონები

# სამხრეებიანი „ბაბუების“ სახლები, აგარაკები და...

## ასე ვერც ჯარი აშენდება და ვერც ქვეყანა

(პირველი გვერდიდან)

**ჯამაგირი ჰქონდა მეტად მცირე და ისიც არ ეძლეოდა რამდენიმე თვეობით. მატერიალურად არავინ არ იყო კმაყოფილი. მიუხედავად ამისა, ქართველი ოფიცრობა თავს არ ზოგავდა და ყოველი ღონით ხელს უწყობდა ქართული ჯარის შექმნას. ოფიცრები ხშირად ატარებდნენ დღეებსა და ღამეებს ჭუჭყიან ყაზარმებში, თავის ხელით უვლიდნენ ცხენებს, ჰკვიდნენ და ასუფთავებდნენ საჯინიბოებს, ასრულებდნენ ჯარისკაცების მოვალეობას, ეწეოდნენ უნტერ-ოფიცრების მაგივრობასა და ერთგულად და პირნათლად ეწეოდნენ საკუთარსა და სხვის უღელს“.**

„მოგონებანი“ ჰქვია ამ წიგნს, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, და რომელიც 1917 წელს, პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის გარიჟრაჟზე, ეროვნული ჯარის მშენებლობის საკითხებს ეხება.

დღესაც, ლამის საუკუნის შემდეგ, თითქმის ანალოგიური პრობლემებია ჩვენს ჯარში. კვლავაც იმდენი ოფიცრობა გვყავს, თუნდაც გენერალიტეტი, საქართველოს კი არა, მასზე ათჯერ დიდი სახელმწიფოს ჯარს ეყოფა, მაგრამ იყო და არის კი მათში (ცხადია, ეს ყველას – ფიცისა და ქვეყნის ერთგულ ოფიცრებს არ ეხებათ) იმგვარი პატრიოტული შემართება და განწყობა, რომელიც მაზნიაშვილისეული შეგვაძლებინებს ვთქვათ, რომ „ქართველი ოფიცრობა თავს არ ზოგავდა და ყოველი ღონით ხელს უწყობდა ქართული ჯარის შექმნას?“

სამწუხაროა, მაგრამ ამჟამად მათზე ასეთ რამეს ნამდვილად ვერ ვიტყვით, რადგან, ჯარის შექმნაზე უფრო მეტად (კვლავაც მაპატიონ პატიოსანმა ოფიცრებმა, რომლებიც, საბედნიეროდ, საკმაოდ გვყავან) საკუთარი კეთილდღეობის შექმნაზე უფრო ზრუნავენ.

ამის მაგალითად თუნდაც მხოლოდ ის ფეშენებელური აგარაკები, თუ სახლები და ბინები იკმარებს, ისინი რომ იშენებდნენ და იშენებენ.

ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოახმაროს კანონიერი გზით ნაშოვნი ფულით აგებული სახლი თუ აგარაკი, მაგრამ ესენი რანაირად და რის ხარჯზე აშენებდნენ თუ იშენებენ?

მაზნიაშვილის დროინდელი ქართველი ოფიცრობისა არ იყოს, ჩვენი ამჟამინდელი ოფიცრებიც ხომ არ არიან „კმაყოფილი მატერიალურად?“ ჯამაგირი ხომ მათ შინდელივით „მეტად მცირეა“ და „ისიც არ ეძლევათ რამდენიმე თვეობით?“

ამგვარი ოფიცრები, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მოფიქრალნი, არ დაზოგავენ თავს და ყოველი ღონით შეუწყობენ ხელს ქართული ჯარის შექმნას? საჭიროებისას შეასრულებენ ჯარისკაცის მოვალეობას და ერთგულად და პირნათლად გასწევენ საკუთარსა და სხვის უღელს?

დღეს არა! ამგვარი რამ მხოლოდ მაზნიაშვილის დროს ხდებოდა.

დღეს, სამწუხაროდ, ჯარსაც ისევე ხრავს კორუფცია, როგორც მრავალ სხვა უწყებას. ამის დამადასტურებელია თუნდაც ჩემი კოლეგის რუსუდან ლორთქიფანიძის წერილში მოტანილი ფაქტები, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, აგრეთვე მრავალი სხვა გახმაურებული თუ გაუხმაურებელი მომენტი, რომლებსაც, ადრე თუ გვიან, ნათელი მოეფინება, რადგან, მართლაც, „არა არს რა დაფარული, რომ არ გაცხადდეს“.

მაგრამ ეს იქნება მომავალში. დღეს კი დაუსჯელობის სინდრომი მძლავრობს.

თუმცა ამასაც მოეღება ბოლო! ამის იმედს მაძლევს მთავრობის ბოლო სხდომა და მასზე გამოკვეთილი საქართველოს პრეზიდენტის მკაცრი, მეტად სამართლიანი და მეტისმეტად საჭირო პოზიცია.

ეს წერილიც სწორედ ამან და ამ სხდომაზე ქალბატონ იზა ორჯონიკიძის მიერ დაყენებულმა მწვავე საკითხმა დამაწერინა.

მართლაც ყველაფერს ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი? მართლაც ხომ არ შეიძლება, რომ უმთავრესად ეროვნული ჯარის გაჭირვების ხარჯზე ნაშოვნი ფულით ამავე ჯარის მაღალჩინოსნებმა სწორედ იქ მოინდომონ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება, სადაც, როგორც სამეგრელოში იტყვიან, „ვაშინერს?“

კიდევ ერთი ფაქტი: შარშან მუქნიშანთან მეჩერებულ ჩვენი რედაქციის სასამსახურო მსუბუქ ავტომობილს უკნიდან სამხედრო სატვირთო მანქანა დაეჯახა. ჩვენი მძღოლის სიყოჩაღის წყალობით რედაქციის თანამშრომლები სასწაულებრივ გადაურჩნენ დალუპვას თუ არა, სერიოზულად დამტვრევა-დასახიჩრებას მაინც.

სატვირთო ავტომანქანა დუშეთში დისლოცირებული სამხედრო ნაწილისა ყოფილა და, როგორც მისი მძღოლი თბილისის სამხედრო პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში წერდა, ერთი კვირით თბილისში მიუვლინებიათ. თანაც, როგორც გაირკვა, დადგენილი წესების უხეში დარღვევით და რაიმე სამხედრო დავალების შესასრულებლად კი არა, მძღოლის თქმით (უფრო სწორად, დაწერილით)... მავანი „ბაბუს“ – ინკოგნიტო (რაკილა პროკურატურამაც ვერ „მიაგნო“) სამხედრო პოლკოვნიკის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე სამუშაოდ.

მაგარია, ხომ?

ალბათ, იფიქრებთ, ასეთი ფაქტის გამო პროკურატურა ქვას ქვაზე არ დატოვებდაო!

როგორ გეკადრებათ. „ბაბუსთვის“ ბუზიც არავის აუფრენია და არც, თუნდაც, ჩვენი დამტვრეული მანქანის შეკეთებით შეუწუხებია ვინმეს თავი (იქნებ, დაგვიანებით მაინც დაინტერესდეს საგნობრივად ამით თბილისის სამხედრო პროკურატურა?)

აშენდება ამგვარი მიდგომით ჯარი და ქვეყანაც, რომელიც ამ ჯარმა უნდა დაიცვას?

...„ნუ იცხოვრებ სამშობლოზე უკეთ!“ – ალბათ, რაოდენ ღიმილისმომგვრელად ჟღერს ეს საოცრად მართალი და მრავლისმეტყველი მოწოდება ამგვარი ბობოლა სამხრეებიანი „ბაბუებისთვის“, რომელთა „წისქვილიც“, ვინც რა უნდა თქვას და, თუნდაც ქვეყანა დაიქცეს, მაინც ფქვავს! თანაც, ცხადია, მხოლოდ მათთვის.

მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამგვარად „დაფქული“ ხორბლისგან გამომცხვარი პურის ლუკმამ ყელზე დადგომა იცის!

ნიშნის მოგებით არ ვამბობ, მაგრამ, ვგონებ, დადგა ამის დროც.

მაშინ ჯარსაც ეშველება და ქვეყანასაც.

რუსლან რუსია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## უახლესი ისტორია

(პირველი გვერდიდან)

# ეს იყო უაღრესად შემოქმედებითი და აქტიური დიპლომატიის პერიოდი

**ნაწყვეტები ლეონიდ მლეჩინის წიგნიდან „საგარეო საქმეთა მინისტრები – რომანტიკოსები და ცინიკოსები“**

მოსკოვში ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ებრძანათ, საერთო მწყობრზე აეღოთ სწორება. დამოუკიდებლობის ამ ატრიბუტის მოცილების ცდამ მასობრივი აღშფოთება გამოიწვია ახალგაზრდობაში. ქართველმა სტუდენტებმა, ისევე, როგორც 1956 წლის მარტში, მოაწყვეს დემონსტრაცია, თუმცა, ესმოდათ, რომ ეს შეიძლებოდა, ტრაგიკულად დამთავრებულიყო. შევარდნაძე შეეცადა, ყველაფერი აეხსნა ბრეჟნევისათვის. გენერალური მდივანი შეიჭმუხნა: „ეს იდეოლოგიური საკითხიაო“, და პირველ მდივანს ურჩია, მიემართა მიხეილ სუსლოვისათვის, ის არისო პარტიის მთავარი იდეოლოგი. დოგმატიკოს სუსლოვს არაფრის გაგონება არ სურდა, დაეჩემებინა, ეს რესპუბლიკური ენობრივი ანომალია მარქსიზმს ეწინააღმდეგებაო.

14 აპრილს, იმ დღეს, როდესაც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ხმა უნდა მიეცათ ახალი კონსტიტუციისათვის, თბილისის მთავრობის სახლთან ათასობით ახალგაზრდამ მოიყარა თავი, თანაც, რესპუბლიკის ხელმძღვანელობაშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც უკან არ დაიხევდნენ ძალის გამოყენებაზე, ჯარის გამოყვანაზე. შევარდნაძემ ერთხელ კიდევ დაურეკა სუსლოვს, გაახსენა 1956 წლის სისხლისღვრა და სთხოვა, მოეხსენებინა ბრეჟნევისათვის, რომ რესპუბლიკაში უაღრესად დაძაბული სიტუაციაა, და იგი, როგორც პირველი მდივანი, ვალდებულია, ყველაფერი იღონოს სიმშვიდის შესანარჩუნებლად. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მეუპოვრობისა და მეგონების უნარის წყალობით, შევარდნაძემ თავისი გაიტანა — ქართული საქართველოში სახელმწიფო ენად დარჩა.

იგი მთავრობის სახლთან შეკრებილ სტუდენტებთან გავიდა და მოზომილი ხმით უთხრა:

— ძმებო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთო.

უზარმაზარ მოედანს აღტაცების ყიჟინამ გადაუარა. შევარდნაძე რესპუბლიკაში გმირი გახდა.

მან შეძლო, ახალგაზრდობაც დაემშვიდებინა და მთელი საქართველოც მოემადლიერებინა. თანაც, არც მოსკოვი გადაემტერებინა. უფრო მეტიც, ბრეჟნევმა დაუფასა შევარდნაძეს პოლიტიკური ხელოვნება, და ნახევარი წლის შემდეგ, 1978 წლის ნოემბერში, იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად დანიშნა. მაღალი პარტიული წოდების ღირსი ყველა რესპუბლიკის ხელმძღვანელი როდი ხდებოდა.

იმავე, ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს მიხეილ გორბაჩოვი. გორბაჩოვი და შევარდნაძე ერთმანეთს შორიდან იცნობდნენ კომკავშირში მუშაობის დროიდან. როდესაც გორბაჩოვი ცენტრალური კომიტეტის მდივნად დადგა სოფლის მეურნეობის დარგში, უფრო ახლოს გაიცნეს ერთმანეთი. გორბაჩოვი საქართველოში ჩადიოდა და შევარდნაძე უჩვენებდა, რას შეიძლება მიაღწიოს გლეხმა კაცმა თავისი გარჯით, თუ მას ხელს არ შეუშლი.

ბრეჟნევი აფასებდა შევარდნაძეს და 1981 წელს სოციალისტური შრომის გმირის „ოქროს ვარსკვლავით“ დააჯილდოვა. ბრეჟნევი აძლევდა შევარდნაძეს იმის ნებას, რისი უფლებაც სხვა ადგილობრივ მდივნებს არ ჰქონდათ. ქართველი ინტელიგენცია უკეთ ცხოვრობდა, რესპუბლიკაში მეტი იყო თავისუფალი აზროვნება.

### მოტორიანი ნავი სმოლენსკის მოედანზე

ის იყო გორბაჩოვი გენერალურ მდივნად აირჩიეს, რომ შევარდნაძემ მარჯვედ შეაქო მიხეილ სერგის ძე ცენტრალური კომიტეტის პირველსავე პლენუმზე და მთლიანად დაუჭირა მხარი მის გეზს, რომელიც ჯერ არც იყო ხეირიანად ჩამოყალიბებული. ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ მთელი მსოფლიო გამოეხმაურა გორბაჩოვის არჩევას, მოიყვანა ციტატები „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიიდან, მერე კი ეშმაკურად დასძინა:

— მე ვიცი, რომ მიხეილ სერგის ძეს არ უყვარს, როდესაც აქებენ. მაგრამ მე ხომ არ ვაქებ, ამას ამერიკელები ამბობენ...

დარბაზში კმაყოფილი სიცილი გაისმა.

არავინ არ მოელოდა, რომ გორბაჩოვი მას საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნავდა. მაგრამ მიხეილ სერგის ძეს სჭირდებოდა არა იმდენად პროფესიონალი — ასეთები მრავლად ჰყავდა სამინისტროს აპარატში, — რამდენადაც თანამოაზრე, მოკავშირე. ერთხელ ისინი ერთად ისვენებდნენ ბიჭვინთაში. ლაპარაკობდნენ [illegible]

გრომიკოსთან საუბრისას, რომელიც უკვე უმაღლეს საბჭოში გადადიოდა, გორბაჩოვმა ჰკითხა, ვის მირჩევდით საგარეო საქმეთა მინისტრად. გრომიკომ მაშინვე დაასახელა თავისი პირველი მოადგილე — გიორგი კორნიენკო, რომელიც ყველაზე ღირსეულ კანდიდატურად მიაჩნდა, მერე კი, ცოტა უხალისოდ, დაუმატა კიდევ ორი კანდიდატურა — ელჩი შეერთებულ შტატებში დობრინინი და ელჩი საფრანგეთში ვორონცოვი.

გორბაჩოვი ცალი ყურით უსმენდა, მერე კი ჰკითხა:

— რა აზრისა ხართ შევარდნაძეზე?

გამობრძმედილი გრომიკოც კი გაოცდა: რესპუბლიკის პარტიული მდივანი საგარეო საქმეთა მინისტრის როლში? მაგრამ მყისვე დაძლია გაოცება და უთხრა:

— არა, რა თქმა უნდა, მე არა ვარ წინააღმდეგი. მე ხომ მესმის, რომ ეს ყოველმხრივ მოფიქრებული წინადადებაა.

გორბაჩოვმა აუხსნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე სჭირდება თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა, კაცი, რომელიც მზად არის ცვლილებებისათვის. გრომიკომ ვერ გაბედა, შეპასუხებოდა ახალ გენერალურ მდივანს.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ორიოდ კვირით ადრე, გორბაჩოვმა შევარდნაძეს თბილისში დაურეკა:

— შენზე დიდ იმედებს ვამყარებ. მაქვს ორი წინადადება. ჯერ არ დაგიკონკრეტებ. მაგრამ ორივე შენს მოსკოვში გადმოსვლას მოითხოვს.

შევარდნაძემ, როგორც ასეთ დროს მიღებული იყო, უთხრა, ჩემთვის მთავარია გენერალური მდივნის მხარდაჭერა მქონდეს იმ ადგილზე, სადაც ვმუშაობ, და სხვა არაფერი არ მინდაო. 1985 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში გორბაჩოვმა კვლავ დაურეკა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შესთავაზა. შევარდნაძემ გულწრფელად გაიოცა:

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამას — არა. უნდა მოვიფიქრო. ალბათ, თქვენც იფიქრებთ კიდევ. ჯერ ერთი, პროფესიონალი არ მეთქმის... მეორეც, ქართველი ვარ... შეიძლება, კითხვები წამოიჭრას.

მეორე დილას მოსკოვში ჩაფრინდა. გორბაჩოვთან საუბრისას ჩამოაყალიბა ყველა საწინააღმდეგო არგუმენტი. დიპლომატია — ეს არის პროფესია, მე კი არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია. და, რაც მთავარია, — ამ პოსტზე მაინც რუსი კაცი უნდა იყოსო.

[illegible] გრომიკო. რაც შეეხება ეროვნებას, მართალია, შენ ქართველი ხარ, მაგრამ შენ ხომ საბჭოთა ადამიანი ხარ! არა გაქვს გამოცდილება? შეიძლება, ეს კარგიც იყოს, რომ არა გაქვს. ჩვენს საგარეო პოლიტიკას სჭირდება ახლებური ხედვა, გამბედაობა, დინამიზმი, ნოვატორული მიდგომები...

საუბრის შემდეგ გორბაჩოვმა პოლიტბიურო შეკრიბა.

— ჩვენ ვერ ვიპოვით მეორე გრომიკოს, — თქვა მან, — ვერ ვნახავთ კაცს, მისი გამოცდილება რომ ჰქონდეს და მასსავით რომ იცოდეს საგარეო პოლიტიკის პრობლემები. მაგრამ, თვით ანდრია ანდრიას ძესაც ხომ, თავის დროზე, დიპლომატის გზას რომ შეუდგა, არ გააჩნდა ისეთი გამოცდილება და ცოდნა, როგორიც ახლა აქვს. მე ვესაუბრე ანდრია ანდრიას ძეს იმის შესახებ, თუ ვინ წამოგვეყენებინა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. კვალიფიციური დიპლომატები ჩვენ მრავლად გვყავს. გამოცდილი მუშაკია კორნიენკო, როგორც პარტიულ, ისე დიპლომატიურ სამუშაოზეა ნამყოფი ჩერვონენკო. არც დობრინინი დაგვვიწყებია. და მაინც, სულ სხვა მიმართულება ვარჩიეთ. მინისტრის პოსტზე გვჭირდება თვალსაჩინო ფიგურა, კაცი ჩვენი შემადგენლობიდან, რომელსაც კარგად ვიცნობთ და რომლისაც გვეიმედება.

აქ გრომიკო მაინც შეეცადა, თავისი სიტყვა ეთქვა:

— დიპლომატთა მთელი კოპორტა აღეზარდეთ.

გორბაჩოვმა მისი სიტყვები ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა.

— საბოლოოდ, ჩვენ შევჩერდით იმაზე, რომ რეკომენდაცია მივცეთ ედუარდ შევარდნაძეს. ეს გახლავთ ჩამოყალიბებული მოღვაწე, პრინციპული კაცი. ედუარდ ამბროსის ძემ თავი გამოიჩინა როგორც გამოწრთობილმა, დარბაისელმა კაცმა, რომელიც ყოველთვის იპოვის მიდგომებს პრობლემების გადაჭრისადმი. ანგარიშგასაწევია მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც:






ჩვენი ქვეყანა მრავალეროვანია, და საჭიროა, ეს მრავალეროვნება აისახოს პარტიის ცენტრალური ორგანოების შემადგენლობაშიც. დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

შემდეგ გამოვიდა გრომიკო, როგორც ყოველთვის, ლოიალური უფროსობის აზრისადმი:

— გთავაზობთ, მხარი დაუჭიროთ წინადადებას. ამხანაგი შევარდნაძე ხელმძღვანელი ცენტრის წევრია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო საქმეთა მინისტრისათვის.

1 ივლისს შეიკრიბა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. შევარდნაძე კანდიდატობიდან პოლიტბიუროს წევრად გადაიყვანეს. სხვათა შორის, ამავე პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს ბორის ელცინი.

როდესაც გრომიკომ კაბინეტი გაათავისუფლა, შევარდნაძე პირველად მივიდა სმოლენსკის მოედანზე. მაღლივი შენობის სადარბაზოსთან მას შეეგება მინისტრის სამდივნოს უფროსი, რომელმაც მეშვიდე სართულზე აიყვანა და უჩვენა ნომერ 706 კაბინეტი. ამ კაბინეტში მუშაობდა მისი ყველა წინამორბედი, ვიშინსკიდან მოყოლებული. შევარდნაძემ მინისტრის მოადგილეები იხმო და მათ გულახდილად მიმართა:

— მე რომ დღეში ვარ, მტერსაც არ ვუსურვებ. საგარეო პოლიტიკის ცოდნით თქვენ ვერ გაგაკვირვებთ. შემიძლია, მხოლოდ აღგითქვათ, ვიმუშავებ ისე, რომ მე თქვენი არ შემრცხვეს, და თქვენ — ჩემი. განსაკუთრებით გამიჭირდება გრომიკოს ავტორიტეტის ფონზე. ვინა ვარ მე, მასთან, საგარეო პოლიტიკის კრეისერთან შედარებით? მხოლოდ და მხოლოდ ნავი, ოღონდ — მოტორიანი.

ხუმრობა ყველას მოეწონა.

### რა გეგმები გაქვთ ამ საღამოს?

როდესაც შევარდნაძე დანიშნეს, სამინისტროს თავკაცებს სრული პროსტრაცია დაეუფლა. ყველას ეგონა, თუ პროფესიონალზე შეჩერდებოდნენ, მინისტრად კორნიენკოს დაუნიშნავდნენ. თუ არჩევანს პოლიტიკოსზე შეაჩერებდნენ — მაშინ, ეს იქნებოდა ვიტალი ვოროტნიკოვი, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ქედმაღალი დიპლომატები, მეტწილად, ელიტური საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი, აბსოლუტურად არ მოელოდნენ, რომ უფროსად პროვინციელს, ქართველ კაცს დაუყენებდნენ.

კარიერიანი დიპლომატები ერთ შეხმატკბილებულ საძმოს შეადგენდნენ. ისინი ამაყობენ თავიანთი პროფესიონალიზმით და არ უყვართ ერთბაშად დაწინაურებულნი, თვლიან, რომ ისინი ასეთ მაღალ პოსტს ვერაფრის დიდებით ვერ ეღირსებოდნენ, ჩვეულებრივი დიპლომატიური კარიერის გაკეთებას რომ ცდილიყვნენ.

ყოფილმა მინისტრმა ანდრია გრომიკომ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის დაუცდებოდა ფეხი მის შემცვლელს, თავის შვილს შესჩივლა:

— შევარდნაძემ ნამდვილი ეგზეკუცია მოუწყო პროფესიონალთა კადრებს, მარტო იმიტომ, რომ ბევრი დიპლომატი ფეხქვეშ არ გაეგო, შეინარჩუნა ღირსების გრძნობა და არ მოჰყვა ლაქიობას. სამინისტროში სასოწარკვეთილებისა და შიშის ატმოსფერომ დაისადგურა.

მაგრამ სულაც არ იყო საქმე ასე. შევარდნაძეს არავითარი წმენდა არ მოუწყვია, საერთოდ, კაციშვილი არ გაუგდია სამუშაოდან. პირიქით, მეშვიდე სართულზე მინისტრის კაბინეტის კარი გაიღო სამინისტროს თანამშრომელთა ფართო წრისათვის. შევარდნაძე მათ იმისთვის კი არ იწვევდა, რომ შეეხურებინა ან მითითება მიეცა, არამედ იმისთვის, რომ მათი აზრი მოესმინა. როდესაც რომელიმე ქვეყანაში ჩავიდოდა, იგი საელჩოში ეწვეოდა ხოლმე საბჭოთა დიპლომატებს და უამბობდა, რა ხდებოდა მოსკოვში. ძალზე გულახდილი იყო ჟურნალისტებთან.

შევარდნაძის ხელში ნიჭიერი ხალხი გაიფურჩქნა, სხვათა შორის, ისინიც კი, ვინც სხვაგვარ პოლიტიკურ მიმართულებას ადგა. ერთი წლის მანძილზე მან შეძლო, ჩასწვდომოდა ახალ სამუშაოს და თავის მხარეს გადაეყვანა დიპლომატიური სამსახურის აპარატი. თბილისიდან ჩაიყვანა მხოლოდ ერთი თანაშემწე — თეიმურაზ მამალაძე, ნიჭიერი ჟურნალისტი, რომელიც შემდეგ „იზვესტიაში“ მუშაობდა. მეორე თანაშემწედ დაიყენა სერგეი ტარასენკო, საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მართალია, სამინისტროში მოეწყო ნათესაობასთან ბრძოლის კამპანია. თუ უწყებაში მამა-შვილი მუშაობდა, მაშინ რომელიმეს სთხოვდნენ, წასულიყო. მაგრამ ეს ცენტრალური კომიტეტის მდივნის ეგორ ლიგაჩოვის იდეა იყო. სწორედ ლიგაჩოვმა გამოგზავნა სამინისტროში ახალი მოადგილე კადრების დარგში, რომელსაც მიეცა მითითება, აეყვანა საგარეო საქმეთა სამინისტროში რაც შეიძლება მეტი მუშისა და გლეხის შვილები, აგრეთვე, პარტიულ-კომკავშირული აქტივისტები.

პირველი რიგის სამოქმედო პროგრამა შევარდნაძემ გორბაჩოვთან ერთად შეიმუშავა: უნდა დაემყარებინათ ნორმალური დიალოგი შეერთებულ შტატებთან; შერიგებოდნენ კომპრომისს და მიეღწიათ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო პოტენციალების შეზღუდვისათვის; დაებრუნებინათ საბჭოთა ჯარები ავღანეთიდან; ნორმალურ კალაპოტში გადაეყვანათ ჩინეთთან ურთიერთობა. ზემოცანა იყო ის, რომ გამოეყვანათ ქვეყანა მტრული გარემოცვიდან, შეემცირებინათ მასზე ზეწოლა, შეექმნათ ცვლილებების ხელშემწყობი საგარეო პირობები და მიეცათ გორბაჩოვისათვის შესაძლებლობა, მთლიანად გადასულიყო საშინაო საქმეებზე.

შევარდნაძემ თანაშემწეებს გულახდილად უთხრა:

— მე ხომ არ შემიძლია, გავიტრუნო, არაფერი არ ვაკეთო, ცხოვრებით ტკბობას მოვყვე. საგარეო პოლიტიკა ჩიხშია მოქცეული, ქვეყანა ორმოდან უნდა ამოვიყვანოთ.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება იქნება).

## სახელმწიფოებრიობა

### ძალმომრეობა თუ წონასწორობა

**ამის თაობაზე ზემოთ უკვე მოგახსენებდით, მაგრამ ამჯერად მას ხელისუფლების შტოთა ძალაუფლების წონასწორობის პრინციპის თვალსაზრისით შევხედოთ.** დავუშვათ, პრეზიდენტმა ან სხვა უმაღლესი თანამდებობის პირმა დაუშვა კონსტიტუციაში (63-ე მუხლი, 75-ე მუხლი) მითითებული სამი გადაცდომიდან ერთ-ერთი, მაშინ ძალაში შედის არა უბრალო მოკვდავთათვის ორგანული კანონით განსაზღვრული წესი, არამედ განსაკუთრებული საკონსტიტუციო ნორმები. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ ჩვეულებრივი მოქალაქისაგან განსხვავებით ქვეყნის პრეზიდენტი და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირები განსაკუთრებით არიან დაცული თუნდაც დროებით მათი მოქალაქეობრივი უფლებების შეზღუდვისაგან. არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რომ ესეც **წონასწორობის პრინციპით არის ნაკარნახევი, რომ ხელისუფლების ერთი შტოს ძალმომრეობის პირობებში არ შესუსტდეს მეორე, მისი საკონსტიტუციო უფლებამოსილების შესრულებაში და თუნდაც დროებით, დაუცველი დარჩეს თვით მოქალაქე და მისი ინტერესები.**

„საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“ (საქ. კონსტიტუცია, მუხლი 75). რა არის ეს — ღმერთთან ადამიანის გატოლება, თუ მიწიერი საჭიროებით განპირობებული აუცილებლობა? ცხადია, მეორე და ამის თაობაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ — არ შეიძლება ასეთი ძალაუფლების მქონე ადამიანის გარეშე ქვეყნის თუნდაც დროებით დატოვება! **მამასადამე, საუბარია არა იმდენად პრეზიდენტის პიროვნების დაცვაზე, რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს მ.შ. პარლამენტის საქმიანობის კონსტიტუციის შესაბამისად ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, ქვეყნის ერთობასა და მთლიანობაზე.**

ასევე — **„პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით“** (საქართ. კონსტიტუცია, მუხლი 52-ე, პ. 2). მიაქციეთ ყურადღება — პარლამენტის წევრის თავისუფლების თუნდაც დროებით შეზღუდვა წყდება არა სასამართლოს, ანუ ხელისუფლების მესამე შტოს წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, როგორც ეს მიღებულია საყოველთაოდ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისივე კოლეგების თანხმობის შემდეგ. გასაგებია თუ რამდენად დიდ შეღავათს აძლევს ეს პარლამენტარს ჩვეულებრივ მოქალაქესთან შედარებით. **აქ მთავარია არა მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული ადამიანისადმი პატივისცემის ხაზგასმა და მისი ღირსების შელახვის არდაშვება, რამდენადაც ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენელთა ძალადობის არდაშვება ხელისუფლების მეორე შტოს წარმომადგენლის მიმართ, რადგან — „...პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის“ (მუხლი 52 პ. 4).**

და ეს აზრები, ბუნებრივია, შესაძლოა შეიცავდეს მწვავე კრიტიკას მოსამართლის მიმართ, დაწყებული უმაღლესი სასამართლოდან, რიგით მოსამართლემდე. ამიტომ კონსტიტუციის ავტორებმა პრაქტიკულად აღკვეთეს დეპუტატზე შურისძიების შესაძლებლობა. და ამიტომაც პედანტური სიზუსტითაა ნათქვამი.

**„თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს“ (საქართ. კონსტიტუცია მუხლი 52-ე, პ. 1).**

ზემოთ გამოგვრჩა გვეთქვა, რომ პარლამენტარი შეიძლება წინასწარ დააკავონ, თუკი მას წაასწრეს დანაშაულის ფაქტზე. ამასთან, კონსტიტუცია მოითხოვს, რომ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს პარლამენტს, რომელიც ვალდებულია შეუდგეს საკითხის არსებით განხილვას (იქვე მუხლი 52, პ. 1). პრაქტიკამ დაგვანახა, რომ დეპუტატს პარლამენტი იცავს მაშინაც კი და არ უხსნის იმუნიტეტს, როცა, რბილად რომ ვთქვათ, სახეზეა ძალზე საეჭვო გარემოებანი. იქნებ ფიქრობთ, რომ ეს შემთხვევა კონსტიტუციის შედგენისას არ იყო გათვალისწინებული. პირიქით, ამის თაობაზე ხანგრძლივი მსჯელობა გაიმართა როგორც წინასწარ, შემთანხმებელ კომისიაში, ისე პარლამენტის სხდომაზე, მაგრამ საბოლოოდ გადასწონა ასეთმა არგუმენტმა — საქმისათვის უმჯობესია პარლამენტმა მიიღოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, თუნდაც ლიბერალური, თავისი კოლეგის მიმართ, მაგრამ, პირველ რიგში, პარლამენტს უნდა აწუხებდეს საკუთარი ავტორიტეტი და იქნებ ბედიც მომავალი არჩევნებისას. პარლამენტის შემადგენლობაში მოღალატისა და სისხლის სამართლის დამნაშავის ყოფნა ვერაფერი ავტორიტეტია მისთვის და მ. შ. თვით დეპუტატებისათვის ეს ყველაფერი ხომ საჯაროდ, ხდება ამომრჩეველთა ფართო აუდიტორიის წინაშე. ცხადია, მორალური ფაქტორი იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი დეპუტატი აპირებს დარჩეს აქტიურ პოლიტიკაში, ან საერთოდ საზოგადოების აქტიურ წევრად.

მიუბრუნდეთ კიდევ ერთ საკითხსაც, რომელიც კარგად ეხმიანება ამ მოსაზრებას. საკითხი მოსამართლის — მესამე ხელისუფლების მთავარი ფიგურის შესახებ.

**„მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით“ (საქართ. კონსტიტუცია მუხლი 84, პ. 1).** როგორც ერთ დიდებულ ქართულ სიმღერაშია ნათქვამი — „ოხ, ნეტავი ასე იყოს“...მაგრამ ახლა ჩვენ ემოციებისათვის როდი გვცალია.

**„მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს“ (მუხლი 87-ე. პ. 1).**

მოყვანილი ნორმიდან კარგად ჩანს, რომ პრაქტიკულად გამეორებულია დეპუტატისათვის გათვალისწინებული წესები, მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომ ამჯერად საკითხს წყვეტს პირადად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და არა სასამართლო ორგანოთა წარმომადგენლობითი ორგანო. რაშია საქმე? საქმე მართლაც იმაშია, რომ ამჯერად კანონმდებელი მიზნად ისახავს არ დაუშვას, აღკვეთოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან (ამ შემთხვევაში ე.წ. ძალოვანი უწყებები) შურისძიებისა და უხეში ჩარევის შემთხვევები, სასამართლო ხელისუფლებაზე ზეგავლენის შესაძლებლობანი, რადგან კარგად მოგეხსენებათ — ეს შეიძლება მოხდეს კონკრეტული საქმეების გამო, რომელიც დამსჯელი ორგანოებიდან ათასობით და ყოველდღიურად მიედინება სასამართლოში. იქ ინტერესთა კონფლიქტი ბუნებრივად წარმოიქმნება.

მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს პერსონალურად ეკისრება პასუხისმგებლობა დაზარალებულთა და მთელი საზოგადოების წინაშე, თუკი იგი ხელს დააფარებს დამნაშავეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ამოქმედდეს კონსტიტუციის 64-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა იმპიჩმენტის თაობაზე, ან უნდა დაველოდოთ მორიგი 10-წლიანი ვადის გასვლას, რა ვადითაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი (საქართ. კონსტიტუცია. მუხლი 90-ი, პ. 1). სხვათა შორის, კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ არა ნაკლებ 10 წლის ვადით და არა მაინცდამაინც 10 წლის ვადით.

სხვათა შორის, უნდა შევნიშნო, რომ საქართველოში ნებისმიერი მოსამართლის გამწესებაც თანამდებობაზე ხდება 10 წლის ვადით (საქართ. კონსტიტუცია მუხლი 86-ე, პ. 2), მაგრამ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მათ იმპიჩმენტს, რაც უდავოდ გასასწორებელია. თუ გავითვალისწინებთ ანალოგიური მოდელით მომუშავე ქვეყნების გამოცდილებას. იმპიჩმენტის პროცედურის მსხვერპლი ყველგან ძირითადად სწორედ არაკეთილსინდისიერი მოსამართლეები არიან, ალბათ მათი მრავალრიცხოვნობის გამო.

**იქნებ უადგილოდ, მაგრამ მაინც ვიტყვი — კონსტიტუციის შეცვლის მომხრენი არსად არ ამბობენ მოსამართლეთა ვადამდე დათხოვნებზე. ეტყობა ისინი ამჯერად მზად არიან ადივსონ მოთმინებით. და რატომ ხდება ეს — იმიტომ რომ სასამართლოები იდეალურად მუშაობენ და აქ პრობლემები ნაკლებია? არა ბატონებო, ეს ასე არ არის. მოსამართლეობა მათ არ სურთ, მათ პრეზიდენტობა სურთ, ამისათვის არიან დაბადებიდან მოწოდებული.**

მგონი თხრობისას დავეკარგა ძაფი ხელისუფლების შტოთა ძალაუფლების გაწონასწორების არგუმენტად იმპიჩმენტის წესის მოხმობის თაობაზე. ამასობაში ჩვენ ერთი კარგი საქმე მაინც გავაკეთეთ — სამივე შტოდან პრაქტიკულად ჩამოვთვალეთ რამდენიმე უმაღლესი მდგომარეობის მქონე ფიგურა, ვისაც ეხება იმპიჩმენტის წესი. ამავე დროს სამსჯელოდ დავიტოვეთ საკითხი — შესაძლებელია მოსამართლეთა ხარჯზე გაფართოვდეს კიდევაც იმპიჩმენტსდაქვემდებარებული თანამდებობის პირთა წრე, თუკი დღის წესრიგში მაინც დადგება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

ახლა კი მივყვეთ დასმული პრობლემის განხილვის ლოგიკურ ხაზს, როცა დავუშვით, რომ წონასწორობისათვის აუცილებელია ხელისუფლების შტოები ერთმანეთს აწონასწორებდნენ, მაგრამ აკონტროლებდნენ კიდეც — ასე მაგალითად, პრეზიდენტი ხელს აწერს ყველა კანონს და მხოლოდ ამის შემდეგ შედის იგი ძალაში, პრეზიდენტის იმპიჩმენტის, ანუ თანამდებობიდან ვადამდელი გადადგომის საკითხს იხილავს პარლამენტი; აღმასრულებელი ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურის მიერ შედგენილი მასალების საფუძველზე, დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში მოსამართლე აპატიმრებს დეპუტატს, მაგრამ პარლამენტს აქვს უფლება დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს იგი, თუ არგუმენტები დამაჯერებლად არ მიიჩნია; მოსამართლეს დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში აკავებს აღმასრულებელი ხელისუფლების ძალოვანი უწყება, მაგრამ დაუყოვნებლივ ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თუ წაყენებულ ბრალდებაში შეიტანს ეჭვს ან არ დაეთანხმება, წარმოდგენილ არგუმენტებს; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხს განიხილავს პარლამენტი, თუ მან კონსტიტუციაში მითითებული სამი გადაცდომიდან ერთი მაინც დაუშვა.

ვფიქრობ, ამ ფონზე საინტერესოა კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ თვით იმპიჩმენტის პროცედურას და მივყვეთ საქმისა და დოკუმენტების მოძრაობას, თუნდაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის მაგალითზე. **წინამდებარე წერილების ავტორი ბევრჯერ დარწმუნდა, მით უფრო საკუთარ მაგალითზე, რამდენად არასწორად ესმის საზოგადოებას და მათ შორის თვით დეპუტატთა დიდ ნაწილს ეს კონსტიტუციური ნორმა.**

უპირველეს ყოვლისა, გავარჩიოთ საკითხი იმის თაობაზე, თუ ვისა აქვს უფლება აღძრას საკითხი ქვეყნის მეთაურის თანამდებობიდან ვადამდელი გადადგომის თაობაზე. კარგად მოგეხსენებათ, რა დაიდარაბა მისდევს ყოველივე ამას. სხვა პროცედურას თავი რომ დავანებოთ, 45 დღეში უნდა ჩატარდეს ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები და ასეთ მოკლე ვადაში იმდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, რომ ძალზე საეჭვოა ჩვენს პირობებში დარწმუნებული იყო მისი შედეგების ობიექტურობაში და საერთოდ ბრძნულ შედეგში. მეორე მხრივ, კონსტიტუცია ზუსტად განმარტავს, რომ „... საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს“ (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 63-ე პ. 1).

ე.ი. კონსტიტუციაში გარკვევითაა მითითებული, რომ პარლამენტის შემადგენლობის მესამედი თავისი ხელისმოწერით, ან პარლამენტის სხდომის კენჭისყრის შედეგად მინიმუმ 79 დეპუტატის (როცა პარლამენტში 235 დეპუტატია) მიერ მხარდაჭერის შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდებები დასკვნისათვის ერთ შემთხვევაში მიდის უზენაეს სასამართლოში, თუ პრეზიდენტს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა; ან საკონსტიტუციო სასამართლოში, თუკი საქმე გვაქვს კონსტიტუციის დარღვევასთან. ცხადია, ეს ორგანოები თავიანთ დასკვნებში გარკვევით აჩვენებენ, არის თუ არა არგუმენტირებული დანაშაულის ნიშნები ან კონსტიტუციის დარღვევა. თუ ასეთი რამ არ არის, საკითხი აქვე შეწყდება, მაგრამ თუ დამადასტურებელი დასკვნა იქნა წარმოდგენილი, მაშინ პარლამენტი ვალდებულია 30 დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება იმპიჩმენტის თაობაზე; თუმცა, მანამ კიდევ არის ერთი „ფილტრი“. დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით (ჩვენ შემთხვევაში 118 ხმით) იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება — პარლამენტი უმრავლესობით წყვეტს, დაისვას თუ არა საკითხი (გაიხსენეთ რუსეთის დუმაში პრეზიდენტ ელცინის იმპიჩმენტის საკითხის განხილვა). თუ უმრავლესობამ ამას მხარი არ დაუჭირა, მაშინ საკითხი აქვე შეწყდება, მაგრამ თუ უმრავლესობამ მხარი დაუჭირა, მაშინ გარდება ხელახალი კენჭისყრა.

**ბაქურ გულუა.**

(გაგრძელება იქნება).

წერილი მერვე

# ფიქრები საქართველოს კონსტიტუციაზე

**ესსეისტური ჩანაწერები**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 248, 250, 253, 254, 255, 258, 259.

## ოფიციალური ინფორმაცია

# შეიქმნა დროებითი სამთავრობო კომისია

სახელმწიფო ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2002-2003 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონის პროგრამით გათვალისწინებულ გადაუდებელ ღონისძიებათა შეუფერხებლად განხორციელების, საქართველოს ენერგოსისტემის ობიექტების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების, ენერგორესურსების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების, აგრეთვე, იმპორტ-ექსპორტის რაციონალური დაბალანსებისა და ამ დანიშნულებით საჭირო ფინანსური რესურსების მაქსიმალურად მობილიზაციის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა საქართველოს ენერგოსისტემის ოპერატიული მართვის დროებითი სამთავრობო კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის თავმჯდომარეობით.

სამთავრობო კომისიას დაევალა ოპერატიულად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებები ენერგოსისტემის საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირების, ენერგორესურსების წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის სამუშაოთა კოორდინაციის, ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებისა და მათი ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით ოპერატიული მართვის სამთავრობო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა შესრულებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრებათ უწყებათა ხელმძღვანელებს.

განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი ძალაში შევა 2002 წლის 1 ნოემბრიდან.

საქინფორმი.

## ღლავები დიდ კორუფციაში

(პირველი გვერდიდან)

# აჰა, ლიცენზია!

ამ ყალბი საბუთების საფუძველზე ფოთში, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველოში მიიღეს სულ 6.748 კუბური მეტრი ხე-ტყის საექსპორტო რეჟიმით თურქეთში გატანის ლიცენზია, რაც განახორციელეს კიდეც ინდივიდუალური საწარმოების „ვლადიმერ პრიხოდკოს“, „ბადრი ხანთაძისა“ და „მამუკა დევიძის“ სახელით.

გამოძიების მიერ მოპოვებულმა ახალმა სამხილმა გამოაშზეურა, თუ რა გზებითა და კონკრეტულად ვისი ხელშეწყობით ახერხებდა ბოროტმოქმედთა ჯგუფი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ხე-ტყის უცხოეთში გატანის ლიცენზიის მიღებას.

გამოძიებამ ამ დღეებში პასუხისგებაში მისცა ფოთის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, ფოთში მცხოვრები გივი ლოლუა და მისი ყოფილი მოადგილე პორფილე ჭანტურია, რომლებმაც ბოროტად გამოიყენეს თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილება და რობინზონ კირჩხელსა და მის თანამზრახველებს ინდივიდუალური საწარმოების „ბადრი ხანთაძის“, „მამუკა დევიძის“ და „ვლადიმერ პრიხოდკოს“ სახელით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 6.748 კუბური მეტრი წიფლის სამასალე მორზე დხუმზადეს და გაუფორმეს ხე-ტყის ნედლეულის ყალბი საექსპერტო ლიცენზიები. დანაშაულებრივმა ჯგუფმა ყალბი ლიცენზიების გამოყენებით და საბაჟო დეკლარაციებში ცრუ მონაცემების შეტანით თურქეთში ექსპორტის რეჟიმით გაიტანა 964.145 ლარის ღირებულების სამასალე მორი და მიღებული შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტს მოგებისა და სხვა ძირითადი გადასახადის სახით დაუმალა 361.337 ლარი.

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ დააკმაყოფილა გამომძიებლის შუამდგომლობა, — სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის ბრალდებულებს გივი ლოლუასა და პორფილე ჭანტურიას, რომლებმაც თავი აარიდეს წინასწარ გამოძიებაში გამოცხადებას, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება. შემდეგ გამოცხადდა მათი ძებნა. მიმდინარეობს ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები ლოლუასა და ჭანტურიას დასაკავებლად. დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე სხვა პირების დასადგენად და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის დასაფარავად.

შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლები აცხადებენ, რომ მათი მონაცემებით, ამ დანაშაულში მონაწილეობდნენ ვაჭრობისა და საგარეო ურთიერთობის სამსახურის, საბაჟოსა და საგადასახადო ინსპექციის თანამდებობის პირებიც, თუმცა მათი დასახელებისაგან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით თავს იკავებენ. ვიმედოვნებთ, რომ ამის დრო მალე მოვა!

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 261. შაბათი. 26 ოქტომბერი. 2002 წელი.

ჩვენი ძეგლები



აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია

# ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ

## ნ. ტოკარსკის წიგნის „ძველი სომხეთის არქიტექტურის“ გამო

ავტორის იმ ვარაუდის მთავარი საფუძველი, რომ ეჩმიაძინის ტაძარი თავიდან ბაზილიკას წარმოადგენდა, ის არის, რომ „ეჩმიაძინის პატივსაცემად ვინმე ატომის საეკლესიო საგალობელ „განძ“-ში ის იწოდება სიონად, ხოლო როგორც ი. ა. ჯავახოვმა დაადგინა, ქართულ ენაში **ეს დასახელება ყოველთვის აღნიშნავს ბაზილიკას**“... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უნდა აღინიშნოს, რომ ტოკარსკი აქ უგულებელყოფს ტერმინ „სიონის“ სრულიად სხვაგვარ განმარტებას თვით ქართული ენისთვისაც, მოცემულს უახლოეს ლიტერატურაში. გაკვრით მივუთითოთ, აგრეთვე, შემდეგი: ამ საკითხს რომ ავტორი უფრო სერიოზულად მოკიდებოდა და უფრო ღრმად ჩაწვდომოდა წყაროების ცნობებს, შეეძლო ტერმინი „სიონი“ აღმოეჩინა არა მარტო პოეტურ ლიტერატურაში, რომლის ჩვენებებსაც ამ შემთხვევაში მთავარ, პირდაპირ მნიშვნელობას ვერ მივაწერთ. ასე მაგალითად, სალმოსავანქის XIII საუკუნის გუმბათოვანი ნაგებობა თვით ამ ტაძრის წარწერაში ორჯერ წოდებულია „წმინდა სიონად“. რას ნიშნავს ეს?

ზედაპირულად, დაუმტკიცებლადაა განხილული ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები გუმბათოვანი ბაზილიკებისა და „გუმბათოვანი დარბაზების“ წარმოშობისა და განვითარების შესახებ, თუმცა, მათთან დაკავშირებით, ტოკარსკი შორს მიმავალი მტკიცებების ნებას აძლევს თავს.



ოშკი. ხედი სამხრეთიდან. 1990 წელი.
დავით ხოშტარიას ფოტო.

მცხეთაში შესანიშნავი ქართული ტაძრის „ჯვრის“ ხუროთმოძღვარზე ავტორი ამბობს, რომ მან „თავისი ქმნილების გუმბათი ტიპური სომხური ლავგარდნით შემოქობა“. ამასობაში კი, სხვა ადგილას, როცა გადმოსცემს თავის „ზოგიერთ მოსაზრებას ამ ფორმის წარმოშობის თაობაზე“ (იგულისხმება ზემოთ დასახელებული ლავგარდნის ტიპი), თვითვე ამ ფორმის ევოლუციის საფეხურების საჩვენებლად იშველიებს მაგალითს მცირე აზიიდან და აგრეთვე, ლავგარდანს საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სოფელ გარბანის ეკლესიიდან“, ესე იგი, მაგალითს საქართველოდან. მაშ, რატომ არის ეს ლავგარდანი „ტიპური სომხური“?

„ჯვარში“ იმავე „ტიპური სომხური“ ლავგარდნის თაობაზე ავტორი წერს: „ამ ფაქტს არ შეუძლია გაოცების გამოწვევა, რადგან საქართველოში არის მცხეთურთან ერთობ მსგავსი ეკლესია, „ატენის სიონის“ სახელით ცნობილი, რომელიც სომეხმა არქიტექტორმა ააშენა“... კულტურული ნასესხობის ფაქტებს შეუძლია მარტო ტოკარსკის შეცბუნება გამოიწვიოს. მეცნიერება ფაქტებს შეისწავლის მის განკარგულებაში არსებული ობიექტური მეთოდებით, თუმცა, ამ შემთხვევაში ტოკარსკი საჭიროდ როდი მიიჩნევს მკითხველს **ყველა** ცნობილი ფაქტი მიაწოდოს. ასე მაგალითად, სპეციალურ ლიტერატურაში უდავოდ არის დადგენილი, რომ ატენის ტაძარი მცხეთისაზე გვიანაა აგებული და უკანასკნელის უხეირო მიბაძვას წარმოადგენს!

აი, როგორ წარმოგვიდგება საქმე ტოკარსკის წიგნში გამოცხადებული პროგრამის ერთი ნაწილის რეალიზაციის თვალსაზრისით: „გააკეთოს ძველსომხური ხუროთმოძღვრების ზოგადი მიმოხილვა, თვალყური მიადევნოს, თუ როგორ ცოცხლობდა და ვითარდებოდა საუკუნეთა მანძილზე, სხვადასხვა პირობებში, სომეხ ხუროთმოძღვართა აზრი“... ჩვენს მიერ ზემოთ უკვე გარჩეული ტოკარსკის გამონათქვამებიდან მკითხველს შეეძლო ისიც დაენახა, თუ როგორ სრულდება წიგნში იმავე პროგრამის მეორე ნაწილი: „თვალყურის მიდევნება, თუ რას უზიარებდნენ ისინი (სომეხი ხუროთმოძღვრები – ს. ჯ.) თავიანთ უცხოელ თანამოძმეებს პროფესიის მიხედვით“... მაგრამ ამ საკითხზე ღირს უფრო ვრცლად შეჩერება.

სინამდვილეში ურთიერთგაზიარებაზე აქ დეკლარაციული მსჯელობაა (ასეა, მაგალითად, „დასკვნაში“), დამოკიდებულება გარე კულტურულ გარემოსთან ცალმხრივია და წინასწარ განზრახული. ამასთან, გაუგებრობებს და წინააღმდეგობებს აქაც ბლომად ვხედებით.

აი, ამ თვალსაზრისით, ტოკარსკის რამდენიმე დამახასიათებელი გამონათქვამი: **„შეცდომა იქნებოდა სომხეთის უძველესი არქიტექტურის გაიგივება ურარტელების არქიტექტურასთან,** რომელთაც ქრისტიანულ ერამდე დიდი ხნით ადრე შექმნეს პირველი სახელმწიფო ამიერკავკასიაში, თუმცა, **სავსებით შესაძლებელია, რომ სომეხმა ხალხმა,** რომლის შემადგენლობაში ძირითად ბირთვთან – სომხებთან ერთად ურარტელებიც შევიდნენ, **თავის მშენებლობაში რაღაც ზომით იმ ძველი სახელმწიფოს ოსტატთა გამოცდილებაც გამოიყენა,** რომლის ტერიტორიაც დაიკავა. **ამასთან უნდა აღინიშნოს სომეხ ხუროთმოძღვართა მიერ გაცილებით გვიან აღმართულ ნაგებობათა მკვეთრი განსხვავება ურარტელების ნაგებობებისაგან,** რომელთა სამშენებლო ტექნიკა უფრო ახლოს არის მესოპოტამიის ხალხთან, კერძოდ, ასირიელთა ტექნიკასთან“... „ნათქვამიდან ცხადია, თუ **რამდენად დაშორებულია ერთმანეთს ურარტელებისა და სომხების არქიტექტურული ძეგლები საერთო გადაწყვეტით, ტექნიკითა და მოპირკეთებით და რა სიფრთხილით უნდა მივუდგეთ საკითხს მემკვიდრეობითობის შესახებ, შეცდომა რომ არ მოგვივიდეს“.** მაშასადამე, ძველი ურარტელი ოსტატების გამოცდილებით სარგებლობა სომეხ ხუროთმოძღვრებს არ შეეძლოთ არც ზოგად გადაწყვეტათა სფეროში, არც ტექნიკაში, არც მოპირკეთებაში. ისმის კითხვა, მაშ სად შეეძლოთ მათ ამ გამოცდილების გამოყენება?

„ელინიზმს, რომელმაც მნიშვნელოვანი, პროგრესული როლი შეასრულა ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, ხელოვნების ჩათვლით, ხელსაყრელი ნიადაგი გამოეცალა თავისი გავლენის გასავრცელებლად და რომისთვის მოუხდა ადგილის დათმობა. შემდგომ, უკვე ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, არქიტექტურაში შეიძლება შევხვდეთ ოდენ ელინისტური და რომაული ფორმების გამოძახილებს – ვოლუტას კაპიტელზე, ქონგურსა და მოდულიონს ლავგარდანზე, გვარიანად გადამუშავებულ აკანტს. სომეხმა ხუროთმოძღვრებმა მონახეს საკუთარი გზები, საიდანაც არასოდეს გადაუხვევიათ, თუმცა, საუკუნეთა მანძილზე სახიფათო გზაჯვარედინი ცოტა როდი შეხვედრიათ.

შემდეგ, ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ტოკარსკის მსჯელობები იმ თემაზე, რომ „სომეხი ხუროთმოძღვრები არ სჯერდებიან ბაზილიკის სამნავიან კამაროვან ეკლესიად – დარბაზად გადამუშავებისას მიღწეულ შედეგებს. ისინი ბრწყინვალედ წყვეტენ გუმბათით დაგვირგვინებული საეკლესიო შენობის შექმნის ამოცანასაც“. ქვემოთ კი გვიმტკიცებენ: „საინტერესოა, რომ გაცილებით გვიან, XII-XIII საუკუნეებში, როცა გუმბათი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უკვე შვიდსაუკუნოვანი ხნისა იყო, არქიტექტორები ბოლო სიახლეს – კარიბჭეს რომ ქმნიან, მიმართავენ ისევ იმავე სოფლის სახლს: ქვისგან აკეთებენ კოლონებზე დაყრდნობილ კარვულ სახურავს სინათლისათვის დატოვებული ხვრელით. გუმბათოვანი საეკლესიო ნაგებობების განვითარება სომხეთში ორი დამოუკიდებელი მიმართულებით წავიდა“... და თუმცა, სომხეთში „ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს საწყისი სახის უძველესი გუმბათოვანი ეკლესიები“, მაინც, როგორც ავტორი ირწმუნება, ეჭვს არ იწვევს, რომ „სომეხმა ხუროთმოძღვრებმა სრულად გაითვალისწინეს ეს გარემოება (ადგილობრივი ბაზილიკის თავისებურებანი – ს. ჯ.) და VII საუკუნის პირველ ნახევარში შექმნეს რამდენიმე მშვენიერი გუმბათოვანი ბაზილიკა“ და რომ სწორედ ამ „VII საუკუნის გუმბათოვან ბაზილიკაში იქმნება ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ფორმა, ესოდენ დამახასიათებელი მომდევნო საუკუნეების ამიერკავკასიის საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის“... „სომხური ძეგლები, მათ მსგავს ბიზანტიურზე გაცილებით ადრე შექმნილი, დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ ეს ტიპი აქ შემუშავებული იყო ბაზილიკის საფუძველზე“. დასასრულ, ტოკარსკი აცხადებს, თითქოს VII საუკუნის პირველი ნახევრისათვის „უკვე გვეძლევა შესაძლებლობა ვილაპარაკოთ სავსებით ჩამოყალიბებულ სომხურ კლასიკაზე, რომელსაც, მიუხედავად ბევრი უკუღმართობისა, ემყარება სომეხი ხუროთმოძღვრების ყველა შემდგომი თაობის შემოქმედება“.

ამრიგად, გამოდის, რომ ყველა ძირითადი არქიტექტურული ფორმა ადგილობრივ შეიქმნა, აქედან გავრცელდა სხვა ქვეყნებში. აუცილებელი არ არის მსურველთ საკითხის ასე დაყენების უფლება ჩამოვართვათ. მკითხველის მოთხოვნები უბრალოა: იგი მოითხოვს მხოლოდ ფაქტებსა და მტკიცებულებებს; ტოკარსკისთან კი როგორაა ფაქტებისა და მტკიცებულებების საქმე ამ საკითხთა წრესთან დაკავშირებით?

ყველაზე ცხადად ტოკარსკის მეცნიერულმა მეთოდოლოგიამ და საზოგადოებრივმა მიზანდასახულებებმა თავი იჩინა მის მსჯელობებში სომხური არქიტექტურის დამოკიდებულების შესახებ ქართველი ხალხის, სომეხთა საუკუნეობრივი მეზობლის, არქიტექტურასთან. აქ, რასაკვირველია, კულტურული გაცვლა-გამოცვლის ხსენებაც არ არის, აქ ავტორი არც კი კმაყოფილდება მხოლოდ ცალმხრივი გავლენის მტკიცებით, რაც ზემოთაც შეიძლებოდა დაგვენახა, იგი კიდევ უფრო შორს მიდის.

ნუ გაუსწრებთ შეფასებებს წინ, მოთმინებით განვიხილოთ ტოკარსკის წიგნის შესაბამისი ადგილები.

წიგნის „ლერძია“ **მცდელობა მთელი სამხრეთ საქართველო, მისი მოსახლეობითა და კულტურით, წარმოჩინდეს, როგორც უცხოეროვნული სამყარო.** აქ ლაპარაკია მდინარე ჭოროხის აუზში და მდინარე მტკვრის ზემო დინების გაყოლებით მდებარე სამხრეთ საქართველოს პროვინციებზე. საქართველოში მონათმფლობელური სახელმწიფოებრიობის დაცემამდე ეს ტერიტორიები აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს სამეფოთა ფარგლებში შედიოდა. საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა მომწიფების პერიოდში ისინი შეადგენდნენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქართულ ფეოდალურ წარმონაქმნს, ორი წამყვანი სამთავროს ტაოსა და კლარჯეთის მიხედვით, ჩვეულებრივ, ტაო-კლარჯეთად წოდებულს (IX-X საუკუნეები). ამ პროვინციების გარდა ტაო-კლარჯეთის სამეფოში შედიოდა და მის ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა სხვა ტერიტორიებიც – აჭარა, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი (არდაგანი, იმ დროს ეს ტერიტორიის სახელი იყო და არა ქალაქისა, რომელმაც ასეთი დასახელება მოგვიანებით მიიღო ტერიტორიისაგან, როგორც მისმა ცენტრმა), კოლა, სპერი და სხვა. ტოკარსკის არც ეეჭვება, რომ საქმე ეხება სწორედ ამ ტერიტორიას. ერთ შემთხვევაში იგი პირდაპირ ლაპარაკობს თავის საგანზე, როგორც „X საუკუნის მეორე ნახევრის ტაო-კლარჯიის (ესე იგი, ტაო-კლარჯეთისა – ს. ჯ.) არქიტექტურაზე, როცა აღიმართა მშვენიერი ნაგებობები ოშკში, იშხანში, ტბეთში“ (უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დღეებამდე შემონახული ტბეთის ძეგლი შავშეთის, ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთ რაიონის ტერიტორიაზე იმყოფება – ს. ჯ.). მეორე შემთხვევაში ტოკარსკისთან ეს მიწები იწოდება „ტერიტორიებად მდინარე ჭოროხის აუზში“, ყველაზე ხშირად კი ისინი წიგნში სახელდებიან ტაიქ-ად (ტაოს დასახელების სომხური ფორმა), რამაც უნდა შეცვალოს ჩვეულებრივი ტაო-კლარჯეთი. რა მტკიცდება ამ მხარის შესახებ?

რუსულიდან თარგმნა
თამაზ ებანოიძემ.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 259.

ოთარ ქინქლაძე – 80

# ჭეშმარიტი მამულიშვილი

დღეს პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა და დამსახურებული ჟურნალისტის ბატონი ოთარ ქინქლაძის დაბადებიდან 80 წელი შესრულდა.

დიდია ღვაწლმოსილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და მგზნებარე მამულიშვილის ამაგი მშობელი ერის წინაშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონი ოთარის წვლილი ქართული პედაგოგიკის განვითარებასა და საქართველოს განათლების სისტემის ძირეული რეფორმების განხორციელების საქმეში, სადაც თითოეული მისი ნაბიჯი, ქმედება სკოლის გაეროვნულებას და ახალგაზრდა თაობების ჭეშმარიტი მამულიშვილობის იდეებით აღზრდას ემსახურებოდა.

ბატონი ოთარ ქინქლაძის ჟურნალისტური მოღვაწეობა სულით-ხორცამდე ეროვნული სულისკვეთებითა და დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის მარადიული იდეით არის გაჟღენთილი. მისი ბოლოდროინდელი პუბლიცისტური წერილები გულმხურვალედ ეხმაურებიან საბჭოეთის მსხვრევისა და ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის აღორძინების პროცესებს. ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორობის დროს გამოქვეყნებული სტატიების ციკლს, რომელიც „გზის დასაწყისით“ იწყება, ბოლომდე მიჰყვება დაუშრეტელი წყურვილი იმ გზით სიარულისა, „რომელიც ტაძართან მიგვიყვანს“.

ქართველი საზოგადოებრიობა ქედს იხრის ამაგდარი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნათელი ხსოვნის წინაშე და პატივს მიაგებს მის მიერ კაცურად განვლილ ცხოვრების გზას.

# მან დროს გაუსწრო

პიროვნების დასახასიათებლად თუ ეპითეტი აუცილებლად საჭიროა, მაშინ მხოლოდ ერთის შერჩევა შეიძლება ბატონი ოთარის მიმართ – მამულიშვილი!.. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგიური საზოგადოება კარგად იცნობდა მის უაღრესად მრავალმხრივ საყურადღებო მოღვაწეობას, მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მის ღვაწლს, მის მაღალ ავტორიტეტს უცხოეთში, რაც ქართულ ეროვნულ სკოლას სასიკეთოდ ხმარდებოდა.

იდგა 1984 წელი – განათლების რეფორმის წელი. საქართველო პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც იმ დიდ იმპერიაში რეფორმის განხორციელება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, მოსკოვში გაიმართა თათბირი. მაშინ ამიერკავკასიის რკინიგზის სასწავლებელთა სამმართველოს უფროსად ვმუშაობდი. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში თავი მოიყარეს ყველა რესპუბლიკის განათლების მინისტრმა, საკავშირო პედაგოგიური აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა აკად. კონდაკოვის თაოსნობით, პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორებმა, პარტიულმა ელიტამ, მასმედიამ. როცა სიტყვა საქართველოს განათლების მინისტრს, ბატონ ოთარ ქინქლაძეს მისცეს, მან დინჯად, დამაჯერებლად ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ინერგება ეროვნული პედაგოგიკის მიღწევების საფუძველზე აღმოცენებული ერთობ საინტერესო სიახლე – განმავითარებელი სწავლება. ეს, მართლაც სიურპრიზი გახლდათ, გაეროს იმავე პროექტის ენით რომ ვთქვათ, ეს იყო „სწავლების ახალ რელსებზე გადაყვანა“. მოზარდებში კონსტრუქციული, დამოუკიდებელი, აქტიური აზროვნების უნარის ჩამოყალიბების მეთოდიკური გზის გამკვლევის როლში საქართველო გამოდიოდა. ეს დიდი პედაგოგი გვთავაზობდა ჯანსაღ კონსტრუქციულ წინადადებას, თუ როგორ უნდა გაერკვეს ინფორმაციის მძლავრ ნაკადში მასწავლებელი და მოსწავლე და აქედან აითვისონ ძირითადი, აუცილებელი. ბატონი ოთარი ხაზს უსვამდა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევათა გამომუშავების აუცილებლობას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართვას, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც დღეს სწავლების ინტერაქტიური მეთოდის სახელით მოვიხსენიებთ. დროის წინ სწრება განსაკუთრებით ნიჭიერთა ხვედრია. სწორედ ღვთისგან მომადლებული ამ თვისების დემონსტრირება ხვდა წილად ბატონ ოთარს.



თათბირის დასკვნით სიტყვაში საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრმა ა. პროკოფიევმა განსაკუთრებით აღნიშნა ბატონ ოთარის გამოსვლა, ხაზი გაუსვა იმ სიახლეებს, რომელიც მან შესთავაზა პედაგოგიურ საზოგადოებას.

ერთი წელიც არ გასულა, რომ ქალაქ სვერდლოვსკში (ახლანდელ ეკატერინბურგში) რკინიგზელ მასწავლებელთა საკავშირო კონფერენციაზე, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის გამო ვესწრებოდი, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოში ჩატარებულ ექსპერიმენტებს და არაერთხელ გაისმა ოთარ ქინქლაძის გვარი.

ბატონმა ოთარმა განათლების სისტემას დიდი ამაგი დასდო. ამ უაღრესად ნიჭიერმა კაცმა ბევრი სიახლე იქადაგა.

ვფიქრობ (და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის), დროა თავი მოვუყაროთ მის მეცნიერულ პუბლიკაციებს და ერთ წიგნად გამოვცეთ.

გურამ ცინცაძე.

# საქართველოს უბედურებამ ტყვიასავით გაიარა მის გულში

**აი, მართლა „გაუცინარი ხელმწიფე“ ვინ იყო... რატომღაც მგონია, რომ მის მრისხანე, პირქუშ გამოხედვას ბევრი უფრთხოდა.**

**– ვერ დაგეთანხმებით, – მეუბნება უფროსი ვაჟიშვილი „გაუცინარი ხელმწიფისა“ – ნიჭიერი ეკონომისტი, ამჟამად საქართველოს განათლების სამინისტროს ეკონომიკის, ინფორმაციისა და პროგნოზირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი დავით ქინქლაძე.**

ჩვენ მამამისზე – ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეზე, პუბლიცისტსა და განმანათლებელზე **ოთარ ქინქლაძეზე** ესაუბრობთ.



ბატონ ოთარს ამ დღეებში ოთხმოცი წელი შეუსრულდებოდა...

– პირიქით, ლბილი ხასიათისა იყო, უდიდესი იუმორის გრძნობა ჰქონდა. მისი ფოტოსურათები რომ გადაათვალიეროთ, უმეტესად მომღიმარს, გაბადრულს ნახავთ. მაგრამ, მუშაობისას, სერიოზულ ღონისძიებებზე, კამათის დროს, იგი პირქუშიც კი იყო. როგორც ბევრნი იხსენებენ, ეს ტანმორჩილი კაცი, თავისი გამჭოლი გამოხედვითა და უკომპრომისო მსჯელობით, ბუმბერაზ პიროვნებად წარმოჩინდებოდა და, ალბათ, ამიტომაც ჰქონდა მის გაღიმებას და სიცილს განსაკუთრებული ლაზათი.

**– ბატონ ოთარს სამართლიან, პრინციპულ კაცად იცნობდნენ. ხომ არ გაიხსენებდით რომელიმე ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან, სადაც ეს თვისებები კარგად ჩანს?**

– მან მართლაც საკუთარი პრინციპებით იცხოვრა... გავიხსენებ 1965 წლის მოვლენებს, რის შესახებაც, რა თქმა უნდა, თვითონ მამისგან გამიგია:

1965 წელია, მამა საქართველოს კინემატოგრაფიის ახლადშექმნილი სახელმწიფო კომიტეტის პირველი თავმჯდომარეა. ეს თანამდებობა მაშინ მინისტრის დონე იყო. სწორედ ამ დროს გაბატონებული ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მან თავისუფალი აზროვნებისა და საკუთარი პრინციპებისადმი ერთგულების პრეცედენტი შექმნა, როცა იმჟამინდელ უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო დატოვა თანამდებობა. ასევე მოიქცა იმჟამინდელი კულტურის მინისტრი, მამას უახლოესი მეგობარი, ჩემი ნათლია, შესანიშნავი პიროვნება, ბატონი თენგიზ ბუაჩიძე.

მაგრამ, სამაგიეროდ, ეს იყო ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ექვსი წელი და უკვე პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი – მამა იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე – „ქართული დემოკრატიული პედაგოგიკის ჩამოყალიბება“ და ენიჭება პროფესორის სამეცნიერო წოდება. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ მამაჩემისა და ბატონი თენგიზის თანამდებობიდან გადადგომის ინფორმაცია „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა შემდეგი ტექსტით: „საბჭოთა სისტემისადმი პროტესტის ნიშნად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ორმა მინისტრმა დატოვა მინისტრის პორტფელი“.

თუ რა რეზონანსი ექნებოდა იმჟამად „ამერიკის ხმის“ მიერ გაკეთებულ ასეთ განცხადებას, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ბევრი ერიდებოდა კიდეც მამაჩემთან და თენგიზ ბუაჩიძესთან ურთიერთობას.

ამ ექვსწლიანი უმუშევრობის მეტად რთული და შეჭირვებული პერიოდის შემდეგ (მაშინ მამა უკვე სამი შვილის პატრონი იყო) იგი ინიშნება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორად. მისი შემოქმედებითი ნიჭისა და პრინციპული, სამართლიანი მიდგომის წყალობით სასიკეთო ძვრები მოხდა თეატრში, დღის სინათლე იხილა რამდენიმე სპექტაკლმა, რომელთა გამოსვლასაც პარტიულ ნომენკლატურაში გარკვეული ბარიერები ჰქონდა შექმნილი.

**– მგონი, აქედან გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მთავარ რედაქტორად გადაიყვანეს, არა?**

– დიახ, იქ რამდენიმე წელი მოღვაწეობდა და, როგორც ახლა იხსენებენ, განსაკუთრებული კვალი დააჩნია ამ რუსულენოვან გაზეთს.

ჩემი აზრით, ძალზე ნაყოფიერი იყო მამისათვის განათლების მინისტრობის ათწლიანი პერიოდი (1976-1986 წ. წ.), როდესაც დასაბამი მიეცა ქართული სკოლის რეფორმას, დაიწყო განმავითარებელი სწავლების დანერგვის პროცესი, საფუძველი ჩაეყარა სახელმძღვანელოთა შინაარსისა და მეთოდიკის განახლებასა და გაეროვნულობას, სკოლები გადავიდნენ სემესტრულ სწავლებაზე და ა. შ.

**– განათლების მინისტრი, ცხადია, თავისი შვილების სწავლა-განათლებას აქცევდა უმთავრეს ყურადღებას ...**

– ჩვენ სამი დედ-მამისშვილი ვართ. გოგოშკა ირლანდიაშია გათხოვილი და დუბლინში ცხოვრობს, პიანისტია, დუბლინის კონსერვატორიისა და მუსიკალური კოლეჯის ლექტორია, ირაკლი პროფესიით ექიმია, მაგრამ, დრომ მოიტანა და ამჟამად შოუ-ბიზნესითაა დაკავებული... დედაჩვენი – საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთო ფორტეპიანოს კათედრის დოცენტი ქეთუნა ქინქლაძე, მიუხედავად დიდი სულიერი ტკივილისა, ღირსეულად ასრულებს იმ რთულსა და საპატიო მისიას, რასაც მამაჩემის ხსოვნის უკვდავყოფა და ჩვენი ოჯახის ტრადიციების გაგრძელება ჰქვია.



არც მე და არც ჩემს და-ძმას მამისაგან სერიოზული დასჯა არ გვახსოვს, თუმცა, მისი ნაწყენი გამოხედვა, ან ცოტა ხნით ხმის არგაცემა, უკვე დიდი და მკაცრი სასჯელი იყო და ჩვენც ყველანაირად ვცდილობდით, რომ ეს „აუტანელი“ პერიოდი, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო.

ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდა – როგორც თავის ტოლს, ისე მეპყრობოდა და ამით მეტად უშუალო და მეგობრული მამა-შვილური ურთიერთობა ყალიბდებოდა. მიუხედავად ასეთი კეთილი, თბილი და მზრუნველი დამოკიდებულებისა, მამა საჭიროების შემთხვევაში მკაცრიც იყო. რახან მინისტრის შვილები ვიყავით, როგორ გავბედავდით რაიმე პრივილეგიით სარგებლობას. მაშინ ეს, ალბათ, ჩვენში გარკვეულ ჩუმ პროტესტს იწვევდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან სავსებით მართებული იყო და, ისევ და ისევ, მისი პრინციპულობიდან და სხვა პიროვნული თვისებებიდან გამომდინარეობდა.

კიდევ ერთი მისი დამახასიათებელი თვისება: ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული, არ მახსოვს მას ჩემთვის რომელიმე წიგნის წაკითხვა დაეძალებინოს. უბრალოდ, რომელიმე წიგნზე ჩემს გასაგონად იტყოდა, რომ ახლახან წაიკითხა და საკმაოდ საინტერესო ეჩვენა, აღნიშნავდა რამდენიმე ეპიზოდს, და ისე, სხვათა შორის, გამოსაჩენ ადგილზე დადებდა წიგნს. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს წიგნი წამეკითხა...

**– რა ურთიერთობა ჰქონდა გურიასთან, მამა-პაპეულ ადგილებთან?**

– მისი „ადგილის დედა“ ნატანებში არც ახლაა მოშლილი. მით უმეტეს, მამაჩემის სიცოცხლეში ყოველ ზაფხულს ჩაედიოდით იქ...

მამა პედაგოგების ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. ბაბუაჩემი – დანიელ ქინქლაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის დოცენტი იყო.

ბებიაჩემი – ნადეჟდა ქინქლაძე კი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

აქ მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი მამის მეგობრის, ბატონ რეზო თვარაძის მოგონებიდან: გამოხდა მცირე ხანი და ახლოს გავიცანი ოთარის დედ-მამა – დახვეწილი ინტელიგენტები, ნანატრი ადამიანები, ვერანაირი ეპითეტით რომ ვერ გამოიხატება მათი დიდი შინაგანი კულტურა და მომხიბვლელობა, ნათესაობაც თავისნაირი ჰყავდათ, ცხადია, ძველი დიდებული ოჯახიშვილები, რომელთაგან დემეტრაძეები და ქუთათელაძეები დამამახსოვრდნენ განსაკუთრებით... მაშინ ახალი კითხვა აღმძრა: რანაირად მოხვდა სიჭაბუკეში კომკავშირულ სამუშაოზე ასეთი ოჯახის შვილი, ასეთ გარემოცვაში აღზრდილი, ოცდაოთხსა და ოცდაჩვიდმეტს სასწაულით გადარჩენილი მოღვაწის ვაჟი?

ამ კითხვის პასუხსაც გვიან მივაკვლიე: ოთარ ქინქლაძეს იმდენად გამორჩეული გონება ჰქონდა, განათლება და ფართო თვალსაწიერი, იმდენად გამოკვეთილი პიროვნება იყო, არავის არ სურდა მისი ხელიდან გაშვება. თუკი საქმეს უჭირდა სადმე, ოთარს აგზავნიდნენ სხვების უწინარეს“.

**– საინტერესოა, როგორ შეხვდა ბატონი ოთარი საქართველოს დამოუკიდებლობას, რა პოზიცია ეკავა მას?**

– ოთხმოციანი წლების დასაწყისში მამა უკვე ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი იყო. ჟურნალში გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილები მთლიანად გამსჭვალულია ეროვნული სულისკვეთებითა და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის დაუოკებელი სურვილით, სურვილით იმისა, რომ ამ აღმშენებლობის ჟამს არ განმეორდეს ძველი შეცდომები...

მისი განსაკუთრებული გულისტკივილი კი სამოქალაქო, ძმათამკვლელი ომი იყო, საშინლად განიცდიდა ამ ვითარებას და სულ რაღაც გამოსავალს ეძებდა, პოულობდა კიდეც და გეგმებსაც აყალიბებდა, მაგრამ მაშინ მომსმენი არავინ იყო...

მახსენდება მამის უახლოესი მეგობრის, ჩვენი კარის მეზობლის, ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის, ბატონ მორის ფოცხიშვილის მოგონება მამის ხსოვნისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში, სადაც ის ამბობს – **არავის ეგონოს, ოთარი თავისი სიკვდილით მოკვდა, ყველაფერმა იმან, რაც საქართველოში მოხდა, ტყვიასავით გაიარა მის გულში. ოთარი საოცრად ჯანმრთელი კაცი იყო, რკინის ჯანმრთელობა ჰქონდა, სუყველას ასე გვეგონა, რომ მის გულს არაფერი მიეკარებოდა. მოვტყუვდით თურმე, ყველაფერი, რაც კი მოხდა ჩვენს ირგვლივ, ოთარის გულზე გადადიოდა თურმე და არ იმჩნევდა კი. იგი ვაჟკაცი იყო...**

შეიძლება ითქვას, რომ მამა რუსთაველის პროსპექტზე დატრიალებულ სამარცხვინო ამბებს გადაჰყვა, 1992 წლის 2 მარტს აღესრულა, დილით სალსალამათი გავიდა სახლიდან და ცოცხალი ველარ დაბრუნდა.

ესაუბრა
ვილენ მარდალეიშვილი.

სურათებზე: ოთარ ქინქლაძე; ძველი მეგობრები – მარცხნიდან – გურამ სალარაძე, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ქინქლაძე, ჭაბუა ამირეჯიბი.




## აფხაზეთის იუსტიციის საბჭო აცხადებს

პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 22 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10-დან 17 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ აფხაზეთის იუსტიციის საბჭოს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადებისა და ჩატარების სამდივნოს, ტელეფონის შემდეგ ნომრებზე 38-91-54; 38-87-64; 25-25-09. მისამართი შარტავას ქ. №7 მე-18 სართული.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№10 (70)

...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

ბენეფისი

## ექვსასი ანშლაგი

ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲘ წლის წინათ, 1922 წლის 25 ნოემბერს ქართული დრამის (დღევანდელი რუსთაველის სახელობის) თეატრის სცენაზე ლეგენდარულმა კოტე მარჯანიშვილმა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ პრემიერა წარმოადგინა. სპექტაკლს სენსაციური წარმატება ხვდა წილად – აქედან იღებს სათავეს ახალი, XX საუკუნის ქართული თეატრალური ხელოვნების აღმასვლა. თითქოს სიმბოლურია, რომ ამ სანუკვარი თარიღის 80 წლისთავს დაემთხვა რობერტ სტურუას შედევრის „კავკასიური ცარცის წრის“ მეექვსასე წარმოდგენა, რომელიც იმავდროულად ჩვენი სასიქადულო მსახიობის გურამ სალარაძის საბენეფისოდ გაიმართა – მისი სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

რობერტ სტურუას მაღალმხატვრულ დადგმებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მაგრამ მათ შორისაც განსაკუთრებით ბრწყინავს „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტია ხიბლავს არა მხოლოდ ქართველ, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაყურებელს. რეჟისორულ მიგნებათა მახვილგონივრული კასკადი, მუსიკალურ-პლასტიკური სინთეზის ორგანულობა, აქტიორული გარდასახვის განსაცვიფრებელი შედეგი და მთლიანად სპექტაკლის ზეაწეული, სადღესასწაულო განწყობილება წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. სპექტაკლი – ზეიმი! ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ ნირშეუცვლელ წარმოდგენას, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით 23 ოქტომბერს გურამ სალარაძის ნიჭის თაყვანისმცემლებით სავსე რუსთაველის თეატრის დარბაზში. ამ საზეიმო განწყობილებას გურამ სალარაძის საბენეფისო „მანტიაც“ აძლიერებდა. სარეკორდოა სპექტაკლის ჩვენების ციფრი – 600, ხოლო ორმაგად სარეკორდო, როდესაც ექვსასივე წარმოდგენა სრული ანშლაგით მიმდინარეობს! ასეთი რამ უიშვიათესი მოვლენაა სათეატრო ცხოვრების პრაქტიკაში.

გურამ სალარაძე სპექტაკლში ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამ პერსონაჟად გარდაისახება: თავადი ყაზბეგი-ეფრეიტორი-ბერი. ამ პერსონაჟებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, გარდა იმისა, რომ მათ გურამ სალარაძე ასახიერებს. მეტად რთული ამოცანა დაუსახა რეჟისორმა მსახიობს – ერთ სცენურ გარემოსა და შეზღუდულ დროში გაეთავისებინა სამი საპირისპირო ხასიათის მქონე ადამიანის ბუნება. ნებისმიერი სირთულე ნიჭთან და გამუდმებულ ძიებასთან თანხმიერებაში დაიძლევა მხოლოდ; ეს თვისებები კი გურამ სალარაძეს ჭარბად აქვს მომადლებული.



თვითდაჯერებული, ცინიზმითა და დაუნდობლობით „ხელდამშვენებული“, ნარცისული თვითტკბობით ბედნიერი, ამავე დროს გონებაშეზღუდული და წინდაუხედავი – ასეთი პორტრეტი გამოკვეთა გ. სალარაძემ ყაზბეგის ბრეხტისეული ტექსტუალური მასალისა და რ. სტურუას რეჟისორული გააზრების ურთიერთშერწყმის საფუძველზე.

სულ სხვა რიტმი, ხასიათის სიჩაუქე და ცხოველმყოფელობა, უხეში ძალის დემონსტრირების „საზეიმო“ გონალობა გამოჰყო მსახიობმა ეფრეიტორის როლში. ეფრეიტორი სალარაძის შესრულებით გათამამებული, გაზულუქებული „დიდი ბავშვია“. სიამოვნებს, როდესაც მას ემორჩილებიან, ემსახურებიან, ქედს უხრიან. დიქტატორია, მაგრამ ზიზღს არ იწვევს, პირიქით, ზოგჯერ თანაუგრძნობთ კიდევაც, იმდენად გულუბრყვილოა თავის ქმედებათა გამოვლინებებში. გ. სალარაძე ცდილობს „სალდაფონის“ გაკეთილშობილებას, სცენური მომხიბვლელობის საკმაო დოზით აჯილდოებს მას, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია ეფრეიტორისა და მისი ერთგული ქვეშევრდომის „რეგვენის“ (ვანო გოგიტიძე) სასიმღერო დუეტის დროს. დახვეწილია და აზრობრივად დატვირთული მსახიობის პლასტიკა; წლებს თითქოს არაფერი დაუკლია მისთვის, იმდენად მოქნილი და მსუბუქია თითოეული ჟესტი თუ მოძრაობა.

გურამ სალარაძის „კავკასიურ სამსახიობას“ აგვირგვინებს გახრწნილი, ზნედაცემული, სულიერებისაგან შორს მდგარი ბერი, რომლის ცხოვრების წესი მოკვდავთა აბუჩად აგდება და ყვლეფაა. ბახუსის უზომოდ მოტრფიალე „სულიერი მამა“ ტიპიური წარმომადგენელია საეკლესიო ბინადართა იმ მოდგმისა, ვისთვისაც ანაფორა მხოლოდ მოჩვენებითი საფარია უკადრის საქმეთა მოსაკვარახჭინებლად. ბერის დევალვირებულ შინაგან სამყაროს გურამ სალარაძე გარეგნული პორტრეტის ზუსტი მიგნებით ამძაფრებს: ალკოჰოლისაგან დაწითლებულ-შეშუპებული ცხვირ-პირი, უაზრო გამომეტყველება დაუნდობლად ამხელს სამღვდელოების ამ უღირს წარმომადგენელს.

საბენეფისო სპექტაკლიდან გურამ სალარაძემ მაყურებლის დიდი სიყვარული გაიყოლა თან. მსახიობიც არ დარჩენილა ვალში, თამაშობდა ისე, როგორც პრემიერის დღეს – ზღვა ტემპერამენტით, შარმით, თავისი პროფესიის მიმართ ფანატიკური დამოკიდებულებით, რასაც იგი სცენაზე ყოფნის 50 წლის მანძილზე ყოველდღიურად ამტკიცებს მთელ ანსამბლთან ერთად.

**ვაჟა ქიგუა.**

ფესტივალი

## პანტომიმელთა სიხარული





ᲞᲐᲜᲢᲝᲛᲘᲛᲘᲡ თეატრების საერთაშორისო ფესტივალის გამართვა უკანასკნელ წლებში ტრადიციად იქცა, შარშან იგი ერევანში გაიმართა, სადაც თბილისის პანტომიმის თეატრი ორი სპექტაკლით წარსდგა – „დუმილის პოეზია“ და „ნოველების კრებული“. თეატრმა უმაღლესი ჯილდო „გრან პრი“ მოიპოვა. წლეულს კი დასმა მიწვევა მიიღო ბელორუსიიდან. ქ. გომელში ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალის პროგრამაში გათვალისწინებული იყო ბალეტი, ხალხური ცეკვები, ტანვარჯიში. პანტომიმა კი ამ ტიპის ფესტივალზე პირველად იყო წარმოდგენილი. გამგზავრებისათვის საჭირო თანხა როგორც შარშან, ისე ახლაც გაიღო თბილისის მერიამ.

ფესტივალის გახსნა წილად ხვდა თბილისის პანტომიმის თეატრს. იგი წარსდგა სპექტაკლით „კრიმანჭული“. ჟიურის თავმჯდომარეობდა ცნობილი მსახიობი, პანტომიმის ხელოვნებაზე დაწერილი არაერთი წიგნის ავტორი, მოსკოველი ილია რედბერგი.

კონკურსში მონაწილეობდა 25 ქვეყნის 79 კოლექტივი, მათ შორის პანტომიმის 10 თეატრი. სულ გომელში თავის ოსტატობას. უჩვენებდა ხელოვნებისა და სპორტის 3000 წარმომადგენელი. ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გრან პრით დაჯილდოვდა თბილისის პანტომიმის თეატრი, მასვე გადაეცა პრიზი საუკეთესო დრამატურგიისათვის. პირველი ადგილი მიეკუთვნა მინსკის თეატრს, მეორე – კიეველებს, ხოლო მესამე მასპინძელს – გომელის თეატრს.

ეს იყო პანტომიმის ქართული თეატრის კიდევ ერთი აღიარება.

ამას წინათ ჰოლანდიიდან ჩამოვიდა იმპრესარიო იან პეპინგი, რომელსაც ამ ხელოვნების სამი სპეციალისტიც ახლდა. ისინი გაეცნენ თეატრის რეპერტუარს და წასვლისას თან წაიღეს სურათები სპექტაკლებიდან, აფიშები და სხვა საინფორმაციო მასალები. ახლახან ამსტერდამიდან ა. შალიკაშვილმა მიიღო ფაქსი, რომელიც იუწყება, რომ ჰოლანდიის თეატრალური საზოგადოება გაეცო რა თბილისის პანტომიმის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველ მასალებს, ეს კოლექტივი შეიტანა 2003 წლის საგასტროლო გეგმაში.

აღსანიშნავია, რომ ამირან შალიკაშვილს ჰოლანდიაში სხვა ამპლუითაც მიელიან, იგი, როგორც პლასტიკისა და პანტომიმის ევროპული გაერთიანების წევრი, არჩეულია ამავე გაერთიანების პრეზიდენტის მოადგილედ.

– აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი ნიუანსი: მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ჟანრის წარმომადგენლები, მთავარი პრიზი, ანუ გრან პრი, ერთი იყო, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ თვალსაზრისითაც, რომ 79 კოლექტივში გამოგვარჩიეს ჩვენ, თბილისის პანტომიმის თეატრი, – ამბობს ბატონი ამირანი და დასძენს, – არ შეიძლება არ აღინიშნოს მასპინძლების სითბო და სიყვარული. ყველგან გვხვდებოდნენ უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით. ფესტივალიდან გამარჯვებული დავბრუნდით, მაგრამ აქ არავის გავხსენებივართ თქვენი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ გარდა. არც ტელევიზიამ და არც სხვა გაზეთებმა არ გაიზიარეს ჩვენი სიხარული.

**ტარიელ ხავთასი.**

**სურათებზე:** ერევანსა და გომელში მოპოვებული პრიზები; სცენა სპექტაკლიდან „კიდევაც დაიზრდებიან“.



თაობა

## ...რომ არა ერთი შემთხვევა



ᲛᲝᲓᲘᲗ, დავიხსომოთ ეს სახელი – ეკა ბუგიანიშვილი, ახალგაზრდა ვოკალისტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტი და ვიდრე მის კვალს გავადევნებდეთ თვალს ტურინის (იტალია) საოპერო აკადემიაში, სადაც იგი შემოქმედებითი ზრდისა და დახელოვნების ახალ ეტაპზე იმყოფება, მანამდე გავიცნოთ.

ეკას მომღერლობაზე არასოდეს უფიქრია, თუმცა მუსიკა იყო მისი გატაცების სფერო და ქართულ სამუსიკო გიმნაზიაში სწავლობდა საფორტეპიანო განხრით. ამავე სპეციალობით განაგრძო სწავლა კონსერვატორიაშიც პროფესორ ედიშერ რუსიშვილის კლასში და რომ არა ერთი უცნაური გარემოება... მესამე კურსზე მხატვრულ აკომპანიმენტში გამოცდას რომ აბარებდა, ექსპერიმენტის სახით ვოკალის პარტიაც მასვე უნდა შეესრულებინა. აკომპანიმენტის პედაგოგის ცირა ქამუშაძის ყურადღება ამჯერად ეკას ხმამ მიიქცია და გამოცდის შემდეგ უთხრა – მგონი ხმა გაქვს კარგიო და ურჩია ვოკალის პედაგოგთან გასინჯულიყო. ეკა ასეც მოიქცა. სპეციალისტებმა ეს ვარაუდი დაადასტურეს. მას ლამაზი ტემბრის ლირიკული სოპრანო აღმოაჩნდა.

საფორტეპიანო სპეციალობით კონსერვატორია მაინც დაასრულა ეკა ბუგიანიშვილმა და მერე ვოკალურ ფაკულტეტზე გადაინაცვლა პროფესორ გოჩა ბექუაშვილთან. რაკი სათანადო მუსიკალური განათლება უკვე ჰქონდა, მან ძალიან სწრაფად დაიწყო ვოკალური ანბანის ათვისება, სწრაფად კითხულობდა ფურცლიდან საოპერო ლიტერატურას და სწრაფადვე იმახსოვრებდა ზეპირად. ამას დაერთო მისი შრომისმოყვარეობა და როგორც წარჩინებულს, ჯერ პეტრე ამირანაშვილის სახელობის, შემდეგ კი რექტორის სტიპენდია დაენიშნა. მონაწილეობდა ყველა აკადემიურ კონცერტში, რომელიც კი კონსერვატორიაში იმართებოდა.

კლასიკური საოპერო მემკვიდრეობიდან პირველად ვიოლეტას სახე გამოძერწა ვერდის ოპერაში „ტრავიატა“ კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში (რეჟისორი გივი გაჩეჩილაძე). ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვიოლეტა რთული სახეა და სტუდენტისათვის ეს დიდი გამოცდა იყო. ამას მოჰყვა შემოთავაზება თბილისის საოპერო თეატრიდან. დიდ სცენაზე ადინას პარტიის შესრულება სთხოვეს დონიცეტის ოპერაში „სიყვარულის ნექტარი“. ეკამ გასაოცრად მოკლე ხანში მოამზადა ეს პარტია და გამოცდილი მომღერლების, თემურ გუგუშვილისა და ელდარ გეწაძის გვერდით წარსდგა ფართო მსმენელის წინაშე.

ИХ. МЭ-6 ГВ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 261, შაბათი, 26 ოქტომბერი, 2002 წელი.

ფარდა გაიხსნა

# იგი რუსთაველი მაყურებლის თანადგომით აღფრთოვანებულია

**ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი ქავთარაძე უკვე მესამე წელიწადია რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ხელმძღვანელობს. მისი რეჟისორობით აქ შვიდი სპექტაკლი დაიდგა. თითოეული მათგანი რუსთაველმა და არა მარტო რუსთაველმა მაყურებელმა დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღო. ამა წლის სექტემბრიდან რუსთავის დრამატულ თეატრში, ახალი, ოცდამეთხუთმეტე სეზონი გაიხსნა. ჯერჯერობით აქ „ძველ" საუკეთესო სპექტაკლებს უჩვენებენ, მაგრამ დარბაზი მუდამ ხალხით არის სავსე, რაც ბატონი გოგის და მთელი თეატრალური დასის დამსახურებაა...**

**სახელოვანი რეჟისორი და მსახიობი ახალ სპექტაკლზე მუშაობს, როდის მოახერხებს რუსთაველი მაყურებელი კიდევ ერთი, ახალი საინტერესო სპექტაკლის ხილვას? – ამ და სხვა საკითხების გასარკვევად ბატონ გოგი ქავთარაძეს ვეწვიეთ.**

*– ბატონო გოგი, კიდევ ერთხელ მოკლედ გვიამბეთ რუსთავის დრამატულ თეატრში თქვენი მოღვაწეობის შესახებ.*

– რუსთავის დრამატულ თეატრს უკვე მესამე წელია ვხელმძღვანელობ. დაიდგი კიტა ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები", გურამ ბათიაშვილის „სიყვარულის თამაში", უილიამ შექსპირის „ჰამლეტი", ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები", კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი", ალექსანდრე კოტეტიშვილის „ცოდვის შვილები", ოტია იოსელიანის „ურემი გადაბრუნდა"... რეპერტუარში გვაქვს, აგრეთვე, „გადმოქართულებული" უცხოური დრამატურგიის ვარიანტები, რაც ქმნის თემის მრავალფეროვნებას. რეპერტუარი, ჩემი აზრით, საინტერესოა. სპექტაკლებში დაკავებული არიან თეატრის როგორც უფროსი, ისე საშუალო და უმცროსი თაობის მსახიობები. თაობათა ჯანსაღი



ურთიერთობა ჩვენი თეატრის სიამაყეა. წლევანდელი სეზონი გავხსენით კიტა ბუაჩიძის პიესით „მკაცრი ქალიშვილები". ამ შვიდი სპექტაკლით თუ ვიმსჯელებთ, ქალაქს აშკარად გაეზარდა მოთხოვნილება ჯანსაღ, სრულყოფილ თეატრალურ დადგმებზე, სწორედ ჩვენი თეატრი გახდა რუსთაველთა სულიერი საზრდო. მაყურებლის ასეთი მხარდაჭერა ეხმარება მსახიობს, გაუძლოს ურთულეს პირობებს და პროფესიული შემართებით აკეთოს თავისი საქმე, – ამბობს ბატონი გოგი.

*– თქვენ ახლა მუშაობთ ახალ სპექტაკლზე, რას გვეტყვით მის შესახებ, როდის შედგება პრემიერა?*

– მართლაც, ჩვენ სიამოვნებით ვმუშაობთ ახალ სპექტაკლზე. ეს გახლავთ იბსენის „ბრძოლა ხელისუფლებისათვის", რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფილოსოფიური თვალსაზრისითაც. ნაწარმოებში გადმოცემულია ნორვეგიელი ხალხის ბრძოლა არსებული სოციალური პრობლემების წინააღმდეგ, რაც ადამიანს სულს უხუთავს და სიცოცხლეს უმწარებს. მასში დასმული პრობლემატიკა გარკვეულწილად ემთხვევა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. მიმაჩნია, რომ ეს ერთობ დააინტერესებთ ჩვენს მაყურებლებს, რაც შეეხება პრემიერას, ალბათ, დეკემბრის ბოლოს თუ არა, იანვარში მაინც მზად გვექნება წარმოდგენა.

*– გარდა ამ სპექტაკლისა, რა სიახლეებს ჰპირდებით მაყურებლებს?*

– მოგეხსენებათ, ჩვენი თეატრი ორი სპექტაკლით – „ჰამლეტი" და „ურემი გადაბრუნდა" ბაქოში იმყოფებოდა გასტროლებზე. ორივე სპექტაკლი დიდი სიყვარულით მიიღო აზერბაიჯანელმა მაყურებელმა. გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა ჩვენი საელჩო. წლეულს ორი სპექტაკლის ჩვენებას ვაპირებთ, აგრეთვე, ერევანში. თუ გამოგვიჩნდა სპონსორი ან ქველმოქმედი, დიდი სურვილი გვაქვს წავრსდგეთ ნოვოსიბირსკის საერთაშორისო ფესტივალზე. უახლოეს გეგმაში გვაქვს დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვების" დადგმა. ჩვენს მაყურებელს მალე ვაჩუქებთ ცაგარელის უკვდავ კომედიას – „რაც გინახავს, ველარ ნახავ"!..

*– ბატონო გოგი, თქვენს პიროვნულ და საზოგადოებრივ სატკივარზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა.*

– ჩემი სატკივარი ჰგავს ყველა იმ მამულიშვილის სატკივარს, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა და ხალხი. ბუნებრივია, გული შემტკივა ბევრ რამეზე. ჩემი ნატვრაა, რომ საქართველო იყოს გამთლიანებული, გაერთიანებული. პოლიტიკურმა ძალებმა თავი უნდა დაანებონ ერთმანეთთან კინკლაობას და კონკრეტული საქმე აკეთონ. დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ ყოფილა იოლი, დამოუკიდებელ სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მეტი პატრიოტი, მეტი ჭირისუფალი...

რაც შეეხება შემოქმედებით სატკივარს, როგორც ყველა თეატრს, ასევე უჭირს რუსთავის დრამატულ თეატრსაც, მაგრამ ჩვენ არ ვწუწუნებთ, საქმეს ვაკეთებთ... უსათუოდ უნდა მოვძებნოთ რაღაც გზა, რითაც თავს დავაღწევთ საერთო გასაჭირს. თეატრი ყოველთვის უნდა იყოს ცხოვრების შუაგულში. ეს სურვილი გვიათკეცდება და ძალა გვემატება, როდესაც ვხედავთ უდიდეს მხარდაჭერას რუსთაველი მაყურებლის მხრიდან. გულწრფელი მადლობა მას!

თავის დროზე ქიული შარტავამ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ფესვები" თაობათა დაახლოების, ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერების დამკვიდრების ხელშემწყობ ორგანიზაციად ჩამოაყალიბა. დღეს ამ ფონდის თავმჯდომარე გახლავთ ქიულის ვაჟი კახა შარტავა. ამ ორგანიზაციის წევრი ვარ მეც. გვსურს, ეს ორგანიზაცია ეროვნული ძალების გამაერთიანებელი გახდეს. ჩვენ ისეთი მამულიშვილის საქმის გაგრძელება დავისახეთ მიზნად, რომ უფლება არა გვაქვს მხოლოდ ვისარგებლოთ მისი რაინდული, გმირული სახელით და პრაქტიკულად მხარში არ დავუდგეთ ქვეყანას, ხალხს. „ფესვები" თავის კეთილშობილურ მიზნებს აღასრულებს...

**ეკა მიქაძე,**
**თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

**რედაქციისაგან:** ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ გოგი ქავთარაძე რუსთავის თეატრში „ჰამლეტის" დადგმისა და აგაბოს როლის შესრულებისათვის პიესაში „ურემი გადაბრუნდა" თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ საქართველოს სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი.

სურათზე: გოგი ქავთარაძე აგაბოს როლში.

ესტრადა

# მშვენიერების, სიწმინდისა და ჰარმონიის პოლიგონი



მკითხველის ყურთასმენამ, შესაძლოა, დისონანსად აღიქვას ამ კონტექსტში სიტყვა „პოლიგონი", მაგრამ იგივე ყურთასმენა ჩვენმა სინამდვილემ განა არ აგიარა და შეაგუა ხმოვანი სამყაროს ეკოლოგიურ კატასტროფას – ქართული ესტრადის უსახურობას, ერთგვაროვნებას, შარაზე გამწკრივებულ ნიჭიერებასაც რომ შეეხო და ეროვნულ სულს გამოცლილი, ვაჟა რომ იტყოდა, „სხვის ბუზიკაზე მკვრელად" აქცია?

მაგრამ სიმღერის ტრადიციებით მდიდარ ოჯახში აღზრდილ ყურთასმენას, ალბათ, არ შეეძლო გვერდი აევლო ქართული ხალხური სიმღერის წიაღიდან ამოზრდილი კომპოზიტორის მელოდიებისათვის, ქართული პოეზიის კაზმულ სიტყვაზე რომ არის განფენილი და მანაც მიაშურა ამ მშვენიერების, სიწმინდისა და ჰარმონიის სამყაროს.

მხედველობაში მყავს თანამედროვე ქართული ესტრადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ეკა მამალაძე, რომელსაც ეყო გამბედაობაც, შემართებაც, შემოქმედებითი ენერგიაც, რათა პირველს ქართული ესტრადის მომღერალთა შორის, თბილისის კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამოეტანა და მთელი საღამო მიეძღვნა ერთი ავტორის – ქართული საესტრადო სიმღერის ფუძემდებლის გიორგი ჩუბინიშვილის სიმღერებისა და რომანსებისათვის. ასეთ თემატურ საღამოებს მხოლოდ კლასიკური მუსიკის შემსრულებლები თუ მართავენ, საესტრადო სიმღერის ისტორიაში კი, ეს გამონაკლისი შემთხვევაა. ვისაც გაცნობიერებული აქვს ამ სცენის ტრადიციები, აურა, აქ გამოსული მუსიკოსები და მაღალი გემოვნების მსმენელები რომ ჰქმნიან, ვფიქრობ, მათთვის სიტყვა „პოლიგონი" საჩოთირო არ უნდა გახდეს. დიახ, ეკა მამალაძისთვის ეს სცენაც და თვით გიორგი ჩუბინიშვილის მუსიკაც, მართლაც რომ, ურთულესი გამოცდა გახლდათ შემოქმედებითი ძალების, საკუთარი ხმის პოტენციის შესამოწმებლად. მომღერლისა და მისი ხელოვნების თაყვანისმცემლების სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ეკამ ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა.

ამ კონცერტს წინ უძღოდა გიორგი ჩუბინიშვილის რომანსებისა და სიმღერების კრებულის გამოცემა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მიერ. ეს საშური საქმე დააფინანსა კულტურის სამინისტრომ. კრებულის გამოცემაში თავისი პროფესიული განსწავლულობა, კომპოზიტორის სტილისადმი ფრთხილი და მოკრძალებული დამოკიდებულება გამოავლინეს საფორტეპიანო პარტიის ინტერპრეტატორმა, ჩინებულმა მუსიკოსმა ლია ხუგაშვილმა და კრებულის რედაქტორმა, ჩვენმა სახელოვანმა კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ. კონცერტის ორგანიზატორია კომპანია „არტ იმედი". ამ საღამოს გამართვის იდეა, ისევე როგორც კონცერტში ჩელოს ჩართვისა, ეკუთვნის პროფესიონალ მუსიკოსს მარინა ბერიძეს – „არტ იმედის" მთავარ პროდიუსერს.

ცოდვა გამხელილი სჯობს. მე არასდროს ვყოფილვარ ეკას თაყვანისმცემელი, ჩემი სიყვარული დედამისს, ჩვენს სასიქადულო ნანი ბრეგვაძეს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ კონცერტმა ჩემში, როგორც მუსიკის მცოდნეში, იმდენ მნიშვნელოვან პრობლემას მოუყარა თავი და ისეთ სიმაღლეზე აზიდა ნიჭის, გემოვნების, პროფესიონალიზმის ყოვლისშემძლეობა, რომ ვაღიარებ, ჩემი სიყვარულის სასწორი გათანაბრდა.

მე არასდროს მომისმენია ქართველი საესტრადო მომღერლის ამგვარი სახის სოლო კონცერტი, ესოდენ ინტელიგენტური, კლასიკური სისადავით, სახიერებით, ხმის მართვის კულტურით და ემოციური მრავალფეროვნებით დამშვენებული. რაღა თქმა უნდა, მომღერლის ამ სიმაღლეზე ასვლა გიორგი ჩუბინიშვილის მუსიკამ განაპირობა, ნაწარმოებებმა, რომლებმაც გასული საუკუნის ათიანი წლებიდან დღემდე შეინარჩუნეს სიცოცხლის უშრეტი ძალა და მუსიკალურ პოდიუმზე ათასგვარი მოდის მოვარდნა-გაქრობის მიუხედავად თავისი მხატვრული ღირებულებებით და მნიშვნელობით დროის გამოცდას გაუძლეს. ვინც ამ თვალთახედვით ვერ წვდება კლასიკურ მემკვიდრეობას და მას „მკვდარ მუსიკად" მიიჩნევს, ეს მისი პრობლემა და დანაკარგია. მე კი მკითხველს მინდა შევახსენო პასტერნაკის ბრძნული ნათქვამი:

„Талант единственная новость,
Которая всегда нова".

გიორგი ჩუბინიშვილი ხალასი ტალანტი იყო. ეროვნული, ცოცხალი მელოდიები, გულღია ემოციურობა, სახიერება, სისადავე და უშუალობა ის თვისებებია, მის მუსიკას სიმღერის მოყვარულისკენ რომ უხსნის გზას. ამიტომაც შევიდა მისი რომანსები და სიმღერები ცნობილი საოპერო და საესტრადო მომღერლების რეპერტუარში: ვანო სარაჯიშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი, ნადეჟდა ხარაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სოტკილავა, ესტრადაზე – თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, მერი შილდელი, ნანი ბრეგვაძე, მედეა ძიძიგური. ახლა ეკა მამალაძე და მისი პატარა ქალიშვილი ნატალია ქუთათელაძე.

გიორგი ჩუბინიშვილის ნაწარმოებებმა დიდი როლი ითამაშეს ეკა მამალაძის სიმღერის სტილის განახლებაში. ეს წარმოჩნდა მისი ხმის ტემბრის სითბოში, მოქნილ ფრაზირებაში, ვერბალური საწყისის ინტონირებაში, სიმღერის ემოციურ-სახეობრივი სამყაროს ღრმა გააზრებაში. ეკას შესრულებით ჩუბინიშვილის 19 ნაწარმოები ერთმანეთისგან განსხვავებული „მუსიკალური მომენტებისგან" შეკრულ ციკლს ჰგავდა, რომელსაც ამთლიანებდა სიყვარულის თემა – წრფელი, სათუთი, კამერული ინტიმით აღვსილი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს, ეკა გამორჩეულად მხოლოდ თქვენთვის მღეროდა.

სცენიდან მოედინებოდა ილიას, აკაკის, ვაჟას, იროდიონ ევდოშვილის, იოსებ გრიშაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, თავად კომპოზიტორის და მისი ვაჟის ოთარ ჩუბინიშვილის ლექსების მუსიკალური ნაკადი, მაღალი პოეზიის, ქართული სიტყვის მადლი.

გიორგი ჩუბინიშვილის საავტორო კონცერტს, კომპოზიტორს სიცოცხლეში რომ არ ღირსებია, არაერთმა მუსიკოსმა შეუერთდა თავისი ხმა, მათ შორის ლომის წილი გაიღო ამ ნაწარმოებთა საფორტეპიანო პარტიის ინტერპრეტატორმა ლია ხუგაშვილმა, რომელმაც ეკას პარტნიორობა გაუწია მისთვის დამახასიათებელი პროფესიული პასუხისმგებლობით, ტაქტით, კომპოზიტორის სტილის აბსოლუტური დაცვით. კონცერტი ჭეშმარიტ კლასიკურ სიმაღლეზე აიყვანა და ენითგამოუთქმელი ხიბლი შემატა ჩვენმა სასიქადულო ვიოლონჩელისტმა ოთარ ჩუბინიშვილმა, რომლის პარტია დაამუშავა უნიჭიერესმა, მაღალი გემოვნების კომპოზიტორმა ნუგზარ ვაწაძემ. ჩელოს ტემბრის შემოყვანამ მთელ კონცერტს აღმავალი განწყობა მიანიჭა და თითქოს სამზეოზე გამოიტანა ჩუბინიშვილისეული ლირიკული ინტიმის ორი მონაწილე-გულანთებული პოეტური სული კომპოზიტორისა და სატრფოს ხატი.

კონცერტის მსვლელობას ძუნწად, როგორც უეცრად მოფრენილი და გაუჩინარებული მუზა, თავის ხმას უერთდებოდა მეორე როიალის პარტია – საოცარი ჰარმონიული ფერების ოსტატი, უნიჭიერესი თვითნაბადი მუსიკოსი პაატა ანდრიაძე და მასთან ერთად დასარტყამი საკრავის ოსტატი – მერაბ სანოძე.

და კიდევ ერთი მონაწილე კონცერტისა – პატარა ნატალია, რომელმაც შეასრულა ჩუბინიშვილის სიმღერა „ტყემ მოისხა ფოთოლი" ილიას ლექსზე. ნატალია თავისი ანკარა ხმით, მომხიბვლელი გარეგნობით, სცენაზე თავდაჭერით, კონცერტში გამოირჩეოდა როგორც სხივმოსილი დიადემა. ალელუია შენ, ნატალი, მომავალო ვარსკვლავო, ალელუია მშვენიერების, სიწმინდისა და ჰარმონიის იმ მარადიულ საუფლოს, შენ რომ შარავანდედად მოეფინე.

**ნანა ქავთარაძე.**

თაობა

# ...რომ არა ერთი შემთხვევა

(მეხუთე გვერდიდან)

– ცხადია, ვღელავდი, მაინტერესებდა როგორ გაიჟღერებდა ჩემი ხმა ამ სცენაზე, ჩემი უფროსი კოლეგების, ამ შემთხვევაში პარტნიორების მხრიდან მთელი საღამოს მანძილზე დიდ თანადგომას ვგრძნობდი, მეხუმრებოდნენ, მამხნევებდნენ, ერთ წუთს არ მტოვებდნენ უყურადღებოდ, – ამბობს ეკა.

მაგრამ წინ კიდევ უფრო დიდი გამოცდა ელოდა. გაბედა და ვერდის სამშობლოში, ბუსეტოში გამართულ კონკურსში „ვერდის ხმებში" მიიღო მონაწილეობა. სამიდან ორი ტური გაიარა. ფინალში ვერ მოხვდა. იგი ჯერ ხომ სრულიად გამოუცდელი იყო. თეატრ „ლა სკალას" წარმომადგენელმა ინახულა ეკა და ურჩია, – იქნებ



მოახერხოთ და სტაჟირებაზე ჩვენთან ჩამობრძანდეთო. ასეთ რეკომენდაციებს იტალიელები, ბუნებრივია, არაპერსპექტიულ ხმებს არ აძლევენ. აი, რას ამბობს ეკას შესახებ მისი პედაგოგი გოჩა ბექუაშვილი: ეკას ძლიერი და მოქნილი ლირიკული სოპრანო აქვს, დიაპაზონის თვალსაზრისითაც და მუსიკალურობითაც. თუ მხედველობაში მივიღებთ მის შრომისმოყვარეობას, ვფიქრობ, რომ ფრიად პერსპექტიული მომღერალია.

ამ დღეებში ეკა ბუგიანიშვილი იტალიაში, ტურინში გაემგზავრა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სადგურის ბაქანზე მას საოპერო აკადემიის დირექტორი არმანდო კარუზო შეეგება. მოსმენის შემდეგ ეკას პედაგოგიც მიუჩინეს – წარსულში ცნობილი მეცო-სოპრანო მატიუსი. სწორედ მასთან იმუშავებს ეკა ხმის დახვეწაზე და ახალი საოპერო პარტიების მომზადებაზე.

ქართულ ხმებს იტალიაში, ბოლო წლებში, განსაკუთრებით დაედო ფასი. ვუსურვოთ ეკას, რომ მასაც წინამორბედებივით გაუმართლდეს!

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**
ჯემალ კასრაძის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუსიკალური სალონი

# ქართული რაფსოდიის ავტორი

ირაკლი (ერეკლე) ჯაბადარი ქართველი მუსიკოსების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიბადა თბილისში 1892 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჯაბადარის ოჯახში.

6 ვაჟი ჰყოლია ალექსანდრე ჯაბადარს, ექვსივემ უცხოეთში მიიღო განათლება. უფროსი – გიორგი, იყო რეჟისორი და ქართული თეატრალური სტუდიის დამაარსებელი. ჯაბადარის სტუდია ცნობილი გახლდათ თბილისში 20-იანი წლების დასაწყისში. ამ სტუდიაში გაიზარდა ახალი ქართული თეატრის მსახიობთა ბრწყინვალე თაობა. გიორგი ჯაბადარი გარდაიცვალა ემიგრაციაში, გერმანიაში.

ადრე ძმები ჯერ ბელგიაში ცხოვრობდნენ დედასთან ერთად, შემდეგ კი საფრანგეთში. ერეკლემ მუსიკალური განათლება ბრიუსელის კონსერვატორიაში მიიღო, რის შემდეგაც საშემსრულებლო ხელოვნების დასახვეწად ვენაში გაემგზავრა. მეოცე საუკუნის დასაწყისშივე იგი ცნობილი გახდა როგორც პიანისტი და კომპოზიტორი, მის ქმნილებებს ფართო ასპარეზი მიეცა მთელი ევროპის მასშტაბით. უცხოეთშია შექმნილი „ქართული ლეგენდა", „ქართული რაფსოდია", „დაელური", ოპერა „გულნარა", რომელთა მუსიკალური ენა გამოირჩეოდა ქართული სულისკვეთებითა და ხმიერებით. სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა ამ ნიჭიერი ხელოვნის სიცოცხლე, იგი გარდაიცვალა 1937 წლის 19 აგვისტოს 45 წლისა. სამშობლოს მონატრებული კაცის ნეშტილა განისვენებს ახლა დიდუბის პანთეონის გალავანში...

ძმათაგან ხელოვნების გზას გაჰყვნენ, აგრეთვე, ვახტანგი (კომპოზიტორი), შოთა (ვიოლონჩელისტი), ილია (ხელოვნებათმცოდნე), ხოლო შალვამ საინჟინრო დარგში, კერძოდ, ხიდების მშენებლობაში გამოიჩინა თავი. საქართველოში დაბრუნება მხოლოდ ვახტანგს ეწერა, იგი ოჩამჩირეში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა – მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა; ჰყავს ვაჟი – ალექსანდრე, რომელიც თბილისში ცხოვრობს. პაპის პატივისცემით ალექსანდრე დაურქმევია გიორგი ჯაბადარსაც თავისი ვაჟისთვის, მას კანადაში გაუთქვამს სახელი როგორც ბალეტმაისტერს.

ეს გენეალოგიური ექსკურსი ერეკლე ჯაბადარის საიუბილეო თარიღმა მიკარნახა: 110 წელი შესრულდა მისი დაბადებიდან და ალალბედზე ძველი, იოსებ იმედაშვილისეული „თეატრისა და ცხოვრების" გადათვალიერებისას მის კონცერტთან დაკავშირებულ უცხოელი კორესპონდენტის ინფორმაციას წავაწყდი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორი აღფრთოვანება გამოუწვევია პარიზში 1925 წელს გამართულ ქართველი კომპოზიტორის პირველ კონცერტს:

**„პარიზში 28 მარტს გამართულ იქმნა კომპოზიტორ-პიანისტ ირაკლი ჯაბადარის დიდი სიმფონიური კონცერტი აქაურ ერთ საუკეთესო დიდ დარბაზში, „Des champs elisees", საუკეთესო კოლონას სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, რომელიც შესდგება 65 არტისტ დამკვრელისაგან, დირიჟორობდა ცნობილი M. Francis Fousche".**

იმდენად საინტერესოა პირველი სიმფონიური კონცერტი ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორისა, რომ მოგვყავს მთელი პროგრამაო, – დასძენს კორესპონდენტი, რის შემდეგ განაგრძობს:

**„პარიზის საზოგადოებამ პირველად მოისმინა ქართველი კომპოზიტორ-პიანისტის ქართული მუსიკა. დიდი დარბაზი ხალხით სავსე იყო. ქართველობა ბევრი დაესწრო. საზოგადოება დიდ აღტაცებაში მოიყვანა კონცერტმა".**

ინფორმაციაში ხაზგასმულია „ინდაურების" („Les Dindoh") საუცხოო იუმორი:

„ამ ნაწარმოებს ბევრნი სენ-სანსის **Carnarai des Animaux**"-ზე მაღლა აყენებენ (იგულისხმება სიუიტა „ცხოველთა კარნავალი", რომელშიც შედის პიესა „გედი" – ცნობილი საბალეტო სცენაზე „მომაკვდავი გედის" სახელწოდებით, **ნ. ღ.**)

**„Concerto en la majeur" ძლიერ კლასიკური ნაწარმოებია, კომპოზიტორს ეტყობა დიდი მომზადება და ნიჭი. ამასთან შესანიშნავი ძლიერებით იყო ასრულებული. გარდა კომპოზიტორობის ნიჭისა, ჯაბადარს აქვს შესანიშნავი ტექნიკა და მუსიკალური გემოვნება.**

**ქართული ლეგენდა ჩვენ გავიგეთ, ბევრმა ვერ გაიგო, მიუხედავად ამისა საზოგადოებას ესეც მოეწონა. ლეგენდის შინაარსი მოკლეთ რომ დაებეჭდათ და დაერიგებინათ, რასაკვირველია, გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა გემოვნებით დაწერილი ნაწარმოები".**


LA SEMAINE MUSICALE
32, Rue Tronchel
PARIS
Supplement hebdomadaire du
COURRIER MUSICAL
Le Prince DJABADARY

კორესპონდენტი იმასაც იტყობინება, რომ კონცერტს დასწრებია თბილისში ცნობილი დირიჟორი ეიხენვალდი, რომელიც ქართულ საზოგადოებასთან ერთად აღტაცებული ყოფილა ქართული რაფსოდიით... და იქვე წერია, რომ ირაკლი ჯაბადარს ეს ნაწარმოები პირველად ვენაში დაუკრავს 1913 წელს.

აღსანიშნავია, რომ გარდა თავისი ქმნილებისა, ჯაბადარს შეუსრულებია შოპენის ნაწარმოები (II განყოფილებაში).

**„ამ კონცერტს დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის. ვისურვებ ჯაბადარის სამშობლოში დაბრუნებას, სადაც შეუძლია დიდი სარგებლობა მოიტანოს მუსიკოსების მომზადებაში".**

... ამ კეთილი, მაგრამ აუსრულებელი სურვილით მთავრდება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" 1925 წლის მაისის ნომერში (№10) პოლ დე კოკის ხელმოწერით დაბეჭდილი კორესპონდენცია.

... დაბრუნება მას აღარ ეწერა, მაგრამ ერეკლე ჯაბადარის მუსიკამ გაიჟღერა სამშობლოში მეოცე საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში, მერე და მერე რადიო გადაცემებშიც.

თბილისში პირველად 1964 წელს გამართულმა კონცერტმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თანამემამულეებზე; ჯაბადარის შემოქმედებას მხურვალედ გამოეხმაურა კომპოზიტორი შალვა მშველიძე. მაშინდელი პროგრამა სათუთად შეუნახავს მუსიკისმცოდნე ჯემალ ოიკაშვილს – ჯაბადარების ნათესავს სულით და ხორცით. აი ისიც:

პირველი განყოფილება:

კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის – II და III ნაწილი; რომანსები: „სული ობოლი" და „სატრფოვ", „სიმფონიური სურათები", „გველის ჰანგი", „ინდაურები" და „თბილისიანა"; საფორტეპიანო პიესები „ნაურული", „კაპრისი" და „ცეკვა ქართული". დირიჟორობდნენ ლილე კილაძე და რევაზ ხურცილავა.

II განყოფილებაში აჟღერდა რამდენიმე რომანსი, პიესა ვიოლონჩელისა და ფორტეპიანოსათვის – „სინანული", „ქართული რაფსოდია" (ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის შემსრულებლები: სოლისტები თ. გოგოლაშვილი, რ. გედევანიშვილი, ნ. ვარდოსანიძე, თ. გომელაური, თ. ზაალიშვილი.

სასიამოვნო მოგონებად შემორჩა 70-იან წლებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული კონცერტიც, რომლის თაოსნები ძმები ილია და შოთა ჯაბადარები იყვნენ.

... ეს დეტალები ერეკლე ჯაბადარის დაბადებიდან 110 წლისთავთან დაკავშირებით გავიხსენეთ და აღვადგინეთ. იმედია, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოშიც აჟღერდება „ქართული ლეგენდა" და „ქართული რაფსოდია".

**ნანა ღვინეფაძე.**

## ახალი სახელები

# ...მეტი, ვიდრე აღმაფრთოვანებელი

ახალგაზრდა მუსიკოსი, 18 წლის ვიოლონჩელისტი გიორგი ხარაძე მუსიკოსთა ოჯახიდან არის. მამა, არჩილ ხარაძე, ვიოლონჩელისტი, სიმებიანი კვარტეტის „თბილისის" ერთ-ერთი წევრია. დედა – ლიანა ჩიქოვანი ალტისტია, და – თეონა კი მევიოლინე. გიორგი რამდენიმე წელია მშობლებთან ერთად ცხოვრობს საფრანგეთის ქალაქ ბლუაში. თბილისის მე-2 სამუსიკო სკოლის მესამე კლასის მოსწავლემ ჩასვლისთანავე იქაურ მუსიკალურ სკოლაში განაგრძო სწავლა.

საფრანგეთში ჩასულმა ხარაძეებმა საოჯახო კვარტეტი შექმნეს და ასეც უწოდეს „ხარაძე". 12 წლის გიორგიც კვარტეტის წევრი გახდა. ანსამბლი კონცერტებით გამოდიოდა სხვადასხვა სცენაზე, 13 წლის გიორგი უკვე ქალაქ ორლეანის კონსერვატორიის აბიტურიენტია. იქაური სასწავლო სისტემის მიხედვით ამ კონსერვატორიაში სწავლობენ 7-დან 25 წლამდე.

ორლეანის კონსერვატორია გიორგიმ 2 წელიწადში წარმატებით დაამთავრა და პარიზის კონსერვატორიაში ჩაირიცხა. მალე გიორგი საფრანგეთის ვიოლონჩელისტთა კონკურსში პირველ ადგილს იკავებს. ერთი წლის შემდეგ სხვა რეპერტუარით კვლავ მონაწილეობს ამ კონკურსში და ისევ იმარჯვებს. ამას მოჰყვა გერმანიის ქ. შტუტგარტში საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება. დასკვნით კონცერტზე იგი შტუტგარტის სახელოვან ორკესტრთან ერთად უკრავს. ამ კონკურსის პირობით გამარჯვებული ერთი წლის შემდეგ ისევ უნდა წარსდგეს გერმანელი საზოგადოებრიობის წინაშე ახალი რეპერტუარით, მაგრამ აქ გამონაკლისი მოხდა – გიორგი ექვსი თვის შემდეგ წარსდგა, რითაც გერმანულ პრესაში ქება დაიმსახურა. ქვემოთ გთავაზობთ რეცენზიას გაზეთიდან „ნიურტინგენი ცაიტუნგ".

**ჩელოს ევროპული სცენის მომავალი ნიურტინგენში**

**მეტი, ვიდრე აღმაფრთოვანებელი: ბოლო წლის პრემიის ლაურეატი გიორგი ხარაძე დომნიკში**

ნიურტინგენი. ეს კონცერტი დიდხანს იქნება დაუვიწყარი, ყოველ შემთხვევაში, მათთვის, ვისაც მასზე დასწრების საშუალება ჰქონდა, როდესაც გასულ კვირას ვილა დომნიკში ბოლო წლის დომნიკის ფონდის ჩელოს კონკურსის გამარჯვებულმა გიორგი ხარაძემ პიანისტ ვოლფგანგ ვალტერთან ერთად მუსიკალური აპოთეოზი უჩვენა. თითქმის დაუჯერებელი მუსიკალური მოწიფულობით და ინსტრუმენტის სრული ფლობით ჩვიდმეტი წლის ქართველმა მუსიკოსმა მსმენელი ორი საათის მანძილზე საოცნებო, მრავალგანზომილებიან მუსიკალურ მოგზაურობაში გაიყოლა.

დროთა ღერძზე გაირბინა გზამ გვიანი ბაროკოდან მუსიკალური მოდერნის უახლეს წარსულამდე. ბახიდან ლიგეტიმდე, ბეთჰოვენიდან შოსტაკოვიჩამდე დაჰქროდნენ ორივე მუსიკოსის თითები და მათთან ერთად მსმენელთა ფიქრებიც. დასაწყისი კი ნამდვილად სევდიანი იყო, რადგან იოჰან სებასტიან ბახის „სიუიტა სიმოლი სოლო ვიოლონჩელისთვის", „შავი მელანქოლიის" გამომხატველი პრელუდიით იწყება.

შთაბეჭდილება არ გაუფუჭებია უმცირეს უზუსტობასაც კი ინტერპრეტაციაში. თითოეული აკორდი, თითოეული ტონი ისეთი სიცხადით და ისეთი სინატიფით ჟღერს, რომ სრულად გამოხატავს კომპოზიტორის გლოვას უდროოდ გარდაცვლილი პირველი მეუღლის გამო.

გიორგი ხარაძემ ბახის ნაწარმოებში დიდი დოზით შემოიტანა გვიანი ბაროკოსათვის უჩვეულო დინამიკა. ალბათ, იმ მიზნითაც, რომ არ შეექმნა კონტრასტი მეორე სოლონაწარმოებზე გადასვლისას, რადგან ლიგეტის „სონატა" სოლო ვიოლონჩელისათვის" ორასი წლით უფრო ახალგაზრდა ნაწარმოებია და არ ჯდება ბაროკოსეულ მკაცრ ფორმებში. არანაირი ტონალური მარწუხები არ აფერხებს ბგერებს, რომლებიც კავკასიელი ახალგაზრდა კაცის მგრძნობიარე, თხელი თითებიდან თავისუფალ ნაკადად მოედინება.

„ჟიურისთვის ეს დღესასწაული იყო" – აღნიშნა ვილა დომნიკის კურატორმა ვერნერ ესერმა დაჯილდოების ცერემონიალზე. ხოლო ამ ფესტივალის გამარჯვებულის მოსმენა ნიურტინგენში ორმაგი დღესასწაული იყო. გიორგი ხარაძემ თავის ვირტუოზობით და ასაკისათვის გასაოცარი მუსიკალური მოწიფულობით პარიზში ყველა გააოცა. მისთვის პრობლემა არ აღმოჩნდა კონცერტის წინ, უმოკლეს ვადაში, პიანისტი პარტნიორის გამოცვლა. მოულოდნელი ავადმყოფობის გამო პიანისტი ნადინე შუბე ვერ გამოვიდა კონცერტზე პრიზიორთან ერთად. იგი შეცვალა უფრო გამოცდილმა პიანისტმა, კონკურსების თანარეპეტიტორმა ვოლფგანგ ვალტერმა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობს დომნიკის ფონდთან. შესვენების შემდეგ მეორე განყოფილებაში მათ შეასრულეს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის და დიმიტრი შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები. შტუტგარტის უმაღლესი მუსიკალური სკოლის დოცენტმა, პიანისტმა უმაღლესი დონე უჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ერთობლივი რეპეტიციის დრო ორივე ხელოვანს თითქმის არ ჰქონდა.



სონატა ჩელოსთვის არ იწვევს იმავწუთიერ ასოციაციას ბეთჰოვენის სახელთან. მაგრამ გენიალურმა ხელოვანმა თავისი ძალები ამ ინსტრუმენტისთვისაც მოსინჯა. ხუთივე ნაწილის მოსმენისას თვალწინ გიდგება კომპოზიტორის მძლავრი ბიუსტი, თითქოს ფაფარაშლილი, თავის ძლიერი გაქნევით ჩანს იგი „ანდანტეში" და ბოლოს გადადის „ალეგრო ვივაჩეში".

რა თქმა უნდა, გიორგი ხარაძემ კულმინაცია კონცერტის ბოლოსთვის შემოინახა. ეს იყო შოსტაკოვიჩის ცხოვრებისეული ბრძოლა, გამოხატული ნაწარმოებში „სონატა ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის". ინტერპრეტატორი მსმენელს აცნობს ბოლო საუკუნის ოცდაათიანი წლების სამყაროს. პასაჟები, სამ გვერდზე გაწელილი არპეჯიოები, დაუძაბავად შესრულებული ფლაჟოლეტი, თანაბრად, ტალღოვანად მოედინება და შემსრულებლის ვირტუოზულობას ასახავს. მკაცრ ბანებს მოულოდნელად სცვლის ვიოლინოს სუფთა ბგერები, რაც ბოშების მუსიკას მოგვაგონებს.

კონცერტის თემატიკა იყო ყოვლისმომცველი, გნებავთ, ვენის კლასიკიდან თუ გვიანი რომანტიკის პერიოდიდან, რაც სულისშემძვრელი დაძაბულობით გადადიოდა მოდერნში. გიორგი ხარაძე ყველა მომენტში თავისუფლად ახერხებდა გრძნობების გამოხატვას.

ჩელოს ევროპული სცენის მომავალი ორი საათით გამოჩნდა ნიურტინგენში. სასურველი იქნება თუ ორმხრივი დაინტერესება გაგრძელდება და ვერნერ ესერი, როგორც ვილა დომნიკის მასპინძელი, კვლავ მიესალმება ამ ახალგაზრდა კაცს სიტყვებით: „რა არის კონცერტის ორგანიზატორისათვის იმაზე უფრო მშვენიერი, ვიდრე ბოლო ადგილამდე გადაჭედილი დარბაზის ყურება".

**ჰაინც ბიოლერი,**
**ნიურტინგენი.**

თარგმნა მარიამ მირიანაშვილმა.

სურათზე: გიორგი ხარაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

გამოცა

# მოგონებანი შემოქმედებით სიხარულად იქცა

ახლახან „ხელოვნებამ“ გამოსცა წიგნი სათაურით „მას სიმღერა სიცოცხლეზე მეტად უყვარდა“, რომელიც ეძღვნება საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი ბარიტონის რევაზ კაკაბაძის ხსოვნას.

წიგნის ავტორია და ხელოვნისა, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტი ცისანა კაკაბაძე. პროლოგში ავტორი საუბრობს წიგნის დაწერის მიზანზე, შემდეგ ვეცნობით ოჯახურ გარემოს. თვით ოჯახს, რომლის ყველა წევრი მუსიკალური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული.

„ჩვენს ოჯახში ტრადიციულად იკრიბებოდნენ ნათესავები. ვუმასპინძლდებოდით, რითაც შეგვეძლო და ბოლოს სახელდახელო კონცერტით ვამთავრებდით საღამოს“.

კაკაბაძეების ოჯახში მუსიკა იქცა უმთავრეს ძალად.

„ქუთაისში ცხოვრების დროს მამას პოლიკარპე კაკაბაძემ უთხრა: „სერგო, პირობები არა მაქვს, თორემ ისეთი საინტერესო პიესა მაქვს მოფიქრებული, სიამოვნებით დავწერდი“. მაშინ მამამ ჩვენ სახლში ერთი ოთახი დაუთმო – „ოღონდ დაწერე და რამდენ ხანსაც გინდა, იცხოვრე ჩვენთან“. ძალიან მეამაყება, რომ ჩვენს ოჯახში 1929 წელს დაიწერა პოლიკარპე კაკაბაძის გენიალური ნაწარმოები „ყვარყვარე თუთაბერი“ – იხსენებს ავტორი.

ცხადია, ასეთი ატმოსფერო დადებით ზეგავლენას მოახდენდა მომავალ ხელოვანზე. მომღერლის დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ნინო ვესელოვზოროვას (ოლღა ბახუტაშვილ-შულგინას დას). აღელვებული შულგინა თავის დას საყვედურობდა: „ნინა, რას შვრები, იგი ხომ ტენორი არ არის. რატომ მიგყავს ასე მაღლა?“ როგორც ჩანს, ოლღა ბახუტაშვილ-შულგინას მღელვარე ტონმა დადებითი შედეგი გამოიღო, აღელვებული ტონი შემოქმედებით სიხარულად იქცა.

მაღალმა ვოკალურმა რეგისტრმა ჩამოაყალიბა რევაზ კაკაბაძე სრულყოფილ მომღერლად, მისი ოსტატი იყო დიდებული მომღერალი და პედაგოგი ვალერიან შალიკაშვილი, შემდეგ კი გიორგი მარგიევი.

გადიოდა დრო, მომღერალი თანდათან იხვეწებოდა, მდიდრდებოდა შინაგანად, რაშიც თავის მხრივ წვლილი შეიტანეს ნოდარ ანდღულაძემ, ტატიანა დუნენკომ, მარინა ქურთოშვილმა.

ოჯახში კი, თურმე, მის ვოკალურ მონაცემებს უიმედოდ უყურებდნენ. „რეზომ უცხო ენების ინსტიტუტის კონცერტზე დამპატიჟა. ჯერ სხვა ნომრები მიდიოდა, შემდეგ რეზომ დაიწყო სიმღერა. პირველად მეგონა, სხვა პიროვნებას ვუსმენდი. ჩემს გვერდით ერთმა გოგონამ მეორეს გადაულაპარაკა: აი ნახავ, ეს ყმაწვილი თუ ოპერის მომღერალი არ გახდეს“ – იხსენებს ავტორი.

ძალიან რთული იყო მაშინ დავით გამრეკელის, ბათუ კრავეიშვილის, პეტრე ამირანაშვილის, ნადია ხარაძის, მერი ნაკაშიძის თაობის შემდეგ თეატრში მისვლა. რევაზ კაკაბაძემ საკუთარი ადგილი მონახა თავის თაობაში ზურაბ ანჯაფარიძის, ნოდარ ანდღულაძის, ცისანა ტატიშვილის, ირაკლი შუშანიას გვერდით.

იგი გამოირჩეოდა შრომისუნარიანობით, კოლოსალური ენერგიით, თეატრისადმი უდიდესი სიყვარულით. ეს თვისებები კი მსახიობისათვის წარმატების საწინდარია.




ტატიანა დუნენკო თავის მუსიკალურ შვილობილად თვლიდა თურმე რევაზ კაკაბაძეს.

ვერდის „აიდაში“ ამონასრო, ზ. ფალიაშვილის „დაისში“ კიაზო, „აბესალომ და ეთერში“ – მურმანი, ლეონკავალოს „ჯამბაზებში“ – ტონიო, ჩაიკოვსკის „იოლანტაში“ – ექიმი იბნ-ჰაგია, მასკანის „სოფლის პატიოსნებაში“ – ალფიო, ვერდის „რიგოლეტოში“ – რიგოლეტო, ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ – ტომსკი, ბიზეს „კარმენში“ – ესკამილიო, – აი პარტიები, რომლებშიც თავი დაამახსოვრა თბილისელებს რეზომ. სწორედ საოპერო კლასიკაში და საკონცერტო მოღვაწეობაში გამოჩნდა რევაზ კაკაბაძის როგორც მსახიობ მომღერლის ფსიქოლოგიური, ემოციური მხატვრული სახე.

წიგნში ვეცნობით არაერთ საინტერესო ფაქტს ხელოვნის ცხოვრებიდან. იმ აღფრთოვანებულ რეცენზიებს, რომლებიც იწერებოდა მისი შემოქმედების შესახებ, მისი კოლეგების, მეგობრების მოგონებებს.

„ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა მასთან ერთად სცენაზე დგომა, თუმცა ეს მეტად საპასუხისმგებლო და სახიფათოც იყო. მისი შესანიშნავი სილამაზის, სიძლიერის და უდიდესი დიაპაზონის მქონე ხმა ისეთ ქარიშხალს ატეხდა საჭირო შემთხვევაში სცენაზე, რომ ჭიანჭველებივით მიმოვრბოდით ხოლმე ყველა მის გარშემო“ – წერდა **ზურაბ ანჯაფარიძე.**

„საზღვარგარეთ ხშირად მიმღერია მსოფლიოში ცნობილ ბარიტონებთან და სიამოვნებით მინდა განვაცხადო, რომ რეზო კაკაბაძე თავისი უნიკალური მონაცემებით და მაღალი ოსტატობით, იმ მომღერლებზე მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით არის“ – **ცისანა ტატიშვილი.**

„სადაც კი ვყოფილვარ საზღვარგარეთ და ყოფილ საბჭოთა კავშირის საოპერო სცენაზე, მუდამ მახსენდებოდა ჩვენი დასი და არაერთხელ მისაუბრია იქაურ დირიჟორებთან ჩვენი მომღერლების და, კერძოდ, რეზო კაკაბაძის შესახებ, რომლის ყოფნა მათ თეატრს რარიგად დაამშვენებდა თავისი ხმითა და არტისტიზმით“ – **მედეა ამირანაშვილი.**

„კონსერვატორიაში მისულს დერეფანში მცირე დარბაზის გვერდით მომესმა ხმა, რომელიც შემდეგში აღარასოდეს დამვიწყებია. რევაზ კაკაბაძე მღეროდა ვირტუოზულად ფიგაროს კავატინას როსინის „სეველიელი დალაქიდან“. ეს იყო სრულყოფილად ჩამოსხმული თუ გამოძერწილი უდიდესი ძალისა და სილამაზის ბგერა თავისუფლად მონავარდე როსინის კავატინის თავბრუდამხვევ ვოკალურ პასაჟებში, სავსე და მსუბუქი, ძლიერი და მოქნილი, მომაჯადოებული ორგანული ვირატოთი მოელვარე“ – **ნოდარ ანდღულაძე.**

ასევე დიდი გულისყურით იგონებენ მას ნოდარ ჯაფარიძე, ელდარ გეწაძე, ტატიანა მალიშევა, გიზო ჟორდანია, შალვა დავითაშვილი და სხვები.

წიგნი სევდანარევი ეპილოგით მთავრდება. ავტორი ქედს იხრის თავისი ძმის ხსოვნის წინაშე, რომლის სასცენო კარიერა „აიდათი“ დაიწყო და „აიდათი“ დასრულდა... 1993 წელს. წიგნის ღირსება სწორედ ის არის, რომ მომავალ თაობას ქალბატონმა ცისანა კაკაბაძემ მეუარული თხრობისათვის დამახასიათებელი უშუალო კილოთი, საინტერესოდ უამბო რევაზ კაკაბაძის მიერ განვლილი ურთულესი გზის შესახებ ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

**დავით სოლომნიშვილი.**

ახალსახლობა

# თითების თეატრის თბილისური სეზონი



თბილისში გადმოსახლება გადაუწყვეტია ბესო კუპრეიშვილს, ბათუმის თითების თეატრის დამაარსებელს და ხელმძღვანელს. ამ ორიგინალური ჟანრის თეატრს, როგორც ამბობენ, ანალოგი არა აქვს მსოფლიოში. იგი 1988 წელს დაარსდა ბათუმში და აი, დაარსებიდან მეთოთხმეტე წელს მისამართს იცვლის, რის მიზეზსაც მისი ხელმძღვანელი ჯანმრთელობის გაუარესებას, კერძოდ, ასთმურ მოვლენებს უკავშირებს. ახლა ამ პატარა თეატრის უპირველესი საზრუნავია სათანადო ფართის მოძებნა.

თეატრმა თვით ბათუმშიც რამდენჯერმე გამოიცვალა ბინა. თავდაპირველად იგი საბავშვო სტუდია „მთიებთან“ ჩამოყალიბდა (სტუდიის ხელმძღვანელი ნინო ნიჟარაძე). თეატრის სიყვარულით „დაავადებულმა“ ბესო კუპრეიშვილმა გარს შემოიკრიბა ბათუმელი მოსწავლეები და თავისი უცნაური ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგა. ორიოდე წლის შემდეგ ამ ჯგუფს თეატრი-სტუდია უწოდა და მან ბათუმის მსახიობთა სახლში დაიდო საყუდარი, საიდანაც მოგვიანებით აიძულეს გამოსახლებულიყვნენ და ნამდვილი ენთუზიასტები ხან სად და ხან სად შეხიზნულები მაინც მართავდნენ წარმოდგენებს, ვიდრე 2000 წელს ახალ შენობაში, აჭარკოოპკავშირის კლუბში არ დასახლდნენ.

ამასობაში თეატრის ხელმძღვანელმა ბესო კუპრეიშვილმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა თოჯინების თეატრის მსახიობის სპეციალობით.

თითების თეატრის შემოქმედება გასცდა ბათუმს. რამდენიმე წლის წინათ მათ თბილისელებს უჩვენეს თავიანთი ხელოვნება. მერე, 1997 წელს კი მიიწვიეს საფრანგეთის ქალაქ შარლევილ-მეზიერში, რომელიც მეთოჯინეთა მსოფლიო ცენტრია და სამ წელიწადში ერთხელ მართავს თოჯინურ ფესტივალს. მრავალი ქვეყნიდან მიწვეულ მონაწილეთა შორის ამ უცნაურმა თითების თეატრმა გაითამაშა სპექტაკლი „ექსტრავაგანსა“. ბათუმელთა ხელოვნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მათ შორის, საფრანგეთის ტელევიზიისაც. ქართულმა თეატრმა სრულიად გაუთვალისწინებლად სპექტაკლი პარიზში, იუნესკოს ცენტრშიც წარმოადგინა. გავიდა ერთი წელი და ისევ საფრანგეთს ესტუმრნენ საქართველოს დღეებში მონაწილეობისათვის. ამას მოჰყვა ბაქოელთა დაინტერესება, ხოლო 2000 წელს ტრაპიზონში შავიზღვისპირა აუზის ქვეყნების პირველ თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობდნენ. შარშან კი ინგლისში და შოტლანდიაში გამართულ ფესტივალზე წარსდგნენ.

თითების თეატრში ამჟამად მეოთხე თაობა მუშაობს. ესენი ძირითადად ბათუმელი მოსწავლეები და სტუდენტები არიან. ახლა თეატრის ხელმძღვანელი თბილისელთაგან ახალ შევსებას ამზადებს.

– რა არის მთავარი, რის მიხედვით არჩევთ დასის წევრებს? – ვეკითხები ბესო კუპრეიშვილს.

– მთავარია მსურველს თეატრი უყვარდეს, – ამბობს იგი, – და კიდევ უნდა ჰქონდა ძალიან კარგი სმენა, სასურველია გრძელი თითებიც...

„ექსტრავაგანსა“ და „ფიროსმანი“, აი ეს ორი წარმოდგენაა თითების თეატრის რეპერტუარში. „ექსტრავაგანსას“ ჯერჯერობით ისევ ბათუმის ჯგუფი ითამაშებს, ახალ სპექტაკლებში კი თბილისელებიც შეემატებიან.

„ექსტრავაგანსა“ (მხატვრები ნინო ნიჟარაძე და აშოტ გასპარიანი) რამდენიმე დამოუკიდებელი ნომრისაგან შედგება, მაგალითად, თითები ცეკვავენ: „ხორუმს“, „ოსურს“, „მთიულურს“, „კანკანს“, „კარმენ-სიუიტას“, „კალინკას“. ერთი ნომერი მაიკლ ჯექსონს ეძღვნება, ერთიც ცნობილ ირლანდიურ ანსამბლს – „რივერდანს“... საგულისხმოა, რომ ბესო კუპრეიშვილი ნომრებს მუსიკალურადაც თვითონ აფორმებს.

ხელოვანი უახლოესი მომავლისათვის უამრავ საინტერესო ჩანაფიქრს მანდობს, ცნობილი უნგრელი დრამატურგის დიულა ურბანის თოჯინური პიესის „ყველა თაგუნას უყვარს ყველი“ დადგმას აპირებს, რომელშიც თურმე „რომეოსა და ჯულიეტას“ ვარიანტი თამაშდება. სამობაოდ რაველის „ბოლეროს“ გაითამაშებენ. ოპერის დადგმასაც ფიქრობს. სხვა სიახლეებიც იქნება, კერძოდ, წარმოდგენაში მარიონეტებიც გამოჩნდებიან და შესაძლოა არა მარტო თითები ჩაერთონ თამაშში.

დღესდღეობით თითების თეატრი ძირითადად სარდაფის თეატრში მართავს სპექტაკლებს და პარალელურად ახალ ბინაზე ზრუნავს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

**სურათებზე:** თითების თეატრის დასი; ცეკვა „ხორუმი“.



ქრონიკა

# ბოლნისელთა პრემიერა



ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახალხო თეატრ-სტუდიამ დადგა აკაკი გეწაძის პიესა „გაყოფილი ცრემლი“. სპექტაკლის რეჟისორია ამავე სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი ზურაბ ხვედელიძე, კომპოზიტორია კახა ცაბაძე, მხატვარი – პაატა მძინარაშვილი, ლოტბარი – ნინო ალადაშვილი, ქორეოგრაფი – ხვიჩა ჭითანავა.

მაყურებელმა მთავარ როლებში იხილა გია ქობულაძე (ყარამანი), გია ღვინერია (კეჭო), ლადო კენჭოშვილი (უცნობი). როლები განასახიერეს, აგრეთვე, ნუგზარ ერისთავმა, ირმა ჭილაიამ, ნინო ალადაშვილმა, მზევინარ შეყილაძემ, ედუარდ რეხვიაშვილმა, ვიქტორ ისიანმა, რეზო მუშკუდიანმა, გურამ ჭითანავამ.

საზოგადოება თითქმის ყოველ ეპიზოდს ტაშით აჯილდოებდა.

პრემიერას დაესწრო ცრემლიანი კომედიის ავტორი აკაკი გეწაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა როგორც რეჟისორს, ასევე მთელ კოლექტივს, ორმოციოდე წლის წინათ დაწერილი ნაწარმოების ახლებური გააზრებისათვის, მათაც, ვინც სცენისმოყვარეთა დასს ხელი შეუწყო, რათა პიესა თანამედროვეობის შესატყვისად წარმოესახა.

ბოლნისელებმა ამ წარმოდგენით გახსნეს ახალი სეზონი.

**საკუთარი ინფორმაცია.**

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი, ვაჟა ძიგუა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!



- სტოკჰოლმის სინდრომი
- ვაშინგტონი მხარში ამოუდგება მოსკოვს
- ჩხრეკა-დაპატიმრება პალესტინელთა ტერიტორიაზე

# მოსკოვი, მელნიკოვის ქუჩა

**დემონსტრაცია**

ჩეჩენ მოთარეშეთა მიერ მოსკოვის თეატრალურ ცენტრში დატყვევებულ მძევალთა ნათესავებმა თეატრის შენობასთან გამართეს დემონსტრაცია, რომელზეც მოითხოვეს, შეწყდეს ჩეჩნეთის ომი.

კრიზისის გადაწყვეტის ოპერატიული შტაბის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, მოთარეშეებმა მძევლებს დაურიგეს მობილური ტელეფონები, რათა მათ ნათესავებისათვის დაერეკათ და ეთხოვათ, მოეწყოთ ხალხმრავალი მანიფესტაცია.





შტაბის წარმომადგენელმა ამას უწოდა „სტოკჰოლმის სინდრომის“ გამოვლენა, რომლის დროსაც მძევლებს სიმპათია უჩნდებათ გამტაცებელთა მიმართ.

მძევლების ნათესავებს განზრახული აქვთ, აგრეთვე, გამართონ მიტინგი წითელ მოედანზე, რათა დააკმაყოფილონ მოთარეშეთა მოთხოვნები. იუწყებიან, რომ მიტინგი შაბათ დილამდე უნდა მოეწყოს. ბოევიკები იმუქრებიან, რომ დაიწყებენ მძევალთა ხოცვას იმ შემთხვევაში, თუ მანიფესტაცია არ გაიმართა.

**მძევალთა გათავისუფლება**

დილის 7 საათისათვის თეატრალური ცენტრის შენობა დატოვა შვიდმა მძევალმა. ისინი გადაიყვანეს ოპერატიულ შტაბში, სადაც მათთან ფსიქოლოგები მუშაობენ.

შტაბის წარმომადგენლის თქმით, გამოშვებული მძევლები რუსეთის მოქალაქენი არიან. კრიზისის რაიონში რეგულარულად მიდიან სხვადასხვა დიპლომატიური მისიების, მათ შორის, აზერბაიჯანის, ავსტრიისა და ბრიტანეთის მანქანები.

უცხოელი დიპლომატების მოსვლას იმას უკავშირებენ, რომ მოთარეშენი დათანხმდნენ, გამოუშვან მძევალთა შორის მყოფი უცხოელი მოქალაქენი. აქ მოვიდნენ, აგრეთვე, ბრიტანეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც ლონდონმა გამოგზავნა რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების დასახმარებლად.

**რეპორტიორები თეატრში შეუშვეს**

აქამდე რუსეთის **НТВ** ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფი, აგრეთვე, ექიმთა ჯგუფი იყვნენ ცენტრის შენობაში. ჟურნალისტთა თქმით, მოთარეშენი მოელიან, რომ შენობის შტურმი უახლოეს ხანს დაიწყება.

**НТВ** კორესპონდენტმა სერგი დედუხმა თქვა, რომ ყველა მოთარეშეს, ბარაევის გარდა, ნიღაბი უკეთია. „ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი, ბევრს შემოკრული აქვს ასაფეთქებელი მასალის „თავგადადებულთა სარტყლები“.

**НТВ** ჟურნალისტებს მიეცათ შესაძლებლობა, გასაუბრებოდნენ ექვს მძევალ ქალს. მაგრამ დარბაზში, სადაც დანარჩენი მძევლები იმყოფებიან, ისინი არ შეუშვეს. ქალების თქმით, შენობაში ჯერჯერობით არის საჭმელი და წყალი ბუფეტიდან. მძევალთა საერთო რიცხვი დაახლოებით 600-ს შეადგენს.

მოგვიანებით რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის მინისტრმა მიხეილ ლესინმა აკრძალა მოვსარ ბარაევის განცხადების ვიდეოჩანაწერის ეთერში გადაცემა. ლესინის თქმით, ეს ტრანსლაცია დაარღვევდა ექსტრემიზმის პროპაგანდის აკრძალვას.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, მოვსარ ბარაევმა თქვა, რომ გაათავისუფლებს რამდენიმე მძევალს, თუ მის განცხადებას ტელევიზიით გადასცემენ.

**ექიმთა თვალით დანახული და შეფასებული**

რუსეთის კატასტროფების მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელმა ლეონიდ როშალმა, რომელიც თეატრის შენობაში იყო, თქვა, რომ მძევალთა შორის არიან დაახლოებით 12 წლის ყმაწვილები, რომლებიც მოთარეშეებმა არ გამოუშვეს სხვა ბავშვებთან ერთად, ვინაიდან ისინი მოზრდილებად მიიჩნიეს.



მედიკოსებს ნება დართეს, გადაეცათ წამლები მძევლებისათვის. ეს არის ოპერატიული შტაბის მოთათბირეთა პირველი წარმატება. რომლებიც ტრაგედიის ადგილზე მუშაობენ.



მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის თქმით, ძალისმიერი სტრუქტურები ჯერჯერობით არ გეგმავენ თეატრის შტურმს. მოთარეშეებმა შენობიდან გამოუშვეს ქალი, რომელსაც პერიტონიტი აღმოაჩნდა.

ჯერ კიდევ ოთხშაბათს, შესაძლებელი გახდა 160-მდე მძევლის განთავისუფლება. მოთარეშენი იმუქრებიან, რომ მაშინვე ააფეთქებენ შენობას, როგორც კი შეამჩნევენ, რომ რუსეთის სპეცრაზმი იერიშისათვის ემზადება. ერთ-ერთმა გამტაცებელმა, რომელიც ბი-ბი-სის დაუკავშირდა, განაცხადა, რომ ამ აქციისათვის მზადების ერთი თვის განმავლობაში ჩეჩნებმა შეძლეს, თეატრში შეეტანათ დაახლოებით 2 ტონა ტროტილი. შენობის ყველა შესასვლელი დანაღმულია.

**არის მსხვერპლი**

მოთარეშეებმა უკვე იმსხვერპლეს სულ ცოტა ორი კაცი. შენობის ხელში ჩაგდებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მათ მოკლეს ქალი, რომელიც ცდილობდა, თეატრში შეპარულიყო – იგი უშიშროების აგენტად ჩათვალეს. ხუთშაბათს დაიღუპა კიდევ ერთი მძევალი, 20 წლის გოგონა.

ორმა მძევალმა ქალმა შეძლო, გამოქცეულიყო. ერთი მათგანი დაჭრილია. დაიჭრა, აგრეთვე, სპეცრაზმის ერთ-ერთი თანამშრომელი. მოთარეშეთა თქმით, სროლა ყუმბარსატყორცნიდან წარმოებდა.

„ჩვენ ჩამოვედით, რათა დავასრულოთ ომი“, – განუცხადა ტელეფონით ბი-ბი-სის კავკასიისა და შუა აზიის სამსახურის კორესპონდენტს ერთ-ერთმა მოთარეშემ, რომელსაც მძევლები ჰყავს დატყვევებული თეატრის შენობაში.

„ჩვენი პირობები თქვენ იცით – შეწყვიტეთ ომი, გაიყვანეთ ჯარები. გაძლევთ ერთი კვირის ვადას, თუ არადა მძევლებს დავხოცავთ“.

„ჩვენ უკანდასახევი გზა მოჭრილი გვაქვს... ჩვენ აქ ჩამოვედით, რათა დავიხოცოთ. და ჩვენი ლოზუნგი ასეთია: „თავისუფლება და სამოთხე“. მოთარეშემ ხაზი გაუსვა, რომ შენობის დაპყრობა განახორციელა სადაზვერვო დივერსიულმა ჯგუფმა „თავგადადებული ჩეჩნები“, და უარყო ყოველგვარი კავშირი „ალ-ყაიდასთან“, ან სხვა ისლამისტურ რადიკალურ დაჯგუფებებთან. აქამდე იუწყებოდნენ, რომ მოთარეშენი შედიან არბი ბარაევის ძმისწულის მოვსარის დაჯგუფებაში.

# ამშ მზად არის, რუსეთს დაეხმაროს

ვაშინგტონი ზუსტად ისევე გამოეხმაურა მოსკოვის ტერაქტს, როგორც მოსკოვი – ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის ტერაქტებს: სწრაფად და ერთმნიშვნელოვნად. შეერთებულმა შტატებმა გულისწყრომით დაგმო მძევლების შეპყრობა, სოლიდარობა გამოუცხადა რუსებს და შესთავაზა დახმარება.



როგორც თეთრი სახლის პრესმდივანმა არი ფლაიშერმა განაცხადა, „პრეზიდენტმა ბუშმა დაურეკა პრეზიდენტ პუტინს, რათა გამოეთქვა ამერიკის მხარდაჭერა რუსეთისადმი... მან აღნიშნა, რომ ამშ მზად არის გაუწიოს რუსეთს ყოველგვარი დახმარება, რომელიც მას დასჭირდება“. ფლაიშერმა განაცხადა, რომ მოსკოვის თეატრალური ცენტრის შენობის ხელში ჩაგდება „წმინდა წყლის ტერორიზმია“.

ბუში იმედოვნებდა, რომ მექსიკის სამიტს გამოიყენებდა, რათა დაეყოლიებინა პუტინი, შეერბილებინა პოზიცია ამერიკის რეზოლუციის მიმართ. ფლაიშერმა აღნიშნა, რომ ამერიკის პრეზიდენტს საუცხოოდ ესმის, რატომ თქვა მისმა რუსმა კოლეგამ უარი სამიტში მონაწილეობაზე.

ამშ ელჩმა მოსკოვში ალექსანდრე ვერშბოუმ განაცხადა, რომ ამერიკის სპეცსამსახურებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული ფედერალური უშიშროების სამსახურთან კრიზისის დაწყებისთანავე, და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან, რათა, რაც შეიძლება მალე მიაღწიონ მძევალთა განთავისუფლებას.

ვერშბოუს თქმით, ვაშინგტონი მოსკოვს მიაწვდის ნებისმიერ საიდუმლო ინფორმაციას, რომელიც ხელს შეუწყობს დატყვევებული რუსებისა და უცხოელების განთავისუფლებას. მძევალთა შორის არის რამდენიმე ამშ მოქალაქე და ამერიკაში ბინადრობის მოწმობის მქონე ერთი რუსი.

გარკვეული ინფორმაცია შეერთებულ შტატებს უდავოდ აქვს. მაგალითად, ამერიკის სასამართლო დოკუმენტებში ტერორიზმის საქმეების შესახებ, რომლებიც ბი-ბი-სის კორესპონდენტმა ნახა ამ ბოლო წლის მანძილზე, ხშირად არის ნახსენები ჩეჩნეთი. როგორც ჩანს, ამ საქმის გამო დაპატიმრებულთაგან ბევრმა მისცა ჩვენებანი ჩეჩნეთთან დაკავშირებით.

ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის დათბობის კვალობაზე ვაშინგტონი სულ უფრო ნაკლებად აცხადებს პროტესტს ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ, და აღიარებს, რომ ჩეჩენ სეპარატისტთა ნაწილს კავშირი აქვთ „ალ-ყაიდასთან“. ამავე დროს, ამშ მოუწოდებს რუსეთს, გადაწყვიტოს ეს კონფლიქტი პოლიტიკური, და არა სამხედრო მეთოდებით. მეთვალყურენი ამბობენ, რომ ახლა საეჭვოა, ამ მხრივ რაიმე შეიცვალოს, თუმცა, მძევალთა შეპყრობა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს „შეამბოხეთა“ წინააღმდეგ განაწყობს.

„მე არა მგონია, რომ ამ მოვლენამ რამენაირად შეუწყოს ხელი ჩეჩნეთის საქმეს, – განაცხადა ვერშბოუმ მოსკოვის ტერაქტის გამო, – პირიქით: ეს მხოლოდ გამოიწვევს გულისწყრომას იმათ წინააღმდეგ, ვინც ტერორისტულ მეთოდებს იყენებს პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის. ყოვლად უდანაშაულო მოქალაქეთა შეპყრობას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად აბსოლუტურად არავითარი გამართლება არ გააჩნია“.

# ისრაელთა ჯარები ჯენინში შევიდნენ

პარასკევს გამთენიისას ისრაელის ჯარები იორდანეს დასავლეთი ნაპირის ქალაქ ჯენინში შევიდნენ.

ასობით ისრაელი ჯარისკაცი ტანკებისა და ჯავშნოსანი მანქანების მხარდაჭერით მოძრაობს ქალაქისა და ლტოლვილთა ბანაკის ქუჩებში. ისინი ჰაერში ისვრიან და ჩხრეკენ სახლებს პალესტინელი ექსტრემისტების გამოსავლენად.

ისრაელის არმიის ერთ-ერთმა ოფიცერმა თქვა, რომ ეს არის უდიდესი ამგვარი ოპერაცია აგვისტოს შემდეგ, როდესაც ნაბლუსში სამი პალესტინელი მოკლეს იერუსალიმის ტერაქტის შემდეგ, რომელშიც შვიდი ისრაელი დაიღუპა.

ჯენინის ოპერაცია დაიწყო რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც ამერიკის დესპანმა უილიამ ბერნსმა მოლაპარაკება გამართა პალესტინელთა და ისრაელთა წარმომადგენლებთან ძალადობის შეჩერების მიზნით.



# ორბიტაზეა უნიკალური ტელესკოპი

ყაზახეთის ბაიკონურის კოსმოდრომიდან გაუშვეს „პროტონ-კ“ მძიმე რაკეტამატარებელი, რომელმაც ორბიტაზე გაიყვანა „ინტეგრალ“ საერთაშორისო კოსმოსური ობსერვატორია.

თანამგზავრი იწონის დაახლოებით ოთხ ტონას, აქედან, წონის ნახევარს შეადგენს ავტომატური ობსერვატორიის მოწყობილობა. ეს რეკორდული წონაა აპარატურისათვის, რომელიც ევროპის კოსმოსურ სააგენტოს ოდესმე დაუყენებია თანამგზავრებზე.

„ინტეგრალი“ ააწყვეს სპეციალურ საერთაშორისო კონსორციუმში შემავალი ქვეყნების მეცნიერებმა – ჩეხეთმა, პოლონეთმა, შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა. პროექტის საერთო ღირებულებაა 600 მილიონი დოლარი, საიდანაც ნახევარი გაიღეს ევროპელმა



მონაწილეებმა, ნახევარი – შეერთებულმა შტატებმა.

რუსეთის მონაწილეობა პროექტში გამოიხატა აპარატურის შემუშავებით, აგრეთვე ორბიტაზე თანამგზავრის გაყვანის უზრუნველყოფით.

საბოლოო ანგარიშით, რუსეთის წილი პროექტში შეადგენს მთელი იმ დროის მეოთხედს, რომელიც ორბიტაზე ასტროფიზიკური კვლევის მოსაწყობად არის განკუთვნილი.

თანამგზავრზე დაყენებული ტელესკოპი დააკვირდება შავ ხვრელებს (ეგრეთ წოდებულ გაყინულ ვარსკვლავებს), „პულსარებს“ (მფეთქავი რადიოგამოსხივების წყაროვარსკვლავებს) და სამყაროს სხვა იდუმალ მოვლენებს. ამასთან, ობსერვატორია იმოქმედებს დედამიწის რადიაციული სარტყლების ფარგლებს გარეთ, რომლებიც ამახინჯებენ დაკვირვებათა შედეგებს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**არჩილ მანჯგალაძემ.**

გიხაროდენ!



# კოტე მახარაძე უკვე შინ ბრძანდება

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველო-რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების 12 ოქტომბრის იმ „ჩაბნელებული მატჩისას“ ჩვენი საყვარელი ტელეკომენტატორი და მსახიობი კოტე მახარაძე დიდი განცდების გამო ცუდად გახდა და საავადმყოფოში აღმოჩნდა, რის შესახებაც უკვე გაუწყეთ („სრ“ №253, 17 ოქტომბერი). საბედნიეროდ, ბატონი კოტე ჭირთამთმენი და შეუპოვარი აღმოჩნდა. სერიოზული ავადმყოფობის მიუხედავად, მან ვაჟკაცურად დაძლია კრიზისული მდგომარეობა და ათიოდ დღეში გამომჯობინდა.

ცხადია, მის გამოჯანმრთელებაში ლომის წილი მიუძღვით ბატონ კოტეს მეუღლეს ქალბატონ სოფიკო ჭიაურელს და თბილისის მე-9 საავადმყოფოს მედიკოსებს.

მინდა გახაროთ, რომ კოტე მახარაძე მეოთხე დღეა საავადმყოფოდან გამოეწერა და შინ ბრძანდება. თავსაც უკეთ გრძნობს, თუმცა, ოჯახის წევრების რჩევით, ჯერჯერობით ჟურნალისტებთან და გულშემატკივრებთან შეხვედრებს ერიდება. ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე ჩვენი ენაწყლიანი მაესტრო მოგვიყვება იმულებითი „წუთშესვენების“ შესახებ, რასაც ჩვენს მკითხველებს სიამოვნებით ვუამბობთ.

**ვაჟა დანელია.**

სურათზე: კოტე მახარაძე – თავის სტიქიაში (გადაღებულია 1984 წელს).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჩვენი ეროვნული საუნჯე

# თბილისობაზე, აკაკის ბაღში

დიდუბის ამ ძირძველ ადგილზე, ახლა რომ დიდი მგოსნის – აკაკის ძეგლი დგას, ოდითგანვე იმართებოდა ჭიდაობა. ჩვენი ეროვნული საუნჯის – ქართული ჭიდაობის მეისტორიეებმა არაერთი ცნობა, ამბავი, ინფორმაცია დაგვიტოვეს ამის თაობაზე. მერე და მერე, ჩვენი ბედოვლათობით, ეს მშვენიერი ტრადიცია დავიწყებას მიეცა და ძველი ბაღის ტერიტორია, თითქმის უკაცრიელი, ხშირად საეჭვო ქცევის ქალების თავშეყრის ადგილად იქცა.

საბაზრო ეკონომიკის ჩვენთან დამკვიდრების კვალობაზე, ბაღმა ახალი, თანამედროვეობის შესაბამისი ფუნქცია შეიძინა – დიდი ბაზრობის დანამატად იქცა...

თუმცა, ერთი დღით, ლვინობისთვეში, კვლავ იბრუნებს თავის ძირძველ ფუნქციას აკაკის ბაღი – ახალგაზრდობის, კუნთმაგარი ჭაბუკების შერკინების, საფალავნო ასპარეზობის არენად იქცევა ხოლმე. და ეს ხდება იმ ამაგდარი ადამიანების ძალისხმევით, ვისთვისაც სულ ერთი არაა, როგორი ახალგაზრდები დაგვეზრდებიან, როგორი იქნება ქვეყნის მომავალი.

... უკვე მეშვიდედ გაიშლება აქ, აკაკის კურთხეულ ბაღში, საჭიდაო წრე, აჭყვიტინდება ზურნა, აბაგუნდება დოლი და „საჭიდაოს“ სისხლისამაჩქროლებელი ჰანგები მოეფინება ძირძველი დიდუბის ამ კუთხეს. წრეში კვლავ დაეძგერებიან ერთმანეთს მუხლ და მკლავძლიერი ბიჭები, მამაპაპათაგან გადმოცემული ფანდებით, ჯანითა და ღონით კვლავ ამაღლდებიან მეტოქეებზე, თავიანთ თავზე.

მაყურებელი, თუნდაც ბაზრობაზე მოსული და ჭიდაობის ანდამატით აქ მიჯაჭვული, აღივსება ამაყი სულით, შეგრძნებით იმისა, რომ მის ძარღვებში ჩქეფს დიდ წინაპართა ვაჟკაცური სისხლი...

და ეს მოხდება რიგით მეშვიდე ტრადიციულ ჭიდაობაზე, თბილისობის დღესაც!

**ანზორ ბასილაია.**



P. S. თბილისობაზე, ტრადიციულად, უამრავი სპორტული ღონისძიება – მოჭიდავეთა, მკლავჭიდელთა, ტანმოვარჯიშეთა, ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, ჩოგბურთელთა... ასპარეზობაც გაიმართება, ძირითადად რიყეზე. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის მუშაკებმა ამჯერადაც მოინდომეს და თბილისქალაქობას თავიანთი „ნობათიც“ მიუძღვნეს.

მოსახლეობაში ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად არაერთი სასიკეთო საქმე კეთდება, მათ შორის – შენდება ახალი სპორტული ნაგებობანი, საფეხბურთო თუ კრივის, ჭიდაობის არენები: სპორტული კომპლექსი – ჯიქიას ქუჩაზე, მინისტადიონი – ნაძალადევში, სანზონის უბანში, კრივის სპეციალიზებული სპორტკომპლექსი – გლდანის მესამე მიკრორაიონში, ეროვნული სტადიონის სიახლოვეს იხსნება კაფე „მსოფლიო სპორტი“ და ა. შ.

თბილისობა ჩვენი, ქართული სპორტის ზეიმიცაა.

არ იქნება ურიგო, თუ თბილისელები მხოლოდ სურსათ-სანოვაგის სიუხვით არ დახარბდებიან, სპორტსაც აზიარებენ თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს. მომავალი ხომ სწორედ ჯანსაღ თაობას, ახალგაზრდებს ეკუთვნის!

ა. ბ.

სამბო

# უკანასკნელი საკვალიფიკაციო

28-30 ნოემბერს ცენტრალური ამერიკის ქალაქ პანამაში გაიმართება მსოფლიოს 2002 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი სამბოში, რომელშიც უნდა იასპარეზოს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმაც. პლანეტის უძლიერეს სამბისტთა ფორუმისთვის მზადებას მიეძღვნა საქართველოს პირადი პირველობა, რომელიც ლევან თედიაშვილის სახელობის დიღმის ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში გაიმართა (სკოლის დირექტორი – ალეკო გიორგობიანი).

პანამაში გამგზავრების საგზურის მაძიებელთა შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის 26 ქალაქისა და რეგიონის 187 ფალავანი. აღსანიშნავია მსოფლიოს ჩემპიონის, კასპელი ბადრი ჯანიაშვილის (68 კგ) გამარჯვება, რომელიც ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ხალიჩას. დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს: 52 კგ – დავით მიხელიძემ (თბილისი), 57 კგ – გელა ბარათაშვილმა (ხაშური), 62 კგ – თემურ ნეფარიძემ (ქუთაისი), 74 კგ – გიორგი ბაინდურაშვილმა (თბილისი), 82 კგ – ნიკო ბიბილაშვილმა (გორი), 90 კგ – გიორგი შუბითიძემ (რუსთავი), 100 კგ – მირიან პაპიაშვილმა (ძალისი), +100 კგ – რატი ფერაძემ (ზესტაფონი).

**შალვა ჩიხლაძე.**

ფეხბურთი

# მწვანე მინდორზე პაწაწა გრანდები



ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ადგილობრივი „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელების ჯემალ კაკალაძისა და ალეკო ფევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც სომხეთის, სოხუმის, ოზურგეთის, თიანეთის, თბილისისა და ბათუმის „დინამოს“ 1990 წელს დაბადებულთა 8 გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობამ, რომელიც ბათუმის განათლების საფეხბურთო სკოლის ინიციატივით (დირექტორი გია ჯორბენაძე) გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფინალურ მატჩში თბილისის „გრანდმა“ მინიმალური სხვაობით – 1:0 დაამარცხა ბათუმის განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლის გუნდი და მემორიალის მთავარი პრიზიც დაისაკუთრა. საუკეთესო მეკარის ჯილდო ხვდა „გრანდის“ გოლკიპერ ზურაბ კიკაბიძეს, ბომბარდირი 5 გატანილი გოლით გახდა ლევან სალაყაია, ხოლო ასპარეზობის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი სალარიძე (ორივე – „გრანდი“) მიიჩნიეს.

**შოთა ბოკერია.**

სურათზე: ბათუმის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული თბილისის „გრანდის“ გუნდი.

რობერტ ბაზოიანის ფოტო.

**ცინცხალი ამბები**



კოლუმბიელი ვეტერანი ფეხბურთელი, ამ ქვეყნის ნაკრების წევრი 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 32 წლის ერმან გავირია, რომელიც ირიცხებოდა ქ. კალეს „დეპორტივოს“ შემადგენლობაში, ვარჯიშის დროს მეხმა იმსხვერპლა. ამავე დროს დაშავდა ამ გუნდის კიდევ ოთხი მოთამაშე, რომელთა შველაც ექიმებმა შეძლეს.

ფიფამ და უეფამ, შესაძლოა, გუნდების მიერ ლეგიონერების შეძენაზე დააწესონ გარკვეული შეზღუდვები. ფიფას წარმომადგენელთა აზრით, ეს რიცხვი ხუთს არ უნდა აღემატებოდეს, რაც თავისთავად უარყოფითად იმოქმედებს, პირველ რიგში, ყველაზე მდიდარ გუნდებზე.

ყოველი მხრიდან

### ვის სურს ჩემპიონატი?

ჩვენთვის კარგად ცნობილი აბესალომის არიისა არ იყოს – „ვის გინდათ ქალი ეთერიო“? მსოფლიო ფეხბურთის შტაბი – **ფიფა** ასევე აცხადებს „ვის გინდათ 2010 წლის ჩემპიონატიო“. მაგრამ ერთი პირობა აუცილებელია, ის უნდა იყოს აფრიკის რომელიმე ქვეყანა.

ისე, რომ შავი კონტინენტის 52 ფედერაციამ, თუკი სურს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა, წლევანდელი 31 დეკემბრიდან 2003 წლის 31 აგვისტომდე **ფიფაში** უნდა შეიტანოს სათანადო განაცხადი.

თუ ვის ერგება პატივი, 8 წლის შემდეგ მიიღოს დიდი საფეხბურთო დღესასწაული, ცნობილი გახდება 2004 წლის მაისში **ფიფას** კონგრესზე. იქამდე კი თითოეული პრეტენდენტის შესაძლებლობებს სპეციალური კომისია შეამოწმებს.

2006 წლის აფრიკის თასის გათამაშებას კი ეგვიპტე მიიღებს.

### იქნება მილიონების ცვენა?

მართალია, ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, შედგება თუ არა მსოფლიო ჩემპიონის მძიმეწონოსანი მოკრივის, ბრიტანელი ლენოქს ლუისის ორთაბრძოლა კიეველ ვიტალი კლიჩკოსთან, მაგრამ მათი შეხვედრის შემდეგ თუ როგორ განაწილდება ჰონორარი, უკვე ხმამაღლა მსჯელობენ.

უკრაინელი მოკრივის მენეჯერის კლაუს-პეტერ კოლის განცხადებით, ეს შეხვედრა აუცილებლად გაიმართება და ამისათვის ლუისი მიიღებს 15 მილიონ დოლარს, კლიჩკო კი – 5 მილიონს.

თუ როდის გაიმართება შეხვედრა, საბოლოო შეთანხმებისას გადაწყდება. ისე კი, ვარაუდობენ, რომ ეს მომავალი წლის თებერვალში ან აპრილში მოხდება. მატჩი, ალბათ, ლას-ვეგასში მოეწყობა, თუმც კოლის უნდა, ის გაიმართოს გერმანიაში, საფეხბურთო სტადიონი „არენა აუფშალკეზე“, რომელიც 60 ათას მაყურებელს იტევს.

### იცნობდეთ, დავით ჩალაძეა!

რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პრემიერ-ლიგაში ყაზანის „რუბინის“ გადასვლაში დიდი წვლილი მიუძღვის პირველი დივიზიონის საუკეთესო სნაიპერს, ქართველ ლეგიონერს დავით ჩალაძეს, რომელმაც 24 მატჩში 16 ბურთი გაიტანა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო, ის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში ველარ მონაწილეობს. მაგრამ, იმედია, მომავალ სეზონში უკვე როგორც ელიტური დივიზიონის მოთამაშე, კვლავაც მრავალჯერ გაახარებს გულშემატკივრებს (ფოტო „ვისესხეთ“ გაზეთ „სპორტ-ექსპრესიდან“).



### „კერპების მსხვრევა“!

ეს მოხდა ჩოგბურთში სანკტ-პეტერბურგის ღია ჩემპიონატის მეორე ტურში. ერთი მეორეზე მოყოლებით დამარცხდნენ ტურნირის მთავარი ფავორიტები – მარატ საფინი, ევგენი კაფელნიკოვი, ანდრე აგასი.

ამ ტურნირზე ორგზის გამარჯვებული მარატ საფინი ბელორუსი ვლადიმერ ვოლჩკოვის „მსხვერპლი“ შეიქნა, მინსკელმა დიდი აღმაფრენით წარმართა შეხვედრა და გაიმარჯვა (6:4, 6:4).

კაფელნიკოვის დამარცხებას სენსაცია არ გამოუწვევია, ვინაიდან სლოვაკ დომინიკ ხრბატს მასთან შეხვედრებში დიდი უპირატესობა აქვს – 9:4. ახლაც ძალზე დაძაბული ბრძოლა მისი გამარჯვებით დამთავრდა – 7:6 (7:1), 7:5.

რაც შეეხება ანდრე აგასის, მაინცდამაინც არც მას სწყალობდა ღმერთი მეორე სლოვაკ ჩოგბურთელთან კაროლ კუჩერასთან შეხვედრებში – 3:3. ამჯერად თავიდან ამერიკელი იგებდა 4:1, მაგრამ კუჩერამ შემდეგ შეძლო ძალის მოკრება და მრისხანე მეტოქის დაჯაბნა – 6:4, 6:4.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1968 წელი. 29 სექტემბერი. პოეზიის დღე, რუსთაველის დღე, შოთაობა, დაბა ასპინძაში. გრიგოლ აბაშიძე და იოსებ ნონეშვილი ასპინძელ მოსწავლეებთან.

სურათი მოგვაწოდა ნათელა ცისკარაძემ.

## ღიმილის დოზა



ახალი რუსი ოქროს „როლს-როისს" ყიდულობს, გამყიდველს ჩეკს გამოუწერს და ეტყვის:

— ხურდა „ფოლცვაგენებით" დამიბრუნეთ.

***

ახალმა რუსმა მობილური ტელეფონი იყიდა და ამ სიახლეს რესტორანში აღნიშნავს.

უცებ ცოლი ურეკავს.

— შენ ხარ?! — გაუკვირდა ახალ რუსს, — როგორ გაიგე, რომ ამ რესტორანში ვარ?!

***

ახალი რუსი თავის ოფისში ღრუბელივით ჩაქუფრული მივიდა.

— რამ შეგაწუხათ, სერგეი სერგეიჩ? — ეკითხება მდივანი.

— ბიბლიოთეკა დამეწვა... ორივე წიგნი... ერთი გუშინ ვიყიდე და გადაშლაც ვერ მოვასწარი.

***

ახალმა რუსებმა ალპინისტობა გადაწყვიტეს. შეიძინეს სულ ახალთახალი ალპინისტური მოწყობილობა და მთაზე მიძვრებიან. უცებ ერთი მოწყდა და უფსკრულში გადაეშვა.

დააძრო მეორემ მობილური და ურეკავს:

— ვოვან, ცოცხალი ხარ?

— ვარ!

— ხელ-ფეხი მთელი გაქვს?

— მაქვს!

— უფსკრული ღრმა არის?

— არ ვიცი, ჯერ ბოლომდე არ ჩავფრენილვარ.

***

გზად მიმავალ კაცს სამგლოვიარო პროცესია შეხვდა: კუბო ამოტრიალებული მიაქვთ.

— ვის მარხავთ? — გაოცებული შეეკითხა ჭირისუფლებს.

— სიდედრს.

— კი მაგრამ, რატომ ამოატრიალეთ?

— იმიტომ, რომ გულაღმა ძალიან ხვრინავს.

## თაობა

### გმირობისთვის ყველა საქმის კარი ღიაა

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარ სამეცნიერო რედაქციაში კომპიუტერული ცენტრის გამართვასთან ერთად გამოჩნდა 20 წლის ახალგაზრდა — მაღალი, ტანადი, სიტყვაძვირი. მოსვლისთანავე მის ფართო ბეჭებს „დაატყდა" ენციკლოპედია „თბილისის" ილუსტრაციების კომპიუტერული დამუშავება; წარმოიდგინეთ — 2500 ილუსტრაცია, ძალიან ძნელად მოპოვებული და უნიკალური, ზოგჯერ ძალიან შელახული.

ნიკა თათულაშვილი ყოველ სურათს ჯერ დახედავს, ზოგჯერ მძიმედ ამოისუნთქავს, მაგრამ მაინც ჩუმად შეეჭიდება მის მოგვარებას და იმ მაღალ დონეზე აყვანას, რასაც მოითხოვს ენციკლოპედია „თბილისის" უნიკალური გამოცემა.

რედაქციის კომპიუტერული ცენტრი რედაქტორთა უსაყვარლესი ადგილია. „მეკომპიუტერეთა" მუშაობის სირთულე ვერაფრით ვერ იფარება მიზერული ხელფასით, მაგრამ აქაურ არც ერთ მომუშავეს არც უფიქრია საქმის ღალატზე; ყველა თავაუღებლად შრომობს.

ნიკას მახვილმა თვალმა, ნატიფმა ხელმა, საქმის წვდომის ალღომ, ხალისიანმა თანადგომამ დაძაბული მუშაობის დროს მალე დაგვარწმუნა, რომ უმისოდ საქმე წინ სწრაფად ვერ წავა და, აი, ჩვენი მთავარი რედაქტორის წარდგენით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ნიკა სამხედრო ვალდებულებისაგან გაათავისუფლეს.



სამაგიეროდ, მართლაც ალტერნატიული სამუშაო ხვდა წილად და კიდევაც შეეჭიდა. არ ეზარება ათასობით (!) კომპიუტერული სწორება ილუსტრაციებისა თუ ტექსტის გრაფიკული გალამაზებისათვის.

2 წელიც გავიდა; დამთავრდა მუშაობა ენციკლოპედია „თბილისზე", რომელიც წლევანდელ თბილისობას გაალამაზებს. ამასობაში ნიკამ კი მეუღლეც მოიყვანა და ვაჟიშვილიც გაუჩნდა.

სულიერად ძლიერია, გონიერებით უმკლავდება მკაცრ ცხოვრებას და ყველას გვაფიქრებინებს, რომ ახალგაზრდა კაცის გმირობისთვის ყველა საქმის კარი ღიაა, თუნდაც ეს იყოს ენციკლოპედია „თბილისის" ფურცლები.

**მელიტა ბაქრაძე,**
ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რედაქციის გამგე.

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს მოწვეულია სს „ვერძი-94"-ის აქციონერთა კრება.
კრება ჩატარდება 17 სთ-ზე ილია ჭავჭავაძის პრ. 74 მე-3 სართული. საინვესტიციო კომპანია „ვანო და კომპანიის" ოფისში.
სს ვერძი-94-ის სამეთვალყურეო საბჭო.

## ახალი ხედი „კოპალადან"



60-იანი წლების დასაწყისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვიდა თორნიკე კოპალეიშვილი. იგი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო და, ბუნებრივია, უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციას მიაშურა, სადაც დიდი საქმო დახვდა. ქართული მწერლობის თაყმიდრეკილმა სიყვარულმა, ქართული ლექსის მადლმა, ეროვნულ სიძველეთა გაცნობის დაუოკებელმა სურვილმა ამ საქმოსთან ერთად ატარა იგი საქართველოს ისტორიული ძეგლების კვალდაკვალ ქვეყნის ყველა მხარეში, მორეულ ბაჩკოვოშიც კი.

იმ წლებში ჩამოუყალიბდა მშობლიური კულტურის მსახურებისკენ მისწრაფება და შედეგმა უკვე საუკუნის მიწურულს ფართოდ და მრავალმხრივად იჩინა თავი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რექტორმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ თორნიკე კოპალეიშვილი თავისთან დაიტოვა და საპატიო საქმე ანდო — წარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტის დეკანობა.

შემდეგ და შემდეგ თორნიკე კოპალეიშვილი გახდა მოღვაწე, უანგარო ქველმოქმედი, მრავალი კეთილი საქმის წამომწყები და განმახორციელებელი. მისმა ნიჭმა და პროფესიულმა ალღომ (მოგვიანებით უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტიც დაამთავრა) საშუალება მისცა ბევრი სასიკეთო საქმე დაეგეირგვინებინა.

განსაკუთრებით უნდა ითქვას მოსკოვში მის მოღვაწეობაზე.

საკუთარი შრომით, საკუთარი ხელით შექმნა მან უმშვენიერესი რესტორანი ნოვოდევიჩის მონასტრის გვერდით. შთაბეჭდილებათა წიგნში, ერთ ამერიკელ ტურისტს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: მოსკოვსა და მის შემოგარენში მე ვიცი სამი ადგილი, რომელსაც აუცილებლად უნდა ეწვიოთ: დიდი თეატრი, ტროიცე-სერგიევის ლავრა და რესტორანი „ფიროსმანი".

1988 წლის აღდგომა დღეს საზეიმოდ გახსნილი რესტორნის ქება სასწრაფოდ მოედო მსოფლიოს ყველა კუთხეს. მკითხველს ნუ მოეჩვენება ბოლო ფრაზა ხმამაღლა ნათქვამი. საბჭოთა კავშირში ჩამომსვლელნი ნიუ-იორკიდან, პარიზიდან, ვენიდან თუ ბერლინიდან წინასწარ უკვეთავდნენ მაგიდებს.

ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბილ კლინტონის მოსკოვში სტუმრობისას, მოულოდნელი და „ინკოგნიტო" პირველი ვიზიტი მაინცდამაინც ქართულ რესტორანში, თავისთავად მეტყველებს დიდ მასშტაბებზე.

თორნიკე კოპალეიშვილი თავიდანვე ისწრაფვოდა, რესტორნის კარი გაეღო მათთვის, ვინც მის დაწესებულებას კულტურის ბიზნესკლუბად და ცენტრად აქცევდა.

დღეს „ფიროსმანი" ინტერნაციონალურ-შემოქმედებითი მექაა, ქართველი მხატვრები, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები აქ ერთგვარი მასპინძლები არიან. „ფიროსმანს" მალე ვორობიევსკოე გორაზე რაინდთა კლუბი ამოუდგა მხარში.

ეს მოსკოვში.

ახლა თბილისის ამბებს მივუბრუნდეთ.

მეტეხის უბანში ფორაქიშვილების ისტორიულ დარბაზს — რელიკვიას და ძეგლს ძველი საქართველოსი, მისმა ნებამ ახალი სიცოცხლე შთაბერა.

ამ გაზაფხულს უდიდესი გემოვნებით რესტავრირებული დარბაზის პრეზენტაცია მოეწყო და პირველივე შეკრებისას თბილისის ინტელიგენცია სიურპრიზის მოწმე გახდა. გამოიფინა თვითნასწავლი მხატვრის ივანე მელიაშვილის ნახატები, მეგობრების შემწეობით თორნიკე კოპალეიშვილმა სარდაფის მტერიდან რომ დაიხსნა. იმავე დღეს ქართველმა მკითხველმა ბულატ ოკუჯავას მშვენიერი წიგნი — „გაუქმებული თეატრი" მიიღო. ქველმოქმედმა იგი ათარგმნინა მწერალ ჯუმბერ თითმერიას და მისი შვილის — ლევანის გამომცემლობაში დააბეჭდვინა.

გაზაფხულის პრეზენტაციის მთავარ დედააზრს კი წარმოადგენდა: ფორაქიშვილების დარბაზი ქველმოქმედმა ხალხური ხელოვნებისა და ალორძინების ცენტრს დაუთმო.

— ამიერიდან, — ამბობს ამ ცენტრის თავმჯდომარე, პროფესორი ვახუშტი კოტეტიშვილი, — „ფორაქიშვილთა" ამ ახალ სცენაზე გაიმართება შეხვედრები, კონცერტები, ბენეფისები, და, რაც მთავარია, უნიკალური გამოფენები.

ახლა კი იმაზე, რისთვისაც ეს წერილი დაიწერა: დღეს, თბილისობაზე, თორნიკე კოპალეიშვილი მეტეხის უბანშივე ხსნის ხალხური ხელოვნების ცენტრს — „კოპალას", მშვენიერი და კომფორტული სასტუმროთი.

თბილისს შეემატა ახალი ხედი „კოპალადან", თბილისის ინტელიგენციას კიდევ ერთი ღირსეული ადგილი — შესაკრებად და საფიხვნოდ.

***

ყოველივე ამის შემოქმედს ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ მისი მეგობრები კარგად ვაცნობიერებთ, რომ ამ რუდუნებაში ლომის წილი ხსოვნის სიმშვენიერეა, თორნიკემ აღასრულა შვილის ვალი მამის წინაშე, რომელიც თვალითაც არ უნახავს, 1 წლისა იყო სამამულო ომში რომ დაეღუპა, პირობა — ახლახან გარდაცვლილი დედის წინაშე, ერთადერთმა შვილმა სიყმაწვილიდანვე რომ დადო, — თაობათა აღმზრდელი პედაგოგის პირმშოს სიკეთე და კეთილშობილება ეთესა...

ქვეყანას კი მაგალითად და საძლიეროდ სწორედ მისებრი მამულიშვილები სჭირდება.

**გივი შეყილაძე.**



**სურათებზე: თორნიკე კოპალეიშვილი; ხალხური შემოქმედების ცენტრის „კოპალას" ხედი.**

**ავტორის ფოტო.**

## საჩუქარი — თბილისობას

### ზესტაფონელები — დედაქალაქს

ზესტაფონის რაიონი ხელდამშვენებული ჩამობრძანდა თბილისქალაქობაზე.

პეწიანმა ზემოიმერლებმა დედაქალაქში ჩამოიტანეს რვა ტონა საქონლის ხორცი, ერთ ტონა ღორის ხორცი, ორი ტონა ყველი, ორი ტონა მჭადის ფქვილი, ორი ტონა ჩამოსასხმელი ღვინო, 1600 კილოგრამი თაფლი, ოთხი ტონა კარალიოკი, მსხალი, ყურძენი, ერთი ტონა წაბლი. კერამიკული ნაწარმი, დახერხილი შემა და სხვა. სულ ოცამდე მანქანა დაადგა თბილისობის გზას, რომელთაც გამგებლის მოადგილე ლევან გველესიანი თავკაცობს. ზესტაფონელთა ნობათი უკვე დანიშნულ ადგილზეა.

ისინი მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ივაჭრებენ.

**ჰენრი შარიძაძე.**

## ზნეობა

### რამ აალელვა არასამთავრობო ორგანიზაციები?



წიგნი „მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ, წიგნი მოზარდებისათვის". აქციის მონაწილეთა შორის ხელიდან ხელში გადადიოდა, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოს მთავარ შესასვლელთან შეიკრიბნენ... გაიკრა პლაკატი: „ყველანი ზნეობის დასაცავად!" (შემდეგ რატომღაც გაქრა).

აქციის ორგანიზატორები იყვნენ რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თვლიან, რომ სკოლებში ამ წიგნით სარგებლობა არ შეიძლება. არადა, იგი „დამხმარე და სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოების კატეგორიაშია" შეტანილი.

ამერიკასა და რუსეთში ასეთ პროგრამაზე უკვე უარი უთქვამთ. აქციის მონაწილეთა წინაშე გამოსულებმა — პედაგოგებმა, ექიმებმა განაცხადეს, რომ ასეთი პროგრამით სწავლების შედეგებზე საქართველოში მისი პროგრამების ავტორებს ადრე უნდა ეფიქრათ. 13 წლის ბავშვს აღვირახსნილობა არ უნდა ვუქადაგოთ. კითხვაზე, რატომ გაიმართა ეს აქცია მაინცდამაინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალურ შესასვლელთან, პასუხი ასეთი მივიღეთ:

— დედაუნივერსიტეტი გვეიმედება. ის საზოგადოების აზრს გაითვალისწინებს და ხმას აღიმაღლებს მოზარდ თაობაში უზნეობის შეტანის წინააღმდეგ. საქართველოს საპატრიარქო უარყოფითად აფასებს სექსუალური განათლების იმ მეთოდს. იგი ადამიანების ზნეობრივ ორიენტირად არ გამოდგება, საქართველოში მოზარდის აღზრდის საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიცია არ უნდა მოიშალოს.

აქციის მონაწილეებმა დახმარებისთვის წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, სთხოვეს, ურჩიოს განათლების სამინისტროს აქტიური თანამშრომლობისაკენ იმ ძალებთან, რომლებსაც რეალურად ძალუძთ განათლების სფეროში თვისებრივად ახალი ხედვის ჩამოყალიბება, ხელი შეეწყოს ბავშვთა უფლებების დაცვას და შეაჩეროს ქართველი მართლმადიდებელი მრევლისათვის მიუღებელი პროცესი — მოზარდთა ზნეობრივი დაცემა...

**ნათელა ფაილოძე.**

## გვწერენ

### ჩვენი მადლობა მათ, ვინც ბავშვთა პოლიკლინიკების ფინანსური უზრუნველყოფისთვის იზრუნა

შეგიძლია მშვიდად იყო, თუ შენს შვილს ისეთი ექიმი ჰყავს, როგორიც ქალბატონი ცისანა იოსელიანია. ჩვენი პატარები მისი მხედველობის ქვეშაა.

ჩვენ და ჩვენს ირგვლივ მყოფი დედები ვლოცავთ და დღეგრძელობას ვუსურვებთ მას.

საოცრად სასიამოვნო სიტუაციაა გამსახურდიას პრ. №7 მდებარე მე-18 ბავშვთა პოლიკლინიკაში.

ყველა კაბინეტში ღიმილი, ყურადღება, პროფესიონალიზმი და სითბო გელოდება.

პოლიკლინიკის ინტერიერი ხელს უწყობს პატარების მშვიდ და ხალისიან შემოსვლას. ასეა წლების განმავლობაში, და მაინც, წერილი დღეს რამ დაგვაწერინა? რამ და იმან, რომ აქაც და, როგორც გვითხრეს, მთელ ქალაქშიც, უფასო გახდა 15 წლამდე ასაკის ბავშვთა მომსახურება. ეს დიდი სიხარულია და ამ სიახლესთან დაკავშირებით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება მათდამი, ვინც ამ კეთილ საქმისათვის, მისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის იზრუნა.

**„თერთმეტსართულიანად" ცნობილი კოსტავას ქ. №63-ში მცხოვრებლების სახელით წერილს ხელს აწერს 22 მოქალაქე.**

რედაქცია დაუკავშირდა თბილისის მე-18 ბავშვთა პოლიკლინიკის დირექტორს ზაირა ზორდელაძეს. მან გვითხრა:

— რამდენიმე წელია თბილისის ყველა ბავშვთა პოლიკლინიკა, და მათ შორის ჩვენიც, სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის პროგრამით უფასოდ ემსახურება 0-3 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს. წლეულს კი, პირველი ოქტომბრიდან, 2002 წლის საქალაქო სამედიცინო პროგრამით თბილისში უფასო გახდა 3-15 წლამდე ბავშვთა მომსახურება. პროგრამას აფინანსებს ქალაქის მერია.

ახალი პროგრამა უზრუნველყოფს ამ ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დონის ზრდას, ბავშვიანი ოჯახების სოციალურ დაცვას, ექიმთა ხელფასების მომატებას.

სიახლეს სიხარულით შეხვდა მოსახლეობა, საგრძნობლად იმატა შემოსულ ბავშვთა რიცხვმა, დედამ იგრძნო, რომ მის შვილზე ფიქრობენ და ზრუნავენ.

ქალაქის პოლიკლინიკების დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით ჩვენთან გაჩნდა სირთულეც — აუცილებელი გახდა უბნის პედიატრების გადატვირთული შტატის ნაწილობრივი შემცირება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მერიის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მითითებითა და დახმარებით პოლიკლინიკა აწესრიგებს უბნიდან გამოთავისუფლებული ექიმების დასაქმებას — სთავაზობს მათ მორიგე და სკოლის ექიმების ადგილებს.

სკოლებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ 2003 წლიდან განათლებისა და ჯანმრთელობის სისტემებში მოსალოდნელი ერთიანი პროგრამით სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში გაფართოვდება სამედიცინო მომსახურების საქმე. გაიზრდება ამ დაწესებულებების ექიმთა ხელფასები.

მთავარია, არ გაქრეს კეთილი საქმის კეთების სურვილი.

### გავუთბოთ ერთმანეთს გულები!

ძვირფასო რედაქცია, ისეთ დროში მოგვიწია ცხოვრება, რომ უბრალო ადამიანური გულისხმიერებაც კი გაოცებას იწვევს.

ასე მომივიდა მე, როდესაც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მივედი, რათა შპს „ივას" სახელწოდების შეცვლა სამმართველოში დამეფიქსირებინა.

პოდა, სწორედაც რომ გამაკვირვა სამმართველოს მუშაკთა გულისხმიერებამ — არ დაუკლიათ ჩემთვის — „მობრძანდი, ბატონო", „დაბრძანდი, ბატონო"... დათქმულ დროზე საბუთიც ჩამაბარეს და ღიმილით გამომაცილეს. არც საფასური აიღეს — ეს ჩვენი მოვალეობაო, არც გასამრჯელო — რას ბრძანებთ, რა გაგიკეთეთ ასეთიო...

მოკლედ, გამაოცეს სტატისტიკის სამმართველოში და, ვისურვებდი, რომ ადამიანებს შორის ყველგან ასეთი გულისხმიერება დასადგურებულიყოს ჩვენს ქვეყანაში.

**ზარბეგ ბერიაშვილი,**
მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

მეუღლე ნანა მაჭარაძე, შვილები მაკო, ირა ლაზიშვილები, შვილიშვილები ნინიკო, ოთარი, ტუკა, თათა, სიძეები გია დევდარიანი, ნუკრი მანჯგალაძე, გია კუბლაშვილი, შვილთაშვილები ლუკა, ნანა, ირა, ნიკოლოზი, რძალი დაგმარა ჭალაგანიძე, არუსია ლაზიშვილი, თამუნა დანგაძე, ძმისწულები გია, კოკა, ლევანი, გურამი, გია ლაზიშვილები, ბიძაშვილები თამარ, დავით ლექავეები, ალეკო ცქიტიშვილი, მძახლები ჯუმბერ, მანანა დანგაძეები, ჯემალ, დიანა მანჯგალაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ზიორგის ძე ლაზიშვილი

პანაშვიდი 27, 28 X, 4 სთ. გამოსვენება 29 X, 3 სთ. აბაშიძის ქ. №39.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს დაცვის პოლიციის სამმართველო თანაუგრძნობს ბატონ გურამ ჯანიაშვილს დედის

ნინა ანდრიას ასულ ბურდულის

გარდაცვალების გამო.

გენერალური ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ გურამ ჯანიაშვილს დედის

ნინა ბურდულის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალური საბჭო სამძიმარს უცხადებს საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ მანანა კობახიძეს დის

მიმოზა კობახიძის

გარდაცვალების გამო.

დავით ჯინჯოლავა, გუჯა ცინცაძე, გელა წიკლაური თანაუგრძნობენ აპოლონ და გურამ ჯანიაშვილებს

დედის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ პარლამენტის წევრს ბატონ აკაკი გასვიანს გარდაეცვალა დედა

იულიტე გასვიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს პარლამენტის წევრს აკაკი გასვიანს და აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილეს ვახტანგ გასვიანს დედის

იულიტე ბემბულათის ასულ ქალდანი-გასვიანის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს შს სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის დაცვის პოლიციის განყოფილება თანაუგრძნობს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, გურამ ჯანიაშვილს დედის

ნინა ანდრიას ასული ბურდულის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა, შალვა, კახა ქურდიანები, ნათელა ყურაშვილი ოჯახებით უდიდესი მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ლიანა კოპლატაძეს და მიხეილ ჯანიკაშვილს ვაჟიშვილის

კობა ჯანიკაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

შპს „სამკურნალო კომბინატი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის ლია კოპლატაძის შვილის

კობა ჯანიკაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## ხელოვნება

### კონსტანტინე ტოტოჩავა



მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **კონსტანტინე (კოტე) ტოტოჩავა.**

იგი 1923 წელს დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში და იმ ქართველ მეცნიერ-პედაგოგთა თაობას ეკუთვნის, რომელთა მოღვაწეობა მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს წლებში დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომში აქტიური მონაწილეობის შემდეგ კოტე ტოტოჩავამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1971 წელს სადოქტორო დისერტაცია.

1961 წლიდან უკანასკნელ დღემდე იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, ფაკულტეტის დეკანად. მის კალამს ეკუთვნის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა 20 მონოგრაფია, მეთოდური ხასიათის ნაშრომი და დამხმარე სახელმძღვანელო, ქართულ, რუსულ, ჩეხურ და სხვა ენებზე.

ბატონი კოტე იკვლევდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სოციალურ პოლიტიკურ, სახალხო მეურნეობის, საქართველოს ქალაქებისა და სოფლის ისტორიის, პოლიტიკურ მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებს.

განსაკუთრებული მეცნიერული აღიარება კოტე ტოტოჩავას მოუტანა მონოგრაფიულმა გამოკვლევებმა „გურიანთის ისტორია" და „იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებები". ამ უკანასკნელში ავტორმა ი. გოგებაშვილი პირველად წარმოგვიდგინა, როგორც სოციოლოგი და ორიგინალური პოლიტიკური მოაზროვნე. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო მისი კაპიტალური გამოკვლევის „მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკურ შეხედულებები" გამოცემას, რომელშიც ავტორი ჩვეული კეთილსინდისიერებით და რუდუნებით წარმოაჩენს გამოჩენილი მწერლის პოლიტიკურ მრწამსს.

კ. ტოტოჩავას, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა აღზრდაში. იგი იყო მთელი რიგი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების მეცნიერ-ხელმძღვანელი და კონსულტანტი, რეცენზენტი და ოპონენტი.

კ. ტოტოჩავა ისტორიკოსთა და პოლიტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმების მონაწილეა (რუსეთი, ჩეხოსლოვაკია, ბელგია), იგი აქტიურად ილეწოდა, როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი. მეცნიერი მრავალი ჯილდოს, დიპლომისა და საპატიო სიგელის მფლობელი იყო. 2002 წელს იგი ღირსების ორდენითაც დაჯილდოვდა.

კ. ტოტოჩავამ წარმატებებს გასაოცარი შრომისმოყვარეობითა და საქმისადმი დიდი სიყვარულით მიაღწია. იგი გამოირჩეოდა კოლეგებისადმი შესაშური ყურადღებით, გულთბილობით, დიდი ტაქტით და მეგობრული ურთიერთობით.

აღფრთოვანებას იწვევდა მისი დაუშრეტელი ახალგაზრდული ენერგია, ერის წინაშე მაღალი მოვალეობა და სიახლის ძიება. კ. ტოტოჩავა იყო უაღრესად პუნქტუალური, პრინციპული და მომთხოვნი პიროვნება, ამავე დროს გულისხმიერი და კეთილი.

ბატონი კოტე მეცნიერული და პედაგოგიური შრომის ველზე დაეცა. მისი სიცოცხლე მოულოდნელად იმ კათედრაზე დასრულდა, რომლის შექმნაშიც მას ლომის წილი მიუძღოდა და თვითონ იყო წლების მანძილზე მისი შესანიშნავი ხელმძღვანელი.

კ. ტოტოჩავა სამეცნიერო პროცესის მიმდინარეობისას დაიღუპა და თუ მას სიცოცხლესთან ასეთი განშორება ეწერა, კანონზომიერია, იგი სწორედ აქ, მის საყვარელ აუდიტორიაში უნდა აღსრულებულიყო.

დიდად სამწუხაროა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტის დიდ კოლექტივს დააკლდა შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი, აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე, დიდებული კოლეგა და მეგობარი კოტე ტოტოჩავა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი,
ჰუმანიტარული ტექნიკური ფაკულტეტი;
პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რჯაინიგზის ჩიხი 20.